

964  
1937



# სამოქანო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

თებერვალი

N° 19 - 20

FEVRIER

## შინაარსი

- |  |               |
|--|---------------|
| 1. შვეიცარიის პრეზიდენტი ბ-ნი შოტა                 | **            |
| 2. საბჭოთა ახალი კონსტიტუცია                       | აღ. ასათიანი  |
| 3. კომუნიზმის საფრთხე და ევროპა აზიის გამოფენილება | ელ. ბატარიძე  |
| 4. ზენთა და წესთა აღრევანი                         | რ. ინგილო     |
| 5. წერილები იტალიაზე                               | აღ. ასათიანი  |
| 6. თავისუფალ ყაზახთა მოძრაობა                      | გრ. აბულაძე   |
| 7. ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება                  | **            |
| 8. ერ.-დემოკრატიული პარტიის თაბირი                 | ივ. ასათიანი  |
| 9. გ. მუსხელიშვილი (ნეკროლოგი)                     | გ. ჭავიაშვილი |
| 10. ქართული ხელოვნების დეკადა                      | **            |
| 11. უცხოეთის ცნობები                               | **            |
| 12. ქართულს ემიგრაციაში                            | **            |

216040

1937

# სამოცლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული გარგანი.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

თებერვალი 1937

N° 19 - 20

FEVRIER 1937



შვეიცარიის პრეზიდენტი ბ. ჟ. მოტა

## შვეიცარიის პრეზიდენტი ბ. მორა

შვეიცარიის რესპუბლიკაშ ერთსულოვნად და დიდის ზემოთ იდესასწაულა თავის პრეზიდენტის ბ. ჯიუზეპე მოტას მთავრობაში შესვლის 25 წლის თავი განვლილი წლის დეკემბერში. ამ მეოთხედი წლის მანძილზე ბ. მოტა მუდმივი წევრია შვეიცარიის მთავრობისა და ამ უამათ მეხუთეჯერ არის არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად. მეორე მაგალითი ერთის ასეთი ხანგრძლივი და განუწყვეტლივ ნდობისა თავის მოღვაწისადმი და ასევე განუწყვეტლივ ქვეყნის სათავეში ყოფნისა არ მოიპოვება მთელი მოფლის სივრცეზე.

მაგრამ ბ. ჯ. მოტას მოღვაწეობა არა მარტო ამ მხრივ არის სამაგალითო და ღირსშესანიშნავი შვეიცარიისა და საქართველოს პოლიტიკისათვის და ასევე ჩენი ქართული საქმისათვის. ბ. მოტა იყო პრეზიდენტი ნაციათა ლიგის დაარსების დროს და მან გახსნა ამ საერთაშორისო დაწესებულების პირველი ყრილობა. ამის შემდეგ იგი მუდმივი თავმჯდომარეა შვეიცარიის დელეგაციისა ლიგაში, როგორც შვეიცარიის საგარეო მინისტრი. 1920 წელს, როდესაც ირჩეოდა საქართველოს ლიგაში მიღების საკითხი, ბ. მოტა მის მხერვალე დამცველი იყო. 1922 წელს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ კამათში, რომელიც სწარმოებდა ლიგაში საქართველოზე და დიდათ შეუწყონ ხელი ლიგის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ წარდგენილ რეზოლუციის მიღებას. მისი თავმჯდომარეობით ლიგამ კვლავ მიღობ ასეთივე რეზოლუცია 1924 წელს. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო ბ. მოტას როლი 1934 წ., როდესაც ლიგაში დაისვა საბჭოთა კავშირის მიღების საკითხი. შვეიცარიის სახელით ბ. მოტამ მკაცრად გაილაშქრა ასეთი განზრაბების წინააღმდეგ და წარმოსთვევა ისტორიული სიტყვა, გაუღენ-თილი უმაღლეს უფლებრივი და მორალური შეგნებითა და გრძნობებით, რაც ასე იწვიათ მოვლენაა თანამედროვე კაცობრიობის „წეობრივ დეკადანსის ხანაში. „როდესაც საბჭოთა კავშირი“, განაცხადა მან, „მიღებულ იქნება ლიგაში, ლიგის ყრილობა დაყენებული იქნება რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხის წინაშე. საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ლიგის მიერ გამოტანილი რეზოლუციები ვერ დაიძინებენ სამარადისო ძილით“-ი.

თავისუფლების მოყვარული შვეიცარია მუდამ დიდს სიყვარულს იწვევდა ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებში. 25 წლის თავის მოღვაწეობით ბ. მოტამ კიდევ უფრო აამაღლა და განამტკიცა თავისუფლებისათვის მებრძოლთა ასეთი გრძნობა მის სამშობლო-

სადმი, ხოლო კერძოთ საქართველოს მიმართ, მან მოუპოვა თავის სახელს ფრიად საპატიო აღვილი იმ თავდადებულს ბრძოლის ისტორიაში, რომელსაც საქართველო კვლავ სწერს თავის საუკეთესო შვილთა თავდადებითა და სისხლით.

## სტალინის კონსტიტუცია და საგვოთა ცხოვჩების ახალი გარდატეხანი

საბჭოთა რესპუბლიკის მერვე საკავშირო ყრილობამ უკვე და-  
მიტკიცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, სტალინის მიერ შემუშა-  
ვებული და წარდგენილი. თანახმად მეშვიდე ყრილობის დადგენი-  
ლებისა.

სტალინის კონსტიტუციის პროექტი ექცის თვით ადრე გამოც-  
ხადდა, რომ იგი გამხდარიყონ ხალხის შესწავლისა და განსჯის საგ-  
ნად და მართლაც საბჭოების პრესაში ფართე გამოძახილი მიეცა ამ  
თავისებურ საკონსტიტუციო მუშაობას. საბჭოთა „დემოკრატია“  
უსაზღვრო აღფრთვოანებას გამოსთქვამდა ამ კონსტიტუციის პრო-  
ექტის გამოქვეყნების გამო და უზომო ქება-ხოტბას ასხამდა მის ავ-  
ტორს.

ამ რიგად 1934 წელს დაპირებული და შემდეგ წელს უკვე ყრი-  
ლობის მიერ დადგენილი „დემოკრატია“, 1936 წლის ნოემბერში  
უკვე საბოლოოდ იქმნა დამტკიცებული და ამიერიდან დამკიდრ-  
და როგორც სახელმწიფოებრივი სისტემა საბჭოთა რესპუბლიკე-  
ბისა.

სტალინის კონსტიტუციის გარშემო მსჯელობას გაცილებით უფ-  
რო ფართე ასპარეზი ჰქონდა საბჭოთა საზღვრების გარეშე. მთელი  
მსოფლიოს სიერცეშე და ეს საქსებით გასაგებია და ბუნებრივი. ეს  
ჯერ იმით არის ბუნებრივი, რომ, მიუხედავთ ახალი „დემოკრატი-  
ული“ კონსტიტუციის მიღებისა, საბჭოთა რესპუბლიკებში არ არის  
დაშვებული თვისუფალი მსჯელობა არც საკონსტიტუციო და არც  
სხვა საკითხებზე. გამონაკლის შეადგენს. შესაძლოა, ჯაზ-ბანდის  
მნიშვნელობა სოციალიზმის დამყარების საქმეში. რომლის შესა-  
ხებ ამას წინეთ ხანგრძლივი და მეტად ცხარე კამათი ჰქონდათ ერთ-  
მანეთში საბჭოების ოფიციალურ ორგანოებს. — „იზვესტიას“ და  
„პრავდას“.

მეორეს მხრივ ეს გასაგებია კიდევ იმის გამო, რომ სტალინის  
კონსტიტუცია გამოსახავს უცხოთა თვალში ერთს მნიშვნელოვან

ეტაპს იმ გიგანტურ უქსანერიმენტისა, რომელიც სწარმოებს 170-მილიონიან ქვეყანაში, ოცნების მანძილზე და რომლის მსგავსი ექსპერიმენტი ხალხის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებისა ჯერ არ უხილავს მსოფლიო ისტორიას.

მხედველობაში მისაღებია აფრეთვე ის გარემოება. რომ ეს მნიშვნელოვანი აქტი შეეხება სახელმწიფოს, მემკვიდრეს იმ დიდი რუსეთის იმპერიისა, რომელსაც არასოდეს ჭერია იმდენი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობაში (გამოკლებით შეიძლება ნაპოლეონის დაცემის ხანის მცირე მანქანისა), როგორიც მოუპოვა მას ჩერება-დროინდელმა ორომ - ტრიალმა და არევ - დარევამ საერთაშორისო ცხოვრებისა.

საბჭოთა ახალი კონსტიტუციისა და მის გარშემო შექმნილ ვითარების განხილვა უცხო ქვეყნებში ორი გზით სწარმოებს. ერთია უცხოეთის საზოგადოებრივი აზრი და მეორე კიდევ რუსულ და საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა ემიგრაციის დაფასება. ჩვენ მეტად შორს წაგვიყვანდა ამ მრავალფეროვან აზრთა და შეხედულობათა დაწვრილებით განხილვა და ამის გმო აღვნიშნავთ მის უმთავრესადა და დამახასიათებელ მხარეს.

დასაცლეთის ქვეყნებში სტალინის კონსტიტუციის განხილვა სწარმოებს ასე გსოვევათ კონსტიტუციურ ნიადაგზე. აქ მას აფასებენ ისევე, როგორც მიღებული აქთ ნორმალურ უფლებრივ სახელმწიფოში შემუშავებულ კონსტიტუციის დაფასება. მათ ავიწყდებათ, რომ საბჭოთა სახელმწიფო ფრიად განსხვავდება ამ ნორმალურ სახელმწიფოების მოდელისაგან და მისი კონსტიტუციაც. თუმცა იგი ასეთს სახელს ატარებს. სტალინიად არ არის დაფუძნებული იმ უფლებრივს საფუძვლებზე, რომელზედაც შენდება სხვაგან კონსტიტუციონური უფლება. თავისი ვრცელი მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ სტალინმა სწორეთ ამის განმარტებით დაწყო. სტალინმა დაახასიათა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური, პოლიტიკური, საგარეო და საშინაო კოთარება 1924 წლის კონსტიტუციის მიღების ხანაში და შეადარა მისი ცხოვრების ეხლანდელ მდგომარეობას. სტალინის განმარტების თანახმად, ეს ახალი კონსტიტუცია არის მომხდარ ცვლილებათა რეგისტრაცია და დაკანონება.

რაც შეეხება მოვლენათა რეგისტრაციას, ეს კონსტიტუცია და, კიდევ უფრო, სტალინის მოხსენება ამ საქმეს საკმაო სისწორით ასრულებენ. ხოლო საბჭოთა ცხოვრების ძირეულ მოვლენათა კონსტიტუციონალურ დაკანონების ჩრდებას ეს კონსტიტუცია უთუოდ ჰქონდება. და ეს სჩანს თვით სტალინის მოხსენებიდან. 1924 წლის კონსტიტუცია დამტკიცდა ნეპის ხანაში. ეს იყო კაპიტალისტური

სისტემის ზოგიერთ ელემენტების მეტოქეობა და შეჯიბრი სოციალისტურ სისტემასთან. ეს შეჯიბრი დასრულდა 1924 წლის კონსტიტუციის ეპოქაში და ამ ხნის განმაელობაში საბჭოთა პოლიტიკაში მრავალჯერ გადააყირავა 1924 წლის კონსტიტუციით მომხდარი რეგისტრაცია და კონსტიტუციის დაკანონებული ცხოვრების საფუძვლები. მაგრამ ამას არ გამოუწვევია არავითარი კონსტიტუციონალური კრიტიკები და არც არავის გახსენებია საბჭოთა კავშირის ეს ძირითადი კანონები.

კონსტიტუცია აღმცენდილი იყო ქალალზე და საბჭოების არქივებში ინახებოდა, ხოლო სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ცვალებადობა, არსებითი გარდაქმნა და რადიკალური გრძალებანი ხდებოდა თანახმად იმ კონსტიტუციისა, რომელსაც ხშირ-ხშირად და სახელმახელოდ იმუშავებდენ ბოლშევიზმის მეთაურები მარქსიზმისა, ლენინიზმისა და სტალინიზმის დოგმის მიხედვით. ამით აიხსნება, რომ ამ ოცი წლის მანძილზე საბჭოთა რესპუბლიკებში მუდამ სწარმოებდა ბრძოლა და შეხელა-შემხელა სახელმწიფოებრივ და სოციალურ ცხოვრების ძირეულ ცელილებათა და გრძალებანის გარშემო, მაგრამ ეს დავა სწარმოებდა ლენინიზმისა და სტალინიზმის ნიადაგზე და არა იმ კონსტიტუციისა. რომელიც უნდა ყოფილიყო უფლებრივი საფუძველი საბჭოთა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა.

სტალინის მოხსენებიდან ჩვენ ვერ ვლებულობთ რწმენას, რომ ასეთივე ბედი არ ეწვევა მის ახალ კონსტიტუციას და რეგისტრაციას. ამის მიხედვით საქმოდ ნათელი უნდა იყოს. თუ რამდენათ შემცათი არიან ისინი, რომელნიც სტალინის კონსტიტუციას აფასებენ საყველთაოდ მიღებულ იურიდიულ საზომით. მაგრამ გზა და გზა შეგვიძლიან აღვნიშოთ, რომ ასეთი კლასიკური იურიდიული მიღვმა ამ ხანად შეუძლებელი ხდება არამარტო საბჭოთა წყობის მიმართ. საბჭოთა კავშირში კვლავ გრძელდება რევოლუციონური მეთოდებით სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების გარდაქმნის პროცესი. დროგამოშვებით იქაც ხდება ცხოვრების მოვლენათა ერთგვარ იურიდიულ ფორმებში გამოსახვა, მაგრამ ეს მართლაც და დროულ ცვალებადობის რეგისტრაციაა, ვიდრე მისი მტკიცე საფუძლებზე დაკანონება.

რასაკვირველია არა ასე ფართედ, მაგრამ ნაწილობრივ ასეთს მოვლენას ადგილი აქვს ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში, სადაც მეცხრამეტე საუკუნეში დამყარებული სოციალ-პოლიტიკური ცხო-

ვრება ძირეულ ცვლილებებს განიცდის და ახალს ფაშისტურ ფორმებში თავსდება.

თითქოს დემოკრატიული სახელმწიფოები დარჩენ მტკიცე კონსტიტუციონალურ ნიადაგზე, მაგრამ ეს უც შედარებითია. კონსტიტუციონალური თვალსაზრისით ამ სახელმწიფოებსაც შეუდგა წყალი და ამაზედ თვალის დახუჭვა საქმეს არ შევლის. კონსტიტუციას ამ ქვეყნებშიდაც აღარ შერჩათ ის უზენაესი იმპერატიული ძალა, რომელიც წინეთ ჰქონდათ. წარსულ წელს ამერიკის უმაღლესმა სამსჯავრომ ანტიკონსტიტუციონალურად გამოაცხადა პრეზიდენტის მიერ დამყარებული მოელი ეკონომიური სისტემა, მაგრამ კონსტიტუციაც თავის ადგილზე დარჩა. პრეზიდენტიცა და ეს მისი სისტემაც. საფრანგეთის კონსტიტუცია უკვე ვეღარ იცავს თავის უმთავრეს ქვაკუთხედს — კერძო საკუთრების უფლებას და სხვის ქარხნების დამფლობელი მუშები და საკუთრების უფლების დამტკიცელი აღმინისტრაციის წარმომადგენელნიც ერთნაირის მხნეობით ულერებენ მუშტებს ამ საკუთრების უფლებასა და მის დამკანონებელ კონსტიტუციას. მეტ-ნაკლებად ყველგან შეირყა უფლებრივ და მორალურ ნორმების ძალა და მნიშვნელობა და რა ასეთი უფლებრივი სიმტკიცე უნდა მოვთხოვთ საბჭოთა იმ კონსტიტუციას, რომელიც რევოლუციონურ გარდაქმნების პროცესში მუშავდება და ისეთი წრის მიერ, რომლის ყოველი მოქმედება და წესი რევოლუციონურ ღოგმებიდან გამომდინარეობს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უდიდესი კონსტიტუციონალური ნაკლი საბჭოთა კონსტიტუციას წარმოადგენს უდიდეს შის ლირსებას.

სტალინის კონსტიტუცია რომ მართლაც შემოსილი იყოს სახელმწიფოს ძირითადი კანონების ძლევა-მოსილებით, ეს იქნებოდა კარგა ხნით დამკვიდრება და სტაბილიზაცია საბჭოთა კავშირის ებლა არსებულ სოციალ-პოლიტიკურ გითარებისა. იგი შეაფერხებდა და გზას დაუკერავდა იმ დიდ კომუნიზმისაგან და ბოლეშევიზმისაგან შებრუნებისა და ზურგის ქცევის ღრმა პროცესს. რომელიც ნათლად არის გამეღავნებული საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა ცხოვრების ყოველს დარგში... ხოლო ჩვენ თუ ასეთი საზომით მიუდგებით წინამდებარე საკითხს, მისი განხილვის დროს გავცილდებით მის იურიდიულ ფასადს და დაკვირვებით დავაფასებო იმ მოვლენებს. რომელთაც წარმოშვეს საბჭოთა კავშირის ეს ახალი, დაქველთან შედარებით გაცილებით უფრო ფართე საკონსტიტუციო მოძრაობა, კონსტიტუციის პროექტის შედგენა სტალინის მიერ, მისი თავისებური საჯარო განსჯა დაშემდეგ მისი დამტკიცება საბჭოთა კავშირის ყრილობაზე, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს მოვ-

ლენა თავის მნიშვნელობით ყველაზედ უფრო დიდი მოვლენაა კო-  
 მუნისტური სახელმწიფოს არსებობის ოცი წლის მანძილზე და ეს  
 მოვლენა არამარტო ამ სახელმწიფოსათვის არის ასეთი დიდი მნი-  
 შვნელობისა, და არა მარტო თანამედროვე მსოფლიო ვითარებისა-  
 თვის, არამედ ასევე საკაცობრიო სოციალურ ბრძოლათა ისტორი-  
 ისათვისაც.

სტალინის მოხსენებაში ყველაზედ მნიშვნელოვანია ის ნაწილი,  
 სადაც იგი უპასუხებს საბჭოთა ახალი კონსტიტუციის კრიტიკო-  
 სებს. იგი ძევლი მაგალითებით მოხერხებულად არღვევს იმათ აზრს,  
 ვისაც სტალინის კონსტიტუცია ნაკუშ ქაღალდათ მიაჩნია, ცარი-  
 ელ დაპირებათ, რომელსაც იგი ვერ გაანალდებს. ასე ჰავიქერძდენ  
 ეს სკაპტიკოსები, როდესაც ჩვენ ძალაუფლება ჩაევიდეთ, არავის  
 სწამდა, რომ ჩვენ მას შევინარჩუნებდითო. მაგრამ ჩვენ დავამარც-  
 ხეთ დენიკინი, დავამარცხეთ კოლჩაკი და ვრანგელი, დავამარცხეთ  
 (ამას ჩვენ დავუმატებთ), გლეხების ამბოხებანი, რუსეთის კავშირ-  
 ში მოქცეულ არა რუს ერთა აქტიური გამოსვლები და მათ შორის  
 საქართველოს სამი აჯანყება. ეხლა დაპირებათა მხრივაც სტალინი  
 აღნიშნავს, რომ კომუნისტები დაპირდენ კაპიტალისტურ - ბურ-  
 უაზიულ წყობილების დანგრევას და ეს საქმეც სავსებით და ლირ-  
 სეულად დააბოლოვეს. მემამულებს ჩამოართვეს მამულები და 150  
 მილიონი ჰექტარი მიწა სოციალისტურ საკუთრებად გამოაცხადეს,  
 კაპიტალისტებს ჩამოართვეს ქარხნები, სავაჭროები, ბანკები და  
 ყველა მათი სიმღიდრეც ასევე სოციალისტურ საკუთრებაში ჩარი-  
 ცხეს. ისინი დაპირდენ ელექტრიზაციას, ინდუსტრიალიზაციას,  
 გამოაცხადეს პიატილეტკა, შემდეგ მას ჩეტირიობლეტკა მიაყოლეს  
 და ყოველივე ეს გაანალდეს და განახორციელეს.

სამართლიანობა მოითხოვს მიუზღლოთ მსოფლიო კომუნიზმის  
 ბელადს მართალი სამართალი და აღვიაროთ სრული კეშმარიტება  
 ასეთი მისი განცხადებისა. უდავოა და სწორი მისი რწმუნებანი ზე-  
 მოდ აღნიშნულ გამარჯვებათა და დაპირებათა აღსრულების შე-  
 სახებ. მაგრამ იბადება კითხვა — ყველა ეს გამარჯვებები ხომ ნა-  
 გულისხმევი იყო, როგორც საშუალება მათი მთავარი მიზნის მი-  
 საღწევად, რომელი მიზანი იყო სწორედ ის დიდი დაპირება, რო-  
 მელიც მათ აღუთქეს საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს  
 პროლეტარიატს?

თუ სტალინი და მისი მოციქულები გაიხსენებენ მარქსიზმისა  
 და ლენინიზმის დოგმას, არ შეიძლება არ დაგვეთანხმონ, რომ

მათი დაპირება იყო თანამედროვე, ეკონომიურ უთანასწორობის ნიაღავზე აშენებულ კაპიტალისტურ წყობის გაუქმება და მის ნაც-  
ვლად დამყარება სოციალისტურ სამოთხისა, სადაც არ უნდა ყო-  
ფილიყო მჩავრელი და დაჩავრული, მდიდარი და ღარიბი, არამედ  
უნდა დამყარებულიყო საყოველთაო ეკონომიური და უფლებრი-  
ვი თანასწორობა, ქონებრივი და ყოველმხრივი კეთილდღეობა და  
ბეჭნიერება.

როდესაც სტალინი უპასუხებს თავის მოწინააღმდეგეთ, რაც  
დაპირდით, ყოველივე გავანალდეთო, საჭირო იყო პასუხის გაცემა  
სწორეთ ამ უმთავრეს დაპირების შესახებ. ორერთ მუშასა და გლეხს  
დაპირდე, შენს სიღარიბეს ბოლოს მოუღიბ, ჭირს ლინიად შეგი-  
ცვლი და ჯოჯოხეთს სამოთხეთო, და ეხლა განუცხადო, ყველა  
ჩემი დაპირება შევასრულე, კაპიტალისტები შოვსპე, მემამულებიც  
მას მიყაყოლე, დინიკინიც და ვრანგელიცა, ასეთი განცხადება მათ  
უთუოდ ვერ დაპირწმუნებს, რომ უკვე ფეხ-მოკალათებული არიან  
აღთქმულს სამოთხეში.

ჩაგრამ სტალინის განცხადებაში არის ერთი აღვილი, რომელიც  
არა პირდაპირად, მაგრამ მაინც იძლევა თითქოს დადებითს პასუხს  
ამ უმთავრეს დაპირების შესახებ. სტალინი გვარწმუნებს. რომ სო-  
ციალიზმის დამყარების შემდეგ სასოფლო მეურნეობა იძლევა ერთ  
ნახევარზე მეტს, ვიდრე მსოფლიო მამადე. მრეწველობა — შეიდ-  
ჯერ მეტს და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობა იძლევა ოთხ-  
ჯერ მეტს დოვლათს. თეოთონ სტალინი რატომღაც გაუტბის ასეთი  
ცნობების დაფასებას მშრომელი კლასების კეთილდღეობის ზრდის  
თვალსაზრისით. მაგრამ ეს ხომ ჩვენც შეგვიძლიან სრულის სისწო-  
რით თუ არა, ერთგვარი მიახლოებით მაინც. წინეთ სასოფლო მე-  
ურნეობისა, მრეწველობის და საერთოთ სახალხო მეურნეობის შე-  
მოსავალის მნიშვნელოვანი ნაწილი უცარდებოდა ხელში კაპიტალი-  
სტებს, მემამულებს და ყოველი ჯურის ექსპლოატატორებს. სო-  
ციალისტურ სამოთხეში ეს კლასები განადგურებულია და ამ დოვ-  
ლათის საერთო გაზრდის მეოხებით პროპორციულად უფრო უნდა  
იზრდებოდეს მშრომელთა წილი ამ ქონებაში. ასე რომ სტალინის  
ცნობების მიხედვით, თვითეული გლეხისა და მუშის კეთილდღეობა  
უნდა გაზრდილიყო ოთხჯერ და კიდევ მეტად.

სტალინს რომ ეს განცხადებინა გაბედულათ და დაუმტკიცებინა  
საჯაროთ, რომ მიერ დამყარებულ სოციალისტურ სამოთხეში  
მუშებისა და გლეხების კეთილდღეობა გაუმჯობესდა არა ოთხჯერ  
და ხუთჯერ, არამედ ერთ-ნახევრად მაინც, ძველ კაპიტალისტურ  
წყობასთან შედარებით, მას სრულიათ არ დასჭირდებოდა დენი-

კინზე და კოლჩაქზე გამარჯვებათა მოგონება და თვით სოციალიზმის მტრები. მისი სასწაულებრივ თვისებების უარმყოფნი, ურწმუნოზე ურწმუნო თომანიც იწამებდენ მის სოციალიზმს და ერთხმად შესძახებდენ — ვაშა სოციალიზმს და მის ბელადს სტალინს!

მაგრამ სტალინი ამ საკითხს გვერდს უხვევს, ვინაიდან მისი ნათელზე გამოტანა და მაზედ პასუხის-გაცემა სიკვდილის განაჩენია იმ დიდი სოციალური ექსპერიმენტებისათვის, რომელიც აწარმოვეს მან და მისმა მეგობრებმა უდიდეს და უმდიდრეს ქვეყნაში რევოლუციონური სოციალიზმის დროშის ქვეშ. მაგრამ რაც სტალინმა დაჰვარა თავის სიტყვაში, ეს არ ითარება და მეტად გამეტად გამეტად ბულიკა საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ხალხთა ცხოვრებაში, ქალაქებად და სოფლად. ეს საკმარი ნათლად სჩანს თვით საბჭოთა სტატისტიკურ გამოცემებში, პრესსაში, სხვა და სხვა დარგის მუშავთა მოხსენებებში. მუშის და გლეხის ქონებრივი მდგომარეობა, მათი ბიუჯეტი, მათი კედა, მათი ჩაცმულობა და სხ. თუ მეტად არა, ერთი ორად მაინც უარესია, ვიდრე იყო წინანდელ, ექსპლოატაციაზე აგებულ ბურჟუაზიულ წყობის დროს.

ამიტომ თუ სტალინის კონსტიტუცია და მისი მოხსენება არის საბჭოთა კავშირში მომხდარ ცვლილებათა რეგისტრაცია, ეს არის რეგისტრაცია დაპირებულ სოციალისტურ სამოთხის დამყარებისათვის ბევრი რამის დანგრევის, დაქვეცის და ამ ნანგრევებზე ისე-თი წყობის შექმნის, რომელმაც ფორმალურად და სიტყვიერად ბარონობა მოუპოვა მშრომელ კლასებს, მაგრამ რეალურად დაასუსტა და დააძაბუნა მათი კეთილდღეობა, ქონებრივი და სულიერი.

\*\*

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის შორის ბრძოლა ისევე ძეველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ადამიანთა ამ ორი ერთ-მანეთისადმი დაპირდაპირებული სულისკვეთება ავსებს ხალხთა ცხოვრების ყოველს დარგსა და სფეროს, კვონომიურსა, პოლიტიკურსა თუ ზნეობრივს. ამ ორ მიღრეკილების გამწვავებულ დაჯახებას მრავალჯერ დიდი სოციალური შეხლა-შემოხლა გამოუწვევია, ბრძოლები და რევოლუციები. მაგრამ ის, რაც მოხდა საბჭოთა კავშირის ნიადაგზე, ყველა მათ აღემატება თავის სილრმითა და გაქანებით. გასაგებია, რომ ამ დიდს ექსპერიმენტს უდიდესი საკონცორიო მნიშვნელობა აქვს და ამის გამო მისი შედეგები არ განისაზღვრება საბჭოთა კავშირის ფარგლებით.

საბჭოთა კონსტიტუცია და მისი ავტორის განმარტება გვარწ-

թշնամին, հռմ յև դուռը և սուրալուրո յիշերումբնիո Շաբա դասրուլ-  
դա սածքութա յացմունքուն. Ըստուլու ոմ մերու, հռմ զամոցունեցուլ  
ոյմնա դա նաւագո պայուղա մետուգու դա պայուղա սամալունու դա նատ-  
լագ զամուրուցա պայուղա մատո Շեգեցուն. յև հաւ Շեցեծա յիշերո-  
ւունցուն, տորութ յցիում դուռ զարդարեսաւ Շեգեցուն խալսու պեղու-  
րեծա այս ազգուագ պայուն մունելուն դա սամակացու պայուն զամոնասացս  
ածալու ցուուրուն մկանութիւն նուացս.

Ֆարվեսութունու յամունունիուն հրապերուն մուեցուու, հրասետու յա-  
մունութունուն Վահրուամ, հացգու հա եղլիո սաելմիուուցունուու մալա-  
սութունա, Շեցուգա ոնդուցուալուր օնդուրուսու սագուցուն չեց-  
ծուլ Ցուրուսանուլ պեղուրուն նցրեցա դա մու նաւուագ յուլույ-  
թունու սագուցուն չեցու ածալու, յամունութունու պեղուրուն չեցուն.  
նցրեցու Յարուցու Շաբա ճամաւրութունու ոյս դա ածալու Շուղուն սա-  
մուրուցու հայունու, հոգուսաւ հրասետու յամունութունուն Վահրուամ  
Շեցուգա յցիու աուու: յև ոյս, մոցուտերուն սերալուն, 1924 Շուլս,  
Ենթու Ֆերայու Ֆերուութիւն. սածքութա մալասութունամ ճանաւրա յուղա-  
րո զամուրութուն յամունութիւնս սուրալուն յուղուն զա-  
մուրութիւնատան յուրագ. մուսու անցարուն ոյս, հռմ յամունութիւնու  
դա սուրալուն սուրալուն սուսէրմուն Շեջունուն մեցուլունան, ճայ-  
ցութունուն յամունութիւնու սուրալուն յամունութիւնու յամունութիւնու  
Ենթուն սուրալուն սուսէրմուն, մոցուտերուն յամունութիւնու յուղ-  
ութիւնուն լոյցուցու դա ճացուցութունուն զամունութիւնու յուղ-  
ութիւնուն սուսէրմուն, հոգուրու սախալուն յամունութիւնուն մուրունու-  
սուսէրմունուս“.

Սուրպա Շեջունուն, հասայուրուցուու, սրուլուագ ան Շեցուգա ամ  
մերագ միշայուրուլ ուներացան, հռմելսաւ ազգուու Ֆյոնդա սածքու-  
թա յացմունքու 1923 — 30 Շուլս. յամունութիւնու դա սուրալուն  
սուրալուն սուսէրմուն Շեջունուն մանու յինեմունա, Շաբա յև որո մալա  
ճասթուուցուու մանու յուրանարու Ֆուրունուն յինեմունա հայունեցունու  
յանունու դա մմարտուցուուն ֆոնան. յույսատ, հռմ ճայուրուցունուա  
սիւ - ոյ յուրու սամրեցուու դա սասուցուու յայունեցուն Ֆարմուն-  
նու դա սացսեծու մանու լունուս դա յունունուու սամալուն մեյու-  
նեցուն Շեցուգա յուրու յայուրուն նուացան. այս մովունուու Շեջու-  
նու ամ որո սոսէրմուն մալա զամուրուցուու մատո նայլս դա լուրսե-  
ծուս դա նատլագ զամուրուցուու դա, ոյ հռմելու ոյս յերու ճուցու-  
տուս մոմուն, յերու յուրուուն օւունուու Ֆարմուն սախալուն մեյու-  
նեցունուսացուու. տորութ ժուրունու դա յուրուցուու յիմնա Շուրուու յայ-  
ռուն, դա ֆյուրուու. Ֆարմուն հռմելուաւ յնքա յիշամունունու

თუთეული გამოლელ-გამომვლელ კომუნისტის მათრახის ქვეშ, მოკლებულთ კანონისაგან დაცისა და მფარველობისა. ასეთს შეჯიბრებს რომაულ ცირკებში მთართავდენ, როდესაც უიარაღ გლადიატორებს გამოიყვანდენ დაშვეულ ლომებთან შესაბმელად.

მაგრამ სტალინის სიტყვებიდანაც სჩანდა ასეთი შეჯიბრის მიზანი. ეს იყო ამ „კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის მიღწევა“. მაშასადამე, ეს ერთვარი გაცხოველება კაპიტალიზმისა“ ხდებოდა იმ მიზნით, რომ უზარმაზარ ქვეყანაში აქა იქ მიმალული და სულ-განაბული წერილი მესაკუთრენი და სოფლის „კულაკები“ გარეთ გამოეტყუბინათ ნების საშვალებით და შემდეგ საბოლოეოთ მოესპორ და განადგურებინათ.

ეს ასეც მოხდა. და საბჭოთა ძალაუფლებამ სრულიად გაანადგურა ეკონომიურად და ფიზიკურადაც ასეთი ელემენტები ქალაქებდა და სოფლად; და ვინც ამ ტერორს გადარჩა, ასი ათასობით ეს ბურჟუაზები და კულაკები შორეულ ციმბირში იყვნენ გადასახლებული და ნამდვილ მონებად გადაქცეული.

ამ რიგად საბჭოებმა ასი პროცენტით აღმოფხვრეს საბჭოთა კავშირის მთელს სივრცეშე ბურჟუაზიული ცხოვრების ყოველივე ნაშთები — იდეურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად და ფიზიკურათაც. სოციალური და ეკონომიური ცხოვრება სოფლად და ქალაქებდება კოლექტიურ, კომუნისტურ საფუძველზე დაემყარა. ვინც ამ იდეურ საფუძვლებს არ იჩიარებდა. ის არ იყო მოქალაქე, არამედ ყოველგვარ უფლებას მოკლებული არსება. ის გარიყული იყო ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებიდან. კომუნისტური იდეა გასცილდა ეკონომიურ ცხოვრების სფეროს. ის შეიქრა ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ოჯახში, მის რწმენის სამყაროში. იქმნა აღკვეთილი ყოველივე, რაც არ ეთანხმებოდა კომუნისტურ სისტემას. მის იდეოლოგიას, მის ცხოვრების გაცებას.

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ გეხდათ, რომ სტალინი ბოლომდე არ მიღის თავის სისტემის გამარჯვებათა აღნუსხებაში. მას კიდევ მეტის თქმა შეეძლო. მაგრამ ამის მიზეზს ჩვენ მაშინ გავიგებთ, როდესაც მოკლეთ აღვინიშნავთ საბჭოთა ვითარების იმ ძირეულ მოვლენებს, რომლის რეგისტრაციას ასე ბუნდოვანად ახდენს სტალინის კონსტიტუცია და მისი მოხსენება და რომლის დაკანონებას იგი ცდილობს.

საბჭოთა ახალი კონსტიტუცია და სტალინის მოხსენება არ აღწევს კომუნიზმის ამ გამარჯვების უმაღლეს წერტილს. როდესაც მან ცხოვრებას სრული სოციალიზაცია უყო და ოვით 130 მილიონ

გლეხობა „სასოფლო ქარხნების პროლეტარიატად“ გახადა. იგი არ არის ამ მიღწევის რეგისტრაცია და დაკანონება, არამედ ის უბრუნდება ბევრს რამეში ისეთს ვითარებას, როდესაც საბჭოთა წყობა არ არსებობდა და კომუნიზმი მხოლოდ კომუნისტების თავებში ბინადრობდა.

კომუნისტური პოლიტიკის მიღწევებიდან უკან დახევა და რადგეალური შებრუნება რამდენიმე წელიწადია ნათლად აღინიშნა საბჭოთა პრესსაში და მის ბელადების სიტყვებში.

ჩვენი უურნალი ჯერ კიდევ 1935 წ. სწერდა ამ საგანხედ (სამშ. ნომ. 17): „მარქსისტული ფსიქოლოგის მიხედვით უფრო ძნელი უნდა ყოფილიყოს უკან დახევა სოციალურს სფეროში. მაგრამ საბჭოთა მეთაურებმა ამ მიმართულებითაც არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი შებრუნება მოახდინეს. როგორც პურის თავისუფალი ყიდვა - გაყიდვა შემოიღეს და შემდეგ სამურნალო საგნების, ასევე შეუძლიანთ სხვა საყოველთაო საჭიროების საგნების შესახებ. გლეხებს თუ დაუბრუნეს საკუთრად ეზოები და მცირე სახნავ - სათვის, ამის შემდეგ მათ არ გაუმნელდებათ აღდგენა წვრილი წარმოების, აღებ - მიცემლობის და ხელოსნობის. დიდი წარმოებისა და საგრძელ ვაჭრობის მთავრობის ხელში დარჩენა სავსებით საქმარისი იქნება იმისთვის. რომ საბჭოთა რესერტი კვლავ სოციალისტურ ქვეყნად მიიჩნონ...

„ერთი თვის წინად საბჭოთა რესერტის სამრეწველო დაწესებულებათა მეთაურების ყრილობა შესდგა. რომელზედაც კომუნისტურ კაპიტალისტებს ახდილი კამათი ჰქონდათ ასეთი საკითხების გარშემო. ერთმანეთისათვის არ დაუფარავთ საბჭოთა კონომიკის უიმედო მდგომარეობა: წელზე ფეხს ვიდგამთ. რომ წარმოება ავამალოოთ, გავაფართოვოთ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დიდი ნაწილი ჩვენი განაკვეთებისა სრულიად უვარვისი გამოდის. ნაჯახი ნაჯახად არ ვარგა, ხერხი ხერხადო. კომუნიზმის მოცემულება დიდი გაბედულება გამოიჩინეს ამ მოვლენის ასახსნელად. კერძო თაოსნობა არ არის ჩვენს ეკონომიკაში, კერძო ინტერესის ფაქტორი აკლია საბჭოთა წარმოებებს. ეს უთუოდ მართალია და უდავო კეშმარიტება. ასეთი აზრების გამეღავნებაც კარგია, მაგრამ მათს განაღდებას თანდათანობით უთუოდ დიდი შედეგები ექნება საბჭოთა ეკონომიკური ცხოვრებისათვის.

„ასეთი გეზის აღების გამართლება მათ სრულიად არ გაუჭირდებათ მარქსისა და ლენინის ნაწერებით. იქ მრავლად მოიპოვება ბუნდოვანი და გაუგებარი აზრები. მაგრამ ამის გამართლება უფრო ადვილი იქნება რეალური ცხოვრების მოთხოვნილებით. საბჭო-

თა რუსეთის მეთაურები უთუოდ ნათლად ხედავენ, რომ მათ მიაღწიეს უკანასკნელს საზღვარს, რომლის შემდეგ იწყება ეკონომიკური კატასტროფა, უკეთ მათ არ მოახდინეს სახელმწიფოს განტვირთვა და 170 მილიონ ყმა მოხელეთა დიდი უძრავლესობას ლიკვიდაცია არ უყვეს და თავისუფალი ოვითოქმედებისა და შრომის ნიადაგზე არ გადაიყვანეს.

„რომ საბჭოთა რუსეთი მიიმართება ამ თავისებურ სისტემისაკენ, რომელიც გაცილებით უფრო მიუახლოვდება ფაშიზმსა, ვიდრე ძევლი ყაიდის დემოკრატიას, ამის ნიშნები სხვა სფეროშიაც მოიპოვება. უკანასკენელს დროს საბჭოთა სწავლა - განათლების ორგანოები პროპაგანდას აწარმოებენ ისტორიულ წილების შესწავლის საჭიროებაზე. სამშობლო, სამშობლოს სიყარული, მსოფლიო რევოლუციის ლოზუნების აღვილს იქვეს საჭირო გამოცემებში. ოჯახის სიმტკიცე, ოჯახის მნიშვნელობა და მისდამი მოვალეობა, მშობლებისადმი მოჩინება, მათი ავტორიტეტის განმტკიცება და სხ., სათავიდან დაკანონებულ წესდების მსგავსად ცხადდება. საბჭოთა პოლიტიკის შებრუნების ეს ნორმალური მხარე, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ცვლილებები, და ის დიდათ სცილდება არა თუ ძველ კომუნისტური ინტერნაციონალის ბუნებას, არამედ თვით იმ უფრო ზომიერ წრეებისასაც, რომელნიც მათთან საერთო ფრონტს ჰქონიან სქმისაც სხვა და სხვა ქვეყნებში“.

ამ სწორეთ ამ დიდი უკან დახმარის რეგისტრაციას საბჭოთა კავშირის ეს ახალი აქტი. ახალი კონსტიტუციის გამოქვეყნების შემდეგ ეს მოვლენა სწორეთ ასე ფასდება ზოვიერთ უცხოელ მეთვალყურეთა მიერაც და საბჭოების ახალ გეზს ბევრი ფაშისტურ წყობისაკენ გაქანებად სახავენ.

რასაკვირველია. ასე ღრმად აღრეულ და აშლილ ცხოვრების ახალ და უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება ღრმისაც მოითხოვს და დიდი შრომასაც. მაგრამ ესპროცესი უკანასკნელ წლების გან- შეალობაში საკმაო სისწრაფით მიმდინარეობს. ეკონომიკურს სფე- როში ახალი კონსტიტუცია იძლევა საკმაო გასაქანს ამ მიმართუ- ლებით. მართალია, ეს კონსტიტუცია, სტალინის სიტყვების თანა- ხმად, ამჟარებს სოციალიზმს და ამზადებს კომუნიზმს, მაგრამ მისი- ვე სიტყვით, ეს სოციალისტური სისტემა არის მხოლოდ ძირითა- დი. უმთავრესი სისტემა საბჭოთა ცხოვრებისა. საბჭოთა ცხოვრების მსვლელობა ისე მიღის, რომ ამ ძირითად სისტემას რომ მხოლოდ ჩინჩხი დარჩეს მოვალეში და ზედმეტი არაფერი, ეს არა- ვის უნდა გაუკვირდეს. ეს ძირითადი სისტემა იწყნარებს, საესტ- ბით ბურჯუაზიულ სულისკვეთებით გაულინთილ კლასის შექმნას

— სტანციულებისა, იწყნარებს, რომ მოქალაქემ შეიძინოს რა-  
მოდენიმე სახლი თავისა და თავის ოჯახის წევრების სახელზე. რომ  
ის გახდეს სხვა და სხვა დარგის მოიჯარადრეთ და ჰყავდეს განუ-  
საზღვრელი რიცხვი მუშებისა, დროებით სამუშაოზე. იწყნარებს  
წვრილ ვაჭრობას, ხელოსნობას. იწყნარებს შეძენილ ქონების მე-  
მკვიდრეობით გადაცემას და სხ.

მართლია, სოციალისტური საბჭოთა კავშირი არ სცნობს კერ-  
ძო საკუთრების უფლებას, მაგრამ ის იწყნარებს მიწის სუკუნო  
მფლობელობას და სხვა ქონებაზე „პიროვნულ საკუთრებას“, მა-  
გრამ ამ ფორმებში დიდი განსხვავების მოპოება მხოლოდ იური-  
დიული კაზუისტიკით თუ შეიძლება.

უფრო სანქლო იქნება კომუნისტურ ბელადებისათვის ასეთივე  
ნაბიჯების გადადგმა საქართველოს მრეწველობაში, რომელიც უფრე  
მათი სოციალისტური სისტემისა. მაგრამ უთუოდ აქაც მოიპოება  
გამოსავალი. ქარხნები, რომ ვთქვათ, ასი წლის ვადით გაიცეს იჯა-  
რით ტეხნიკის სტანციულებიზე, ეს ქარხნები ხომ მაინც სოცია-  
ლისტურ საკუთრებად დარჩება და მით არც მწვადი დაიწვება და  
არც შამფური.

სასოფლო მეურნეობაში ეს პროცესი უფრო იოლად მიდის. წმინდა სოციალისტურ სოებოზებს უკვე შლიან და მათ ქონებას  
სოციალისტურ კომპერატივებს — კოლხოზებს — ურიგებენ საუ-  
კუნო მფლობელობის ნიადაგზე. მაგრამ ამ კოლხოზებიდანაც უკვე  
უჭრიან მიწებს გლეხებს ეზო - გარემოს სახით. სოციალისტური  
კომსტიტუცია უთუოდ არ იქნება დარღვეული, თუ გლეხების ამ  
ეზო-გარემოს ისე გააფართოებენ. რომ კოლხოზს დარჩეს. ვთქვათ,  
ერთი მეათედი იმ მიწებისა, რომელიც მათ ეხლა აქვთ.

მოქალაქობრივ უფლებათა სფეროშიც საქაოდ მკვეთრად არის  
აღნიშნული ახალი მიმართვა საბჭოთა ვითარებისა. სასამართლო და  
კანონი, რასაკირველია, ის არ არის. რაც უნდა იყოს, მაგრამ არც  
ის, რაც აქამომდე იყო. სრულიად უფლება - აყრილ წრეებისა,  
„ლიშენცების“ საბჭოთა მოქალაქეებათ გახდომა ამ მხრივ ფრიად  
მნიშვნელოვნი გარდატეხა ბოლშევიკურ სისტემისა და ამ წრეთა  
ფსიქოლოგიის.

დიდი გულუბრყვილობაა, ვინც ფიქრობს, რომ ასეთს პირობე-  
ბში კომუნისტური პარტია შეინარჩუნებს იმ ფაქტიურ ძალასა და  
მნიშვნელობას, რომელიც მას აქამომდე ჰქონდა. ეს სრულიად არ  
უდგება საბჭოთა ცხოვრების ახალ მიმდინარეობას. ყოველი კომუ-  
ნისტი აქამომდე სატრაპის უფლებით სარგებლობდა ხალხში და  
ამიერიდან მას გუშინდელი „ლიშენცის“ შიში უნდა ჰქონდეს, რომ

ამ „ლიშენცმა“ იგი არ გამოაცხადოს „ტროცყისტათ“, სოციალიზმისა და სტალინიზმის მოღალატეთ. პარტიის ძალის შემცირებასთან ერთად მოსალოდნელია ერთი დიქტატორის ძალის გაზრდა, მაგრამ ერთი პიროვნების დიქტატურა, რაც უნდა მძიმე იყოს იგი. არასოდეს იქნება ხალხისთვის ისე მძიმე, როგორც ორ-მილიონ პატარა სატრაპებისა.

უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა ცხოვრების შებრუნება მორალურს სფეროში. ცოლშვილის სოციალიზაციის ქადაგების შემდეგ ოჯახურ სიმტკიცისა, ტრადიციისა და სიმტკიცის დაცვის ქადაგზე გადასვლა უთუთ დიდი გადარჩენაა უკან, საუკუნოებრივ დამკვიდრებულ მორალის მიმართულებით. ასევეა სამშობლოს იდეის, პატრიოტულ სულისკვეთების განმტკიცების გზაზე. ღმერთთან ხელჩართულ ბრძოლის ქადაგს და ეკლესიების ნგრევასაც ელება ბოლო.

ასპარეზზე გამოდის წარსული მისი ტრადიციები, მემკვიდრეობა, სასახელო პიროვნებანი, ეროვნული მეობა, ეროვნული ღირსება და ზოგიერთ შემთხვევაში, ამ უმაღლეს მორალურ მცნებებს ისეთი გამოსახულება ეძლევა. როგორც ჩვენ ხშირად გვესმის ფაშისტურ ბელადების პირიდან.

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან ეიწამოთ, რომ ეს ამბები არ არის უბრალო მანიორი, საჩუქარი და დაპირება, არამედ ცხოვრების ულმობელი ლოლიკის კარნახი და ცხოვრების სინამდვილის იძულებით აღგანახოთ გეზი.

კომუნისტურმა პარტიამ, განყენებულ დოგმებით შეპყრობილმა, და თავის იჯეალებისადმი უსაზღვრო ფანატიზმით ანთებულმა, დაანგრია საბჭოთა მთელს სივრცეში ასებებული სოციალურ - პოლიტიკური წყობა და გაანადგურა მისი წინ წამოწეული აქტიური ძალები. მაგრამ მდგრამარეობა გართულდა, როდესაც მისი ცხოვრების ყოველივე დარგის გარდაქმნის გზა მიუახლოვდა და შეიქრა ამ ცხოვრების სილრმეში. აქ მას დახვდა 170 მილიონი გლეხი, მუშა და მოქალაქე, მათი ცხოვრების შეგნებით, მათი ინტერესებით და ყოველივე ეს არ მიუდგა და დაუპირდაპირდა კომუნისტურ იდეოლოგიას და გეგმებს. კომუნისტებს აქ უკვე არ ვქონდათ საქმე კაპიტალისტების მცირე ჯგუფთან თუ დენიკინისა და ვრანგელის რაზმებთან. აქ დაიწყო ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, მოხუცთან და ახალგაზრდასთან, ვაკთან და ქალთან, ბრძოლა სოფლად და ქალაქებზე.

խարեանանու ու ցուտանთան, ծհմռալա թղթմուզո, ხանգրմռուզո, տան հիմո, մաշրամ պարեն դա Շեպքրոցեցելո.

Աթովքրեցիս յև ճաշսրուլեցելո ոյքանց զեր գանացցուրցեծուցա չահճանեցնուտ ճա Ծպցումժուրիցը վալեցնուտ. զերւ մարշևսա ճա լունունուս տշորոցեցմա Շեսմռուս մուսու սուլուսկազեցեցնուտ գարգայմնա. գամունուրցա. հոմ խալետա Աթովքրեցիս յև ճաշսրուլեցելո ոյքանց մլույր ճամուրոցեցուլու յամունունուտ օգուռուղցաս ճա ցայլենուուլուա ամ ծպքրուանուուլու սուլուտ, կյորմ խայլուրոցեցիս ոնստրույտուտ.

Ճամուրոցեցուլ սբոյունուտ Ցեզուրուցեմուն Շեքրուուլո յամունուստրուրո ցամու թշպուգ նացտասպուդարս ճացեցիս. մուս յակունանս սուտուու ճա ցայլուրցա մարշւ - լունունուս ցամու յամուրինուտ օմեցու. ջերենունուտ ոցու ճնտացուսուգուլուս մաս Ցեզմերու ծահցուսացան; յամունուստրուր ծահցուսացան յև ծեցիս համես ուցրուս սբոյունուտ Օթենուլու Ծալլուցեմուն ճա մաս տացուս ցամունուրցան սույրու լունումուն յամունունուտ լունուրուցմասպ պուլուցիս. մաշրամ Շեսմռուս յացու ամ ցանցուս սայմարուսուտ ճա մաշնու սուտուու ոցու Շեպքրուցեց սայլուր սբոյունուր նացշե ցամուչցուու հոմ յամունուստրուրու Ծայուրուուրցան ցանտացուսուգուլուցուլու սույրու ացուուլա մուցուլուս ռուցանուս յացու ճա մպարու նացտասպուդարու.

մաշրամ ամ մրուսեանց սբոյունուտ Ցահմռմռունուտ ճա մամուրացեցելո ճալու ամ արուս մետուուր խալետա Աթովքրեցիս յև յամունուստրուրու ճա ճուլուուրու օնստրույտու ճա սուլուսկազեցուեցիս. պայլութե մրուսեանցա ճա Շեպքրոցեցելու յև Ծալլուցիս, հոմերունուց Օթենուլուա սածկուտա յացմուն յամունուստրուրու յարուցնեցատա նացունալուր լունուցուտա ճա մուստրուցեցուտ. յև Ցեզուրուցեմուն յացուսուգուլու տացուսուգուլուսատցուս ճալուրուլ սուսելուուտա Շելուցուլու, այ մուստրու մաթերուուլ օնթյուրուցեցնուտ ամուրացեցուլու սբոյունունու սպալլուցիս Ամուրուուրու մորալուուտ արուս նացշրուենու ճա ցանժմենցուու. սբալլունու ամ յարուցնեցատա ամեցուրուցաստանց յեցիս Շերուցեցիս ցիցիս. ոցու սայունուրան լունուն օնթյուրուցեցիս. արյուցուան ըլլուցիս. մուս ծարաւտ, սաճաւ ոցու էպուրուցեմուր զելուզուռուսուլ օմեցրուալունուտ սայլուրան կըուլցեցնուտ ճա ցլուչան. լունունու կըուլցեցիս յև զեր Շեսմռուս, սբալլունու կըուլցեցնուտցուս ճաշտուցնուս անցուու անցուրմա, հուսուլու յամունունուտ մամատացարս. սուտուու Ծալլունուս. կըուլցեցիս ցամուցցեց ամ սայմուսատցուս. մաշրամ զելուզուռուսուլ օմեցրուալունուտ սպաց ցլուչան սուլմռուցելու օնտուրունու կըուլցեցիս ճա մուսկացուս մոյր ճամունեցուլ յարտա ծհմռուցեցիս ճա ճալուրուու. սուսելու

ամոյրուուրցան Ցահցուցն սամուրամուր ճուռուն, հուցուսաւ յամայ Ծումուցուի, տացուս սամուս յարուռուցելուուտ, անուս նաեցարս սպացուրուցեցնուտ մուսկացուս մեցուս. սածկուտա յացմունուստրու յըլուլ Աթովքրեցիս

ტალღებში მოქცეული, კოსმოპოლიტური დროშის ქვეშ მცურავი კომუნისტური გემის კატასტროფა დაუბრუნებს ამ ერებს დაკარგულ ეროვნულ მეობასა და თავისუფლებას.

ალ. ახათიანი

## კომუნისტური საცხოვე და ეპლოკა - აზის გამოფენილება

ქველი პრიმიტიული სოციალზმი სენ სიმონისა და ფურიეს სახით ევროპაში დაიბადა; შედარებით ახალი, ეგრედ წოდებული მეცნიერული სოციალიზმი, მარქსიზმიც ევროპაშივე წარმოიშვა და განვითარდა. ამ „მეცნიერულმა“ სოციალიზმა მრავალ ერთა და-ლაგებული სახელმწიფოებრივი ცხოვრება აწალა და დაანგრია. მისი გავლენა გადასცილდა ევროპის სახლვრებს. მარქსიზმის ამ ბოროტების თესლმა უკეთესი ნიადაგი იპოვა კულტურულად და მატერიალურად ჩამორჩენილს ქვეყნებში, და განსაკუთრებით რუსეთში. მარქსიზმისა და რუსეთის შეულლებამ დაბადა ლენინი. რომელიც დასავლეთ ევროპაშივე იდეურად დამწიფდა-დავაუკაცდა. დიდი ომის დროს ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფო, ვერმანეთი, დაბეჭდილ ვაგონით გზავნის მას რუსეთში, რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანგრევისა და მის ნანგრევებზე კომუნიზმის და-სამყარებლად. ლენინმა ჩინებულად შეასრულა ეს მისია.

ამ დღიდან გასაბჭოებულს რუსეთს არ მოკლებია ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოთა მიერ მორიცვეობით მატერიალურ - ფინანსური, ტეხნიკური თუ პოლიტიკური დახმარება. ამ ნიადაგზე ევროპის სახელმწიფოები ერთი-მეორეს ეცილებოდენ. გათვალისწინებული ვერ იქმნა ევროპიელთა მიერ კომუნიზმით დანგრეული რუსეთის კომუნიზმითვე მომავალი აღდგენისა და გაძლიერების შესაძლებლობა; დავიწყებულ იქმნა პანსლავიანიზმის საფრთხე, რომელიც დიდი რუსეთის სახით ჩრდილოეთიდან ტლანქად აწვებოდა ევროპის აღმოსავლეთურს ნაწილს, ემუქრებოდა აქ გაშლილს ლათინური ქვეყნების გავლენას და განსაკუთრებით კი გერმანული რასის აღმოსავლეთით გაშლის საქმეს. დავიწყებულ იქმნა რუსეთ - ინგლისის შორის ასებული და ჯერ კიდევ გადაუჭრელი შორეული აღმოსავლეთის საკითხიც. გათვალისწინებული ვერ იქმნა ევროპისა და მისი ცივილიზაციისადმი მიმართული საფრთხე, რომელსაც დღეს წარმოადგენს კომუნიზმის დროშის ქვეშ დარაზმული ასამოცი მილიონი საბჭოთა რუსეთი.



რუსეთში კომუნიზმის გამარჯვებამ გამოიწვია ძველი რუსეთის იმპერიის დაშლა. არა რუსი ერები — პოლონეთი, ფინლანდია, ლატვია, ესტონია, ლიტვა, უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მთა და სხვანი გაეცალენ საბჭოთა რუსეთს და თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები აღადგინეს. თავისდათავად მოხდა ის, რაც ეკროპის სახელმწიფოებს უნდა მოეხდინათ; ამ მომხდარი ფაქტისათვის მაინც ხელი უნდა შეეწყოთ და ეს გამოყოფილი ერები ფეხზე დაეყანებინათ. მათ, პირიქით, ხშირად ხელი შეუწყეს და გაუადვილეს საბჭოთა რუსეთს ამ თავისუფალ ერთა უმრავლესობის ხელ ახლად დაპყრობა და გასაბჭოება.

დღეს თუ საბჭოთა რუსეთი მეოცე წლის თავს დღესასწაულობს, ეს ეკროპის სახელმწიფოთა დახმარების შედეგია. გერმანეთი მთელი ხუთმეტი წლის მანძილზე მოკავშირედ იხდის საბჭოთა რუსეთს და უხვად აწვდის მატერიალურს - ფინანსიურსა და ტექნიკურს დახმარებას. გერმანელი ინჟინრებისა და გერმანული ფინანსებით აწარმოებს ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი დიდი აღმზენებლობითს მუშაობას და სამხედრო წევარადებას. ამავე დროს საბჭოთა რუსეთი დიდი მუშაობას აწარმოებს გერმანეთში, გერმანეთის გასაბჭოების მიზნით. გერმანეთს მოევლინება ჰიტლერი, რომელიც შეიგნებს კომუნიზმის საფრთხეს, გასწყვეტს კავშირს საბჭოთა რუსეთთან, სამკვდრო-სასიცოცხლო მტრად აცხადებს მას, და განკურნავს გერმანეთის ერს კომუნიზმისაგან. ამ ხნის განმავლობაშივე იგლისიც დიდს ფინანსიურსა და ეკონომიკურს საქმიანობას აწარმოებს საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა რუსეთი დიდს კომუნისტურს პროგაგანდას აწარმოებს თვით ინგლისში და განსაკუთრებით ინგლისის კოლონიებში. იტალიაც ნორმალურს ურთიერთობას ამყარებს საბჭოთა რუსეთთან და მასთან ეკონომიკურს ურთიერთობას არ თავილობს. ასევე იქცევა საფრანგეთიც; არც ეს ქვეყანა ერიდება საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკურს ურთიერთობას. ამგვარად ეკროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელნი საგარეო ბაზრების ძებნით გატაცებულნი, მატერიალურის მიზნებით დაინტერესებულნი, ერთნი მეორესთ ეჯიბრებიან საბჭოთა რუსეთისადმი დახმარების საქმიანობის. ისინი საკუთარი ხელით ფეხზე აყენებენ საბჭოთა რუსეთის მილიონიანს არმიას, რომელიც ერთ დღეს ძეველი გუნებისამებრ უნდა შემოესიოს ეკროპას. დაამხოს ისიც და მისი ცივილიზაციაც.

ამ ორი წლის შინ მოულოდნელი ამბავი მოხდა: ორი ძლიერი მტრის გერმანეთ - იაპონიის შუა მომწყვდეულმა რუსეთმა მოკავ-

შირეთა ძებნა დაიწყო, პირი ისევ ევროპისაკენ იმრუნა და საფრანგეთან კავშირი აღადგინა. საფრანგეთის საშუალებითვე შევიდა უნევის ერთა ლიგაში და ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის ამ ცენტრში მნიშვნელოვანი ადგილიც დაიკავა. ამგვარად, ხუთმეტი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა აზიური რუსეთი ევროპას და მის პოლიტიკაში აქტიურადაც ჩაერია. — „დიდი შეცდომა იყო და დიდი დანაშაულიც, ამბობს „ფიგაროს“ გამოჩენილი უურნალისტი კლადიმერ დორმესონი. რომ ვერ ვისარგებლეთ ლვოთან მოვლენილი ბედით და ვერ მოვაწესრიგეთ ცენტრალური და დაჭავლეთი ევროპის პოლიტიკური საქმეები ხუთმეტი წლის განმაჟლობაში, როცა რუსეთი აზიური საქმეებით დაინტერესებული, ევროპის პოლიტიკის არეზე არა სჩანდა“—ო. „მონარქიული თუ საბჭოთა რუსეთი მუდამ იყო, არის და იქნება ევროპის დაშლისა და აღრევის მიზეზი თავისი მესიანურის ამბიციებით. იმ დიდ შესაძლებლობათა გამო, რომელიც მას გააჩნია და იმ ილიუზიებისა გამო, რომელთაც ის ბადებს“—ო. — დორმესონის ეს აზრები წინასწარმეტყველება იქნებოდა, რომ მათ შესატყვისი განხორციელებული ფაქტები წინ არ უსწრობდეს. მართლაც, საბჭოთა რუსეთის ევროპის კონტინენტზე გამოჩენამ სრულიად არივ-დარია ევროპის საქმეები. საბჭოების დიპლომატი ლიტეინოვი. რომელიც დღეს ერთა ლიგის ტრიბუნიდან ამ განათლებულს მსოფლიოს მორალისა და ზნების გავეთილებს აძლევს, რომელიც თითქოს გააფთრებით ებრძების ყველა მათ, ვინც მოუქრება კულტურისა და გონების იმ უძვირფასეს განძს, რომლითაც უკანასწელი საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა ამაყობს!! არც ერთს შემთხვევას არ უშვებს უდაო საკითხი გაამწვაოს და ომის საბამად გახადოს. ასე მოიქცა ის ერთა ლიგაში დასმული ეთიობის საკითხის გამო, ასევე იქცევა ის ერთა ლიგაში დასმული ესპანეთის სამოქალაქო ომის საკითხის გამოც.

ბევრს ეგონა, თითქოს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკა შეეცვალოსთ, ევროპიული დემოკრატიული და თავისუფლების იდეები მიეღოსთ, მსოფლიო რევოლუციის მოხდენაშე ხელი აელოსთ და ერთა ლიგაში მათი შემოსვლაც ამის ბუნებრივი დასკვნა ყოფილიყოს. თურმე საფრანგეთის ცნობილ პოლიტიკურ მოლვაწეს ერიოსაც ასევე ეგონა. ამბობენ, „კროკოდილი“ ბავშის ხმას მიბაძევს, რომ მისაგან ჩაყრა-პული ბავშის დედაც მიიტყვოს. ასევე მოიქცა საბჭოთა რუსეთიც. რომ დემოკრატიისა და თავისუფლების დედა საფრანგეთი მიეტყუებინა. რუსეთმა ამ მიზანს იოლად მიაღწია და საფრანგეთი ერთგულ

მეცნიერებად გაიხადა. საფრანგეთ - საბჭოთა რუსეთის დაკავშირებით მნიშვნელოვანად ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა.

რუსეთ - საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც საგარეო პოლიტიკის სფეროთი უნდა განსაზღვრულიყო ფრანგ დიპლომატთა წარმოდგენით. ამ სფეროს შეგნებულად გადასცდა. საბჭოთა რუსეთმა ხელი ჩატრია საფრანგეთის შინაურს სახელმწიფო პოლიტიკაში. საფრანგეთის კომუნისტური პარტია ფეხშე დააყენა და მნიშვნელოვანი გავლენაც მოუპოვა, კომუნისტური პარტიის ლერძის ორგვლივ სახალხო ფრონტის შექმნით და ამ ფრონტის უკანასკნელს არჩევნებში გამარჯვებით რადიკალურად შესცვალა საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და მისი დაწყობილი სახელმწიფო ბრივი ცხოვრება არივ-დარია და რევოლუციური მდგომარეობა შეუქმნა. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები სიტყვა სიტყვით ასრულებენ ლენინის ანდერძს — მსოფლიო ომის მოხდენის მსოფლიო სიცალისტური რევოლუციის მოხდენას რომ შეეხება. 1935 წელს, სწორედ იმავე დღეებში, როცა მათი წარმომადგენელი ლიტვინოვი ერთა ლიგის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობდა, მოსკოვში კომინტერნის მეშვიდე კონგრესზე, პარიზში, ბაალში. ამ სტერდამში და კოპენჰაგენში კომუნისტური ცენტრების დაარსებისა და ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით ესპანეთ - საფრანგეთში რევოლუციური მოძრაობის გეგმა სდგებოდა. ამავე კონგრესზე მსოფლიო რევოლუციის ბელადი სტალინისადმი საფრანგეთის კომპარტიის სახელით მირთმეულ მორჩილების აღთქმა ასე თავდება: „ჩვენ მუდამ უყოყმანოდ აღვასრულებთ მსოფლიო პროლეტარიატის უბადლო ბელადის ბრძანებას; ჩვენ მუდამ წინ დავაყენებთ საერთო ფრონტის, რევოლუციისთვის და იმპერიალიზმის შინაოლმდევ ბრძოლის საკითხებს მეტროპოლიასა და კოლონიებში; რევოლუციის გადამწყვეტ დროს, ღრმადა გვრჩამს. გამარჯვება, ვინაიდან ჩვენ ზურგს გვემაგრებს კომუნისტური ინტერნაციონალი, სტალინის დროშით“. ამ მორჩილების აღთქმას ხელს აწერენ ტორეზი, კაშენი, მარტი, დიუკლო და სხ., რომელიც დღეს სოციალისტთა შუალობით ფაქტიურად ხელმძღვანელობენ საფრანგეთის საგარეო და განსაკუთრებით საშინაო პოლიტიკას. საბჭოებთან კავშირმა გაართულა საფრანგეთის საშინაო მდგომარეობა, სამოქალაქო ომის ქადაგება და ამისათვის მზადება სახიფათო მდგომარეობაში ავდებს მის სახელმწიფო ბრძობას. ასევე და კიდევ უარესად გართულდა და გაუარესდა საფრანგეთის საგარეო მდგომარეობა. მის მიერ შინად მტრად მიჩნეული გერმანეთის სახელმწიფო კიდევ მეტ მტრად გადაიკიდა; საბჭოთა რუსეთის მტრე-

ბიც მტრად გაიხადა, წინად მის გვერდში მეგობრად და მოკავშირედ მყოფი ევროპის ზოგი დიდი და პატარა სახელმწიფოებიც აიმხედრა და დაიცილა. იტალიასთან მეგობრული კავშირი ჩამოაღწეო. ტრადიციულად საფრანგეთის მოკავშირე ბელგიამაც საგრძნობლად უკან დაიხია; დიდ სახელმწიფოთაგან ერთად ერთი მისი მოკავშირე ინგლისიც ერთდება მასთან მჭიდრო კავშირს, აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში. ყოველთვის რეზერვებს იტოვებს, ფრთხილობს ჩათრეულ არ იქმნას იმ მშში. რომელშიაც შეიძლება ჩათრეულ იქმნას საფრანგეთი საბჭოთა რუსეთის მიერ. ყოველი სახელმწიფო, რომელსაც საბჭოები და კომუნიზმი მტრად მიაჩნია, ფრთხილად იქცევა საფრანგეთთან ურთიერთობის საქმეში.

ისტორიის ცალკე ეტაპები ხშირად მეორდება. შემჩნეულია, რომ მსგავს მოვლენებს მსგავსივე შედეგები მოსდევს. მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისის სისტემატიური მტრობით დაფიქრიანებულმა ნაპოლეონმა ტილზიტის კავშირი დასდო მის მიერ დამარცხებულს რუსეთთან. გადაეცი ნაპალეონს, სწერდა დამარცხებული რუსეთის მეფე ალექსანდრე თავის წარმომადგენელს ლაბანოვს, რომ რუსეთ - საფრანგეთის შორის მეგობრული კავშირი მუდამ იყო ჩემი სურვილის საგანიო. მეფე ალექსანდრემ პირადათ ნაპოლეონთან შეხვედრისას საღამს თანეე დააყოლა — „მე იმდენადე მძღლან ინგლისელები, რამდენადაც თქვენა გძულსთო“, — „მაშ ჩვენს შორის ზავი ფაქტია“ — მიუგო ნაპოლეონმა. ამგვარად, ინგლისელების სიძულვილზე დაფუძნდა მათ შორის ზავი, რომელმაც რუსეთ - საფრანგეთის სინამდვილეში განხორციელება ვერა პპოვა. სულ ორიოდე წლის შემდეგ ნაპოლეონის მიერ რუსეთში ერჩად მივლინებულ კოლენკური ნაპოლეონსა სწერდა: „ რუსის ხალხისათვის ფრანგების მეგობრად მიჩნევა იმდენადევა ძნელი, რამდენადაც მათ მიერ სარწმუნოების გამოცვლა“-ო. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთზე იმედ-გაცრუებულმა თვით ნაპოლეონმა სთქვა, რომ მან ტილზიტში რუსეთთან ზავი იმიტომ დასდო, რომ რუსეთის მეფემ ვალდებულება მიიღო ინგლისთან ეომან. „ტილზიტში რუსეთთან დადებული ხელშეკრულება უფრო სახითაო და საზიანო აღმოჩნდა ნაპოლეონისათვის, ვინემ სასარგებლო და დამხმარეო“ — ამბობს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ლუი მადლენი. ვერც უკანასკნელი დიდი ომის დროს გამოიყენა შესამჩნევად საფრანგეთმა მოკავშირე დიდი რუსეთი. რუსის ხალხის ბუნება ისეთია, რომ ის სახიროდ და სასარგებლოდ არავის დაუმეობრდება. საბჭოებმა ხომ ამ მხრივ ძველ რუსეთსაც გადაჭარბეს; მათი

თვალთმაქცური და ორსახოვნი პოლიტიკა ხომ ბევრისათვის ცნობილი იყო; საბჭოების მოქმედებამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საფრანგეთსა და ესპანეთში ხომ ურწმუნო თომანიც ბევრს რამეში დარწმუნა. თურმე საჭირო იყო ასი და ორასი ათასი ესპანელი დაღუპულიყო საბჭოების პროპაგანდით გამოწვეულ სამოქალაქო ომში, რომ ევროპას აშეარად დაენახა კომუნისტური საფრთხე. ესპანეთში გავარდნილმა ტყვიამ გამოაფხიზლა ევროპის საზოგადოებრივი აზრი; ესპანეთში გაჩალებული სამოქალაქო ცეცხლის აღმა შეანათა კომინტერნის ბერებს ჯურლმულებში. ფრანგი ცნობილი ყოფილი კომუნისტი დორიო, რომელიც ზედმიწევნით იკნობს კომინტერნის რევოლუციურს გეგმებს, გადაუდგა მას. ყველაზე გააფიქრებითა და თავდადებით იბრძვის კომინტერნისა და მოსკოვის წინააღმდეგ. — „გასწყვიტეთ კავშირი კომუნისტებთან, ვინაიდან ისინი სიკედილს გიმზადებენ“, — მოუწოდებს იგი ფრანგის ერს. „თავიანთი უძლურებით ჩვენმა მართველმა წრეებმა ჩვენი ქვეყანა სტალინს ჩაუგდეს ხელში, თუ მათ არ ზესწევთ გამბედაობა გასწყვიტონ კავშირი მოსკოვთან, ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს კომპანიას ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ თვით ხალხი მოგვაცილებს მოსკოვს“-ო. ამბობს დორიო, რომელიც მეთაურობს ასიათასზე მეტს გამოიტინებულს ყოფილს კომუნისტს. საფრანგეთის მემარჯვენეთი წრეებმა გარკვეული პოზიცია დაიკავეს საბჭოებისა და მათთან დადებული პატრისადმი. ამ მხრივ დამახასიათებელია ბ-ნ ვლადიმერ დორმესონის წერილები, რომელიც უურნალ „ფიგარო“-ში გამოკვეყნდა. ეს ნიჭიერი უურნალისტი ამტკიცებს, რომ ეს პაკტი სამოქალაქო ომისა და საერეო ომის საფრთხის წინაშე იყენებს საფრანგეთს. „საბჭოებმა ბოროტად გამოიყენეს საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება, ისინი ჩაერიენ ჩვენს შინაურს პოლიტიკაში“. „საფრანგეთის დიპლომატია მოსტკუვდა საბჭოთა რუსეთის შესახებ, მან უნდა შესძლოს ამ შეცდომის გამოსწორება“, „საფრანგეთის პოლიტიკა არ შეიძლება დაფუძნებულ იქმნას საბჭოთა რუსეთის ცბიერს პოლიტიკაზე“-ო. სწერს ვლადიმერ დორმესონი.

საფრანგეთ - საბჭოთა რუსეთის დაახლოებისა და პაქტის იდეური მამა და ამისათვის დიდის ენერგიით მებრძოლი ედუარდ ერიო კი ეროვნული სინიდისის წინ დადგა. „საფრანგეთი უნდა დარჩეს თავისი თავისი ბატონი. როცა მე ვმუშაობდი რუსეთთან დაახლოებისათვის, მე დარწმუნებული ეყიავი, რომ ისინი ეზიარებოდენ ჩვენის იდეებით და არა ჩვენ — მათის იდეებით. ყოველ შემთხვევაში, მე დაუშვებლად მიმაჩინა მათი რაიმე ჩარევა საფრან-

გეთის „პოლიტიკაში“-ი, განაცხადა ერიომ რადიკალების ბიარიცის კონგრესზე.

ოდესალაც ფრანგი დიდებრო დიდ ხოტბას ასხამდა ეკატერინე დიდის „ლიბერალიზმს“. ამ „ლიბერალიზმის“ ღირებულება რუსეთის რევოლუციამ გამოაშვარავა. ასე გამოაშვარავდება მოკლე ხანში რუსეთის კომუნიზმის ნამდვილი ღირებულებაც. კომუნიზმა თავისუფლებისა და დემოკრატიის ქურქში გახვეულმა, მხოლოდ ესპანეთსა და საფრანგეთში შემოსდგა ფეხი; ნამდვილი დემოკრატიული და ხალხოსნური ქვეყნები გაურბიან მასთან ყოველ-გვარს კავშირს: ინგლისის მუშათა სინდიკატები ერთხმად უარ-ჰყოფს კომუნისტებთან კავშირს და ჰემობს საბჭოების ინტერნაციონალურს მოქმედებას; ბელგიის მმართველი წრეები გმობენ საბჭოებთან ყოველგვარს თანამშრომლობას; ასევე იქცევიან: ამერიკის სახელმწიფონი, შვეიცარია, პოლანდია და სკანდინავიის ქვეყნები.

თანამედროვე მსოფლიოში არ ასებობს ისეთი იმპერიალისტური და აგრესიული სახელმწიფო, როგორიც არის საბჭოთა რუსეთი. დიდი სახელმწიფოს იმპერიალიზმი გამოისახება ამა თუ იმ ჩამორჩენილი ქვეყნის დაბყრობის ან და მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის მცირედი ნაწილის წართმევის სურვილით. საბჭოთა რუსეთი ცეცხლითა და მახვილით დაიბყრო მასზე უფრო განათლებული და კულტურული პატარა ქვეყნები. აქ არ შეჩერდა მისი იმპერიალიზმი; მან მიზნად დაისახა ევროპისა თუ აზიის, ამერიკისა თუ აფრიკის საქმეებში ჩარევა, მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანგრევა, მსოფლიო რევოლუციის მოხდენა და გასაბჭოებული ქვეყნების მოსკოვის გასალად გადაჭცევა.

საბჭოთა რუსეთი ოცი წელიწადი ემზადა ამ დიდი მიზნისათვის; ამ ნის განმავლობაში მთელი თავისი შესაძლებლობანი სამხედრო შეიარაღებას მოახმარა; კომინტერნის საშუალებით მსოფლიოში კომუნისტური პროპაგანდის წარმოებით ასე თუ ისე ნიადაგი მოამზადა ომისა და რევოლუციისათვის; საბჭოთა დიპლომატიამ მოკავშირები გაუჩინა საბჭოთა რუსეთს. როგორცა სჩინს, საბჭოთა რუსეთი დღეს თავს საკმად ძლიერადა გრძნობს და მსოფლიოში რევოლუციურს ნიადაგს საქმად მომზადებულად. თავსაც მარტოდ აღარა გრძნობს, დარწმუნებულია თავის სპეციფიურ სლავიანური და კომუნისტური მზნისათვის მისი მოკავშირე ბურჟუაზიულს სახელმწიფოებსაც აბრძოლებს.

საბჭოთა რუსეთმა თავის რევოლუციური მოქმედების მთავარს ასპარეზად ესპანეთი აირჩია. უტიფარი რევოლუციური პროპაგან-

დით და ტერორისტული აქტებით სამოქალაქო ომი გამოიწვია; ამ სამოქალაქო ომში დაურიდებლად. საქვეყნოდ ერევა და იარაღითა და ჯარით ეხმარება ესპანეთის მემარცხენე მთავრობას და გა-აფთირებით ებრძების ესპანეთის ნაცონალისტებს. ამგვარად, საბჭო-თა რუსეთი აშკარად ჩაერია ესპანეთის შინაურს საქმეებში; იქ გა-მარჯვებასა სცდილობს და ეკროპისათვის ზურგზი მახვილის და-ცემას ფიქრობს. საბჭოების ამ თავაშვებულებამ სასტრიკი რეაქცია გამოიწვია ეკროპასა და აზის ქვეყნებში. ახლა ყველამ დაინახა საბჭოების ნამდევილი ზრახვენი; ყველა დარწმუნებულია, რომ ეს-პანეტში საბჭოების გამარჯვება დიდი ხიფათში ჩაგდებს ეკროპის ქვეყნებსა და მათს ცივილიზაციას. ფაშისტები იტალია, რომელიც ნეიტრალობის პაქტით იყო დაკავშირებული საბჭოთა რუსეთთან, დღეს ამ პაქტს გაუქმებულადა სთვლის, ვინაიდან ეს პაქტი ფაქტიურად თვით საბჭოთა რუსეთმა გააუქმა, ერთა ლიგაში ეთიო-პის საკითხის განხილვის დროს იტალიისადმი აშკარად მტრული განწყობილების დაკავებით, და კომინტერნის საშუალებით ეკრო-პასა და განსაკუთრებით ესპანეთის საქმეებში ჩარევით. რომი ბრალსა სდებს მოსკოვს ეკროპის საერთო შინაურს საქმეებში ჩა-რევას, ეკროპის ცივილიზაციის დამხობის მიზნით, და მზადაა შე-ცბრობლოს საერთოშორისო პოლიტიკის ფრაგლებზი საბჭოებისა და კომინტერნის გავლენას.

გერმანეთმა ხომ დიდი ხანია რაც აშკარად მტრად დასახა კომუნიზმი და მის წინააღმდევ ბრძოლა თავის უწმინდეს მოვალეობად დაისახა. ამ საკითხის ირგვლივ სრული სოლიდარობა არსებობს რომისა და ბერლინს შორის. მათმა მთავრობებმა შეთანხმებაც მოახდინეს, და რუსეთიდან მომავალი კომუნიზმისაგან ეკროპის დასაცავად საერთო გეგმაც შეადგინეს. ეკროპის ამ ორი დიდი სა-ხელმწიფოს საერთო მოქმედებამ გზა უნდა გადაუკრიას ეკროპი-საკენ მომავალს კომუნიზმს რენანისა და ხმელთა შუა ზღვის მი-დამოებში

ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ფრონტი დასივლეთ ეკრო-პიდან ზორეულს აღმოსავლეთამდე გაიშალა.

ნოემბრის 25-ს ბერლინში ხელი მოაწერეს კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდევ შეთანხმების ტექსტს გერმენეთისა და იაპონიის წარმომადგენლებმა.

„გერმანეთის სახელმწიფოს მთავრობა და იაპონიის იმპერიის მთავრობა ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ კომუნისტური ინ-ტერნაციონალის მიზანია არსებულ სახელმწიფოთა დაშლა - დან-გრევა, დარწმუნებული არიან. რომ შეუძლებელია მოთხენილ იქმ-

მნას კომინტერნის მიერ ერთა და სახელმწიფოთა შინაურს საქმეებში ჩარევა, ვინაიდან ეს ემუქრება არა მარტო შინაურს, არამედ საერთაშორისო მშეიდობიანობას; კომინტერნის ასეთი მოქმედების საწინააღმდეგოდ ეს ორი მთავრობა თანხმდება საერთო ძალებით ებრძოლონ კომუნისტური ინტერნაციონალის მოქმედებას". ასე იწყება შეთანხმების ტექსტი. იტალიაც იზიარებს ამ შეთანხმების აზრსა და მიზანს; ვფიქრობთ, მოკლე ხანში ფორმალურადაც მიემხრობა ამ კომუნისტურს ფრონტს.

იტალია და გერმანეთი უკვე ფაქტიურად თანამშრომლობენ და მოქმედებენ კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მაღრიდის მიღამოებში საბჭოთა რუსეთი აშკარად და ახდილად ებრძების ნაციონალურს ესპანეთს; საბჭოების გათავსედება და ამ სამოქალაქო ომში აშკარად ჩარევა, საბაბს გვეძლებს ვიფიქროთ, რომ გერმანეთი და იტალია დიდხანს ვეღარ შეიკავებენ თავს, სიცუროთილისა და უფლების საზღვარს გადააღავენ და უშუალო მონაწილენი გახდებიან ესპანეთის ფარგლებში გაჩაღებული ომის. ესენი იმდენად ჩაყოლებული და ავანს გაღებულნი არიან ამ საქმეში, რომ უკან დახევა აღარ შეუძლიათ, მათი პრესტიჟის თვალსაჩინოდ დაუზიანებლად.

იტის ისტორიულს ხანაში შევდივართ — რუსეთის ხალხში განსახიერდებულმა კომუნიზმა ჩრდილოეთიდან სამხრეთ დასავლეთით მოუარა კულტურულს ევროპას; მისმა ჯარმა ფეხი დასდგა ესპანეთის მოწია-წყალზე და განადგურებით ემუქრება ევროპასა და მის ცივილიზაციას. მაღრიდის კედლებთან სწყდება ევროპისა და თანამედროვე ცივილიზაციის ბედი. ესპანეთის ნაციონალისტთა მთავარ სარდალი ღენერალი ფრანკო უდიდეს ისტორიულს როლში გამოვიდა. ესპანეთთან ერთად ის იცავს ევროპას, მის ცივილიზაციას, კულტურას, ქრისტიანულს სარწმუნოებას, ჩრდილოეთ რუსეთიდან შემოსეული ურდოებისაგან. არის ნიშნები იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოები ასევე აფასებენ მის როლსა და დანიშნულებას და განმარტოებულს არ მისცემენ პირში ჩრდილო რუსეთიდან ევროპაში შემოსეულს კომუნისტურ ურდოებს.

ელ. პატარიძე

## ზეთა და ზესთა აღნევანი.

და პირისა შენისაგან ვიდრემდე ვივლტოდე?  
ვიდრემდე ვიდე სულისა შენისაგან,  
წინასწარმეტყველი მეფე დავით

მძიმე ფიქრების ამშლელია თანამედროვე ცხოვრება: მას ყოველმხრივ უკიდურესი დეპრესია აქვს მოდებული. მისი თვითეული მხარე დაზიანების ნიშნით არის აღბეჭდილი. საზოგადო დაკრინება და დაქვეითება მის ნიშანდობლივ თვისებათ გარდაიქცა.

საერთაშორისო მიმართებათა მთელი შინაარსი ისევე დეფექტურია, როგორც ცალკე პიროვნებათა მოქმედებანი. სახელმწიფო ორგანოთა მახინჯ სახეს იმავე სიგონჯით ეტმასნებიან საზოგადოებრივი და კერძო შეჯვაფებანი და ამ შეხეთულ სულისშემზარვ ჰაერში ცის ნაგლეჯის ძებნაც კი გაძნელებული არის, რომ თავ-ბრუდასხმულ იმედიხდილებმა ზე მაინც ალაპყრონ თვალნი.

გარეგნულიათ კაცობრიობა თითქოს ისევ ძეველათვე შემოღებულ წესებით ხელმძღვანელობს და თითქოს არც ისეთი თვალშისაც მისი რამ ამტყდარიყოს ქვეყნად, რასაც ძალედოს მოვლენათა და საგანთა საუკუნოებით შემტკიცებულ მიმდინარობისა და განვითარების გადაუკულმართება.

ეჭვს გარეშე, დიდი ომის შემდგომი ხანა ბევრათ განსხვავდება მის წინამდგომისაგან; უფრო მეტსაც ვიტყვა: სოციალსა, თუ ინდივიდუალ ცხოვრებაში არ არის დაშთენილი არც ერთი მხარე, რომ ასცდენოდეს ომისა და მის მიერ გამოწვეულ გარემოებათა ზეგავლენა: აქ ყველანი ერთნაირათ მომწყვდეულნი არიან მოჯადოებულ წრეში.

მაგრამ ხალხთა და სახელმწიფოთა წარსულში განა მცირდათ ჰქონიათ ადგილი ისეთს კათაკლიზმებს, რომლებსაც არანაკლებ ღრმა ცელილება შეეტანოთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში? მები, რევოლუციები, კაცობრები, შეთქმულებები, ამბოხებები და ებრვე სხვა აღრევანი ისეთივე ხანდაშმული ამბებია, როგორც თვით დედამიწის შვილთა კოლლექტიურათ ჩამოყალიბება და დანაწილება.

არსებითად, საზოგადოებრივი მოვლენანი ყოველუამს ერთიდა-იგივე იმმანენტურ, თვით საგანთა ბუნებაში თანდაყოლილ, კანონებით მიმართებიან და ამისაგამოც შესაძლებელი ხდება მათი ამოცნობა და შესწავლა მეთოდიურათ და სტატისტიკურათ. პოლი-

ტკიაცა და ეკონომიკაც დაბოლოს აღშენებული არიან დემოგრაფიის საფუძველზე, ესე იგი, ცოცხალსა და მოძრავ ორგანიზმები, რომელსაც უფრო მეტი ამოსაცნობი „ზედნაშენები“ აღმოაჩიდა, ვიდრე ეს მარქსს ეკონა: ამიტომ ხდება ძნელი და ხშირად თავსა-მტრუები „სოციალ პრობლემის“ წესიერათ გადაჭრა, რადგნაც უანგმოკიდებული მეთოდები, რაიცა სხვადასხვა „დოქტრინებიდან“ ტრადიციულათა და უქრიტიკოთ მიღებული და შეთვისებული გვაქვს. სინამდვილეს სულაც არ უდგებიან. ერთი, ხალხი და ამის მიხედვით ყოველი სოციალი დაჯგუფება, ანუ კოლექტივი და-ბოლოს არის მხოლოდ ჯამი ყველა განკურძომებულ ინდივიდისა, და, როგორც ჰგრძნობს, ჰაზროვნებს და მოქმედებს უალკე ინდი-ვიდი. ისევე ჰგრძნობს, ჰაზროვნებს და მოქმედებს ერიც.

საზოგადოებრივ მოვლენათა აღნუსხვა და მათი კლასსიფიკა-ცია ჩვეულებრივიათ არა სცილდება ნივთობრივსა და, თუ გნებავთ, პირდაპირ მექანიკურ აღწერასა. დასაბუთებასა და განმარტებას. ამნაირათ გაგებული ფენომენი სულ ადვილათ ეტევა წინდაწინევე შემზადებულ ფსევდომეცნიერულ უჯრედში და ასედაამგვარათ გვევლინებიან „მცნებაწი“ და თეორიული თეზისები, რომელთა კარ-რიცატურული „ემანაცია“ მარქსიზმში და სხვა მის მსგავს ტალმუ-დურ დოგმებში არის ახატული...

უკანასკნელ ხანების სოციალ - ეკონომიკურ არეა - დარევებმა და უფროსყოვლისა თმმა ცხოვრება ააფორიაქა და ამოაგდო კალა-პოტიდან ისევე, როგორც არაერთგზით ჰქონია ამას ადგილი საკა-ცობრიო ისტორიაში. არაფერი მომხდარა ამჟამათაც ისეთი, რაი-ცა იმავე სახითა, თუ შესხვაფერებით, საუკუნოებში შთასულ დღე-თაც არ ეხილოთ. გარნა თუ ისტორიას შევეკითხებით, იმასაც გა-ვიგებთ, რომ წარსულში სოციალ დაქვეითებასა და დეპრესიისა შუდამ ელობებოდა ერთიანმ საზღვარი, რომელსაც ვერა სცილდე-ბოდა მატერიული დამფუში ძალა. მისი მიზეზი კი ის იყო, რომ ასეთს შემთხვევებში საზოგადოების წილში იბადებოდა და იზრდე-ბოდა წინააღმდეგი ფაქტორი, ის უსხეულო უჩინარი ძალა, რომე-ლიც ზოგვარ პირობებში სწორეთ რომ უძლეველი ხდება. ეს ძა-ლა სოციალ წრეში ჰმარხია ვითარცა აკციო იმმანენს, და მისი გალვიება და გამოყენება მისივე ბიოგენეტური ყოფით განიზომება. ამ ძალისა ჰზრდის და ამტკიცებს მსოფლმხედველობის იდეალის-ტური პრიმატი, რაიცა აცხოველებს და აღაფრენს ნებისყოფასა და სულიერ გრძნობას გარემოებათა სიდუხცირისა მიუხედავათ! ეს ძა-ლა ის უპირატესი ლამპარია, რომელიც აშუქებს ცხოვრების სა-ვალს და ადვილებს დასახულ მიზანთა განაასებას. ასენაირათ

წარჩიდული პოლიტიკური ჰაზროვნება ერთობლივათ აჯანსალებს საზოგადოებრივ ურთიერთობის ყოველ დარღს, ის ხდება უცილობლათ უფლებრივ შეცნაურების რეგულატორიც; ვინაიდგან უფლება — როგორც ამბობს რედოლფ ფონ იერინგი — არ არის უბრალო განყენებული ჰაზროვნება, ის არის ცხოველი ძალა. ხალხის სიმტკიცე ეთანაბრება მის უფლებრივ გრძნობის სიმტკიცეს; უფლებრივი ეროვნული გრძნობის მოვლა და პატრიოტიზმის ზრუნვა სახელმწიფოს ჯანსაღობისა და ძლიერებისათვის.

ეს ელემენტები ამჟამინდელ ურთიერთობიდან უმოწყალოი განდევნილარიან. ყოველმხრივ მოდებულმა მექანზაციამ შთავერო სული ცხოველი. მატერიული დასაბამი საკაცობრიო მიმართებათა ქვეყნის და დაიდო... მისივე ხელმძღვანელებისაგან; ამას რა თქმა უნდა, მოპყვნენ სრულებით ბუნებრივი „ზედნაშენებიც“. რომლებიც აი უკვე ჩვენს თვალწინ იფურჩქნებიან და იზრდებიან.

და ამ სანახაობით ელდანაკრავნი — ბრალიანიცა და უბრალონიც — ეხლა ერთბამად ყველანი გაპირიან გულუბრყვილოდ: ქვეყანა ინგრევა! ცივილიზაცია განსაცდელშია! ზვავდება ახალი კატასტროფა! ვილუპებით! გვიშველეთ...

მაგრამ — ღმერთო მაღალო! — საიდანა და რაგზით ელიან გამოქამავებას შეშფოთებული და შეიწროებული მოზახილენი? არის კინებ ბრალუდები კარზე მომდგარ უბედურებაში? ვინ, რომელმა „ხელმძღვანელმა“ იტენირთა სოციალ ზნეობისა და სიფაქიზეზე ზრუნვა? გიხილავთ საღმე საღმრთო ნაპერწკლის გამღვივებელნი? ჩამქრობთა რიცხვი ხომ ლეგიონია! და ესენი არიან სწორეთ, კუკუმათ ქვესკნელისაკენ რომ პერიან ღვთაებრივ სახისა და მსგავსების გვამთ! ამათ გამოისობით წარხდა ნიჭი სულიერ სიმტკიცისა და რაინდული ძლევამოსილობისა: ვინც თავის პიროვნებას ჭიათა პედის — გვესწავლის კანტი — მერე აღარ შეუძლიან სჩიოდეს, რომ მას ფეხქვეშა სთელენ!

საით მიექანება კაცთა შემკრებელობითი გონება? კვი რუიტის ჰუმანე გენტეს? ვისი ხელი ახდენს ყველა ამ სოციალსა თუ პოლიტიკურ გზააბნეულობას, რომლისა გამო ნამდვილ საგონებელში არის შთაგდებული აწინდელი თაობა?!..

დრონი კი მართლაც ცუდი ჯურისანი დაგვიდგნენ: ძევლათ რისხეა თავსატყდებოდათ აღმსარებელთა და მოწამეთ: პიროვნება თავისივე ზურგით ეზიდებოდა იდეურსა და რწმენის პასუხისმგებლობას. ეხლა მთელი ხალხი კოლლექტიურად განუკითხავად მომწყვდეული არის ერთგვარ თავდებობაში და სასჯელსაც მასსიუ-

რათ ეწირება: ჩვენი ღროს სოციოლოგია მეტწილათ მარტიროლოგის სისხლით არის „შეზავებული...“

ევოზემსა, ამპარტაენობას, მთავრობისმოყვარეობას, შურსა და გაუტანლობას კარგირამ როდის უშვია?! ეროვნულსა და სახელმწიფურ ლიტერატურის არავითარი კავშირი აქვს განდიდების მანისათან! ბოროტის თესვითა და სოციალ ელემენტების ერთმანეთზე წაკიდებით წარმატება და დოვლათი აროდეს შეძენილა! ირგვლივ მუშტების ქნევითა და ყოველთა მიმართ მუქარით წყნარნიც დაბოლოს ყალბზე შედგებიან! ქვეყანა შფოთმა მოიცავა, სიძულვილმა და მტრობამ ფესვები ღრმათ გაიდგეს... მშვიდობის ღვთაება ცის სივრცეში მიიპარება...“

და ყველა ამის მნახველნიცა, გამგონნიცა და ჩამდენელნიც კიდევ მაინც იძახიან: უბი კაუზა მალი? როდის ყოფილა — გვითხარით ღვთის გულისათვის — რომ თავაშვებულ სიბოროტეს სიკეთე მიმოეფინოს?! „და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოერდა მტრერი მისი, და დასთესა ღვარძლი შორის იჯქლსა მას“... (მათე 13, 25).

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების მეთვალყურე გაოცებას უნდა ეძლეოდეს ყოველ სფეროში გამეფებულ უპასუხისმგებლობის და ამორალობის სანახაობით. ამმარივ კერძო პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვით სახელმწიფონი ურთიერთ შეჯიბრებაში არიან: „გავიხსენოთ თუნდაც ვალების საკითხი და მასთან დაკავშირებული მორატორიუმები, თუ პირდაპირ უარისთქმა; ან კიდევ მრავლისაგანმრავალი სხვა სახის ხელშეკრულებები. გარნა მაგალითების ძებნას ნუ გამოვუდგებთ თანახმად ქართული დაკვირვებისა: „სანებვეს ჩამდენსაც გაძქექავენ, იმდენი უფრო ასუნდებაა!“ უზურში ისიც გამოაშეარავდა, რომ ვერავითარი ტრაქტატები და პატრები, რაგინც ბლომათაც უნდა იწერებოდენ, ვერ უშველიან მშვიდობიანობის საქმეს, უკეთუ საზოგადოებაში საერთო დაკარგული არის ნდობა. უფლების პატივისცემა დღეს განდევნილი არის სოციალურ შეგნებიდან!“

მაშ როგორიღა უნდა იყოს ყოველდღიურ ცხოვრების შიხარისი? რას უნდა დაემსგაესოს ასეთს საფუძველზე აგებული საზოგადოებრივი შენობა? თუ დავვთანხმებით ფილოსოფონსა და ღვთის მეტყველს, რომელიც უფლებას ზნეობის მინიმუმს უწოდებს, იძულებული ვიქნებით ისიც აღვიაროთ. რომ არცთუ ისეთი დიდი მას ძილი გვმიჯნავს ნამდვილ სოციალ დევრადაციისაგან!

აწი ტიპიურია ის, რაც უწინდელს დროში გამონაკლისად ხდებოდა: რომის მხედართმთავარმა მარიომ, კიმბრებს როცა ეომებო-

და, ერთი ქალაქი დასარბევათ მიანება იმ ჯარისკაცებს, რომლებმაც ვაჟკაცურათ იბრძოლეს მტრის წინააღმდეგ. მას შევნიშნეს, რომ ის თავის უფლებებს აჭარბებს და რომ კანონი ცხადათ მეტყველებს ამგვარ შემთხვევებისათვის. იქნებ ასეც იყოს, მიუგო მან, მაგრამ იარალის ხმაურმა შემიშალა გამეგო, რას ამბობენ კანონებიო... ეს ფრაზა ჩვენს უამთა შინა იოლათ შეუძლიან წარმოსთვეს სარდალმაცა და მინისტრმაც, დიპოლმატმაცა და დეპუტატმაც!

კანონი დამორჩილებასა თხოვლობს. პირობაც იდება არა იმ მიზნით მარტო, რომ კონტრაგენტმა ისარგებლოს იქიდან გამომდინარე უფლებებით, ხოლო უფლებელჲოს ვალდებულებანი. პირობის გატეხა სახელის გატეხას უდრის. წესიერ ფუძეზე მდგომ საზოგადოებრივ მიმართებაში ამისი ჩადენა სათავილოა, საძრახისი. სახელმწიფური და საერთაშორისო აქტები უბრალო მომაკვდავთათვის დაფარულ თვალთმაქცობით ფაქტიურად ხსნილარიან ამ ნორმების დაქვემდებარებისაგან: ჩვენს დროში მორალი ეთიკის ნომერელატურას და შეტრჩა!

სიყალბესა და მზაკვრობაზე შემდგარ საკაცობრიო ცხოვრებას ვერ იხსნის გახრწნისა და გადავგარებისაგან ვერც საერთაშორისო სალაყბოები და ვერც დიპლომატიის უხეორმ მახინაციები. ან როგორ გინდათ გასანალდებელი გამოდგეს ამათი წინამდლერობით ფონს გასვლა, როცა თვით მათივე „მეცნიერებითა თუ უმეცრებით“ ჩრდებიან და ფეხსიკიდებენ ხრწნისა და რღვევის ფაქტორები?!

არა, ასეთი იმედები — დრომ მოიწია — რომ გადაიბერტუონ ყველა იმათ, ვინც არამც თუ არ არიან ჩაბმულნი ამეამინდელ კათავასიურ ფერხულში, პირიქით არამკითხე მაცხონების ნამოქმედრით თავათ მსხვერპლათ ქცეულარიან.

არა, არა! მიმოვაშოროთ ყველა ამას ჩვენნი დამშერალნი თვალნი! გადავიგდოთ შემუსხრილ გულიდან ამ გაყოლებით ლოდინი და ნატერა! შორს მაცდურ მისტიფიკაციისაგან!

ხოლო ერთის აღნიშვნა მაინც მინდა დამთაცრებისას, რომ თუ მას კიდევ უწერია ბოროტებისა და საყოველთაო გავერანებისაგან თავის დახწევა, თუ ნათელი სიმართლისა სავებით არ შთამერალა, თუ დაშრეტილ ნებისყოფისა და სულის აღორძინების შესაძლებლობა ესქატოლოგიურ საყოფელში არ არის გადასროლილი. — მაშინ აღმოჩნდებიან ის ძალიც, რომლებიც განვოზილათ ააფრილებენ დღეს ტალახში ამოსვრილ მორალის დროშას: „და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თვალნი და აღიპყრენით თავნი თქვენნი, რამეთუ მოწევნულარს გამოხსნა თქვენი“ (ლუკა 21,28).

რ. ინგილო

## ՇԵԿՈԾԵՑՈ ՈՒԾԱԼՈՒԱՑՈ

Շամինի, մշսովունո, տաճամեժրուց օրուալու... ամ սացանից մհա-  
 զալո Շիցնի დակիցրա և սեցա դա և սեցա վըպնեցնի դա կըլազ մրացալո  
 քակիցրեցա. հիշենո գամուցմուն նոմա առ գազածլուց ամ սայոտետա աւը  
 վրկլագ գանենոլցուն սամշալցեցա. մացրամ սացանուն վրկլագ Շեքեցա  
 պուզելուցուն առ նունաց կուզց մուս ուրիմագ գանենոլցուն. ամ Շեքրուլց-  
 ծուտ հիշեն գրանդա գազայմապոցուլուն յարտացը մուտեցելուն մեռ-  
 լուն մոնոմալուրո մոտեղունուցրեցա. սումտացը դա սուբրո մուրուլ  
 մուզելունատա առնունցնա մաս մուսպամ յարտացը գասալցեց գասացեցագ  
 դա գասապնունագ մհացալ ամեցաւա դա նաֆրուտա, հոմելուաց ու եւցե-  
 ծա պուզել-գլուխ լինուրունցնա.

Պուզել գումա սանցագուցերուու մոմհանձուն. հաց յո սեկուլաց ս  
 մեռլունու սէտորիուն մհացալ սանցունցտա մանձունից, մոյեքուցա տա-  
 ցունու մամա-մտացարու, գամոմիշպաց մետասուրո դա եղլմծլցանցուն, սու-  
 լունու համգումելու դա գանսանցուցրեցա. ասյու մոմհանձուն պուզելուցուն  
 չպաց ուրցուս դա անհուն մուսպամ դա սուզց մուս ուրցանինամուրու, հա-  
 լուտա Շեմայաբնուրուցրելու դա մոյմեցցուն, սայմունունուն սակուն մնչուրո-  
 ծելու. գումա սանցագուցերուու դաչցուցը պուզելուցուն չյիմնու  
 յարտաց տացուսեցնուն մորալու, նեղունուու սակես դա ամ սույրուն-  
 ծաց մաս ենուրագ գամունինցուն գուրունցնա. հոմելուու յիշուցա ասյուու  
 մոմհանձուն Շեմինելագա դա գամուսանցուլցեցա. ուշուատու մուզելուն, հո-  
 ցեսաւ յարտու գուրունցնա յիշուցա գումա մոմհանձուն պայլա ամ տայ-  
 սեցատա Շիցարուն դա մարտահեծուն. ծենուրու մշսովունու սուտուն այց-  
 տու գուրունցնա գանենուրուն մոմհանձունատցուն դա պյուսան նաուլուա,  
 ու համգունատ Շեսուսելունուրուցրելու դա Շեգուլցուցրելուն մաստան մոյ-  
 լու մուս ուրցեցա.

Ամուս գամու, հասայցուրուցը լու, գորուագ մեյլուա ծենուրու մշսովուն-  
 ուն մոլցանցունանի դա մուս ծենցնանի գամոնանցտա դա գամուցու սէտու  
 մեարցեցուս, հոմելուու Շենուցրեց մուզոմինուտ սակունուու մուս գուրու-  
 նուն սայուտրեցալ, մուս գանսայուտրեցուլու մեռնուն անարցելագ.

Ագամունու գորուագ հուտուլուա, հոգուրուց յունիյուրագ, ուշուագ դա, կուզց սուբրո, սուլուրուգ; մուս սեյսուն մհացալ մոլուարու  
 սուչրեցեցիւն Շեսգցեց դա յու մոլուարու սուչրեցու արասուցս արուս  
 գալացցեցնուն. սացեցուտ յարտանուրու. ամուտ սունեցնա, հոմ ագամուն-  
 ուա Մորուն մունուն մեցայցնա դա յարտուցրունցնա, մա-  
 զրամ արասուցս սուլուն ուրցնուրուն. ագամունուն սուլու կուզց սու-  
 բրու հուտուլունուսա, սուբրո մհացալ յուրունցնա դա մուս Շե-

მაღვენელ ნაწილებსაც რომ უჯრედები უწოდოთ, ამ უჯრედთა რიცხვი უთუოდ განუზომელად უფრო დიდია. ამის გამო კერძო ერთი მოვლენა ადამიანის ცხოვრებისა, ვერც კერძო და საზოგადოებრივი ვერ დაიფლობს და დაიპატრონებს ადამიანის სულის მთელს შემადგენლობას. მუდამ დარჩება ამ მოვლენასთან არ შეერთებული და არ შეხმორცებული სულის ნაწილები. თითქოს ბუნება მუდამ ზრუნავს იმაზე, რომ ერთხელვე შექმნილი ინდივიდუალობა სავსებით არ გაქრეს და სავსებით მეორეში არ გადავიდეს. ქვემოდ ჩვენ შევვხებით ფაშისტურ შოდრაობის აღმოცენებასა და იქ დავინახავთ, რა ძალა და ღირებულება შეჰქმარა ამ დიდს ეროვნულს შოდრაობას მისმა მამა-მთავარმა.

ხოლო ამ ეამად ჩვენ გვინდა ოღნიშნოთ მუსოლინის მოლვაწეობის ზოგიერთი მხარე. რომელიც ასევე ამ დიდი მოძრაობის ჯამში მოთავსდა, მაგრამ იქ დარჩა. როგორც განსხვავებული, მუსოლინის განსაკუთრებით თვისებათა გამოსახულებად. რომელიც მას დარჩებოდა ყოველს სხვა პირობათა და გარემოებებში, იქნებოდა ის ფაშისტური, თუ სხვა ნაციონალურ საქმის მონაწილე, იტალიის სახელმწიფო მოღვაწე. როგორც მრავალი სხვანი, თუ მხოლოდ ეურნალისტი და ხალხური ტრიბუნი.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ ყველა ასეთ თვისებათა კვლევა-ძიების მოხდენას. ეს მოითხოვს საგანის ფრიად ღრმად შესწავლას და ეს საგანიც ისეთი ბუნებისა, რომ ხშირად ასეთი ღრმა კვლევაც შესაძლოა მკითხაობად გადაიქცეს.

ბენიტო მუსოლინი, იტალიურ სოციალისტურ პარტიის ერთერთი მეთაური. ახალგაზრდა ტრიბუნი და ნიჭიერი ეურნალისტი, მსოფლიო ომის დასწუყისშივე იღებს ახალ გეზს. სოციალისტური პარტიის ოფიციალურ ხაზიდან ფრიად განსხვავებულს. სოციალისტური პარტია, თანახმად თავის დოგმისა. ზავს იცავს და არა მარტო იტალიისათვის, არამედ საზოგადოთ. მუსოლინი ომს ქადაგობს და ეროვნულ მიზნების გასანალდებლად მსოფლიო ომში ჩარევას მოითხოვს; ის ჰქმის თავის გამოცემას, აარსებს ინტერვენციონისტთა რევოლუციონურ ჯგუფს და უპირდაპირდება არა მხოლოდ თავის სოციალისტურ პარტიას, არამედ ყველა სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს. რომელიც ასევე ნეიტრალიტეტს იცავენ. იტალია ერევა მსოფლიო ომში და მუსოლინიც ჯარისკაცად მიღის. ომში ის მძიმე ჭრილობას იღებს, უბრუნდება მწერლობას და მოქმედებას და

ანახლებს ახალ დაჯგუფების საქმეს. 1919 წელს ის აარსებს „ბრძოლის ფაშის“ პირველ რაზმებს ტურინგში. ბოლონში, პიზაში და სხვაგან, რაც ფაშისთა რომის 1921 წლის ნოემბრის კონგრესის შემდეგ ნაციონალურ ფაშისტურ პარტიათ ცხადდება. უკვე 1920 წლიდან იწყება ფაშისტურ რაზმების აქტიური ბრძოლა კომუნისტებთან, რომელიც აქტიურ რევოლუციონურ ბრძოლას იწყებენ, გაფიცვებს აწყობენ და შემდეგ ნამდვილ სამოქალაქო ომს აჩალებენ. კომუნისტები თავის მხრივ ჰქონიან წითელ გვარდიას და გაფიცვებთან ერთად მოელ სამრეწველო რაიონებს ხელში იგდებენ, ქარხნებს იკავებენ და იქ იკალათებენ. ამ ბრძოლაში ორივე მხარე ზმირად მიმართავს იარაღს და სისხლის ღვრა იწყება. ხელისუფლება თავს ვერ ართმევს ასეთს მდგომარეობას. თუმცა სხვა და სხვა პოლიტიკური კომბინაციები ეწყობა პარლამენტში, და მთავრობებიც ხშირად იცვლება.

ეს პროცესი დასრულდა 1922 წლის ოქტომბრის დამლევს, როდესაც ფაშისტურმა პარტიამ გადაწყვეტა სახელმწიფობრივი საპის რევოლუციონური გზით ხელში ჩავდება. მუსოლინმა ყველა ფაშისტურ რაზმების მიბილიზაცია გამოიცხადა და 26 ოქტომბერს დაწყონ რომზე გალაშქრება. ფაქტას სამინისტრო გადადგა; იგი მოწოდებით მიმართავს ერს და საალყო წესების გამოცხადების დეკრეტს ურდებნს მეფეს. აქ იწყება გადამწყვეტი მომენტი. რომლის მსახავი რომ მრავალი არ უხილავს თავის ხანგრძლივს ისტორიის მანძილზე.

იტალიის მეფემ დეკრეტს ხელი არ მოაწერა. ხოლო ფაშისტური ლაშქრის ბელადი კვირინალში მოიწვია. არ არის ადვილი სისწოლით წარმოდგენა იმ განცდებისა, რომელიც ექნებოდა მუსოლინს იმ წუთში, როდესაც მას მეფის ბრძანება გადაეცა. მას უნდა შეეჩერებინა რომისაკენ მსვლელობა და უნდა დაეტოვებინა თავისი ლაშქრი. რაოდენ დოზი ნორბა იყო საკირო მეფისადმი. მაგრამ ესეც ხომ არ იყო საკმარისი? ის მიღიოდა მტრების ბანაკში, სადაც ადგილად გამონახავდენ საშვალებას. რომ არც მეფის სიცუვა დარღვეულიყო და არც მუსოლინის საქმეს მისცემდა გამარჯვება. რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ეს ფაშისტური ლაშქრობა. უკეთუ მის ბელადს მოლაპარაკებით შეიქცევდენ ხანგრძლივად, უკეთუ დაიწყებდენ კომპარომისების ძებნას? და უკეთუ მუსოლინი არ წავიდოდა დიდს კომპარომისებზედ, ხომ იყო შესაძლებელი. რომ ეს შექმნიდა ახალს მდგომარეობას ორივე ბანაკში? ფაშისტურ ძალებში იგი მერყეობას შეიტანდა, ხოლო მოწინააღმდეგე ბანაკს გააერთიანებდა და მომზადებისათვის დროს მისცემდა. მეორეს მხრივ,

იმ ხანად ბრძოლა სწარმოებდა ორი ძალის შორის. ერთს მხარეზედ იყო ფაშისტური პარტია და მეორეზე ზედ-ნაკლებად ყველა ძველი პოლიტიკური დაჯგუფებები. განვლილ წელთა მაგალითების მიერ-დვით მუსოლინის ნაანგარიშევი ჰქონდა. რომ რომები გალაზჭრებით იყი საბოლოოდ დაამარცხებდა ამ ძალებს და სახელმწიფოებრივ სა-კეს ფაშისტურ პარტიას ჩააბარებდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ამ ბრძოლაში შესული მესამე ძალა — სამეფო ტახტი. სავოის დი-ნასტია, რომელსაც დიდი აეტორიტეტი ჰქონდა გლეხობასა და მოელს ხალხში და მისი ჯარი, რომელსაც სრულიად არ შეხებია სამოქალაქო ომის ალი და რომელსაც მეთაურობდენ მარშალი დი-აცი და ღენერალი ბადოლი... როგორ დააფასებდა ეს მესამე ძალა ფაშისტურ ლაშქრის გადამწყვეტ ნაბიჯს? მისთვის ხომ არ იყო სა-იდუმლო, რომ ამ ფაშისტურ ლაშქრის დიდი ნაწილი უკიდურესი აზრებით იყო შეპყრობილი სოციალურს საკითხებში და საქმაოდ გაულენთილი რესპუბლიკანური სულისკეთებით? რით შეიძლებო-და გამართლება გადამწყვეტ ბრძოლისათვის დარაზმულ ძალის დატოვება და თვით მისი ბელადის მტრის ბანაში დესპანათ წასვ-ლა? უსაზღვრო ნდობით მეფისადმი, თუ რაინდული სულის გამო-ძახილით, რომ არაეს ჩაეთვალა მუსოლინისათვის ასეთი მოწვევის არ-მიღება, ან თვის მაგიერ სხვისი გაგზავნა ერთგვარ სულმოკლე-ობად, სიმხდალედ?

მუსოლინი წარსდგა მეფის წინაშე. მეფემ გამოუცხადა მან, რომ მთავრობა მოითხოვს მისგან საალყო წესების გამოცხადებას და ფა-შისტურ რევოლუციის წინააღმდეგ ჯარის გამოყვანას. მაგრამ მე უარყვავი ეს გეგმა, მთავრობის გადადგომას ხელი მოვაწერე და ახალი მთავრობის შედეგენას თქვენ განდობთ, დასძინა მეფემ. მეფის ამ სიტყვებზე მუსოლინმა ისტორიული სიტყვებით უპასუხა: „მე ვიბარებ იტალიას დაქაქსულს და დაუძლურებულს და მალე მას ჩაგაბარებთ გაერთიანებულს და ძლიერს“-ო.

ძნელად საანგარიშოა და ასაწინავი, თუ რომელმა მხარეშ გამო-იჩინა ამ ორ პიროვნებათა შორის მეორისადმი მეტი რწმენა და ნდობა 1922 წლის 26 — 29 ოქტომბრის გადამწყვეტ წუთებში, და ასევე ძნელად გამოსაცნობია, თუ რომელმა მხარემ გამოიჩინა მეტი რევოლუციონური გადამწყვეტილება და გაბედულება — მუსოლი-ნმა, რომელიც იყო მუდამ იყო რევოლუციონერი, თუ სამეფო გვირგ-ვინის მატარებელმა ვიქტორ ემანუელმა, რომელმაც პირველად და ასე ფართოდ გაუღო რევოლუციას თავის კვირინალის სასახლის კარები.

ასე მოხდა ამ ორი ძალისა და პიროვნების არა მარტო დაზავება, არამედ დამეგობრება და შეღულება და ის არასოდეს დარღვეულა მას შემდეგ. რასაკვირველია, ყოველდღიური პოლიტიკის ხელმძღვანელი, მმართველი პარტიის ბელადი და დიქტატორი უფრო სჩანდა ქვეყნის სათავეში, ვიდრე სუვერენი. მუსოლინის პიროვნება ამის გამო თითქოს ჩრდილავდა მეფისას. ამით ისარგებლეს სასახლეს დაახლოვებულ ზოგიერთმა წევრებმა და ამ მოვლენის ნიადაგზე ინტრიგის ქსელების გაბმა განიზრახეს. მაგრამ საკმაო იყო, რომ მეფეს შეემჩნია მასთან დაახლოვებულთა ვადაკრულ-გაღმოკრული სიტყვების ბუნება, რომ მეაცრი ბრძანება მიეცა მის ავტორისათვის, რომ მასთან არავის გაებედა მუსოლინის მოქმედების რაიმე დაგმობა და კრიტიკა. მაგრამ მეფის შემდეგ რჩებოდა ახალგაზრდა მისი მემკვიდრე და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ეხლა იქ დაიწყო ფარული ქსელების გაბმა, მაგრამ აქაც უშედეგოდ.. მუსოლინს, რასაკვირველია, აფრთხილებდენ ამის შესახებ. ხოლო მისი რეაქცია სულ სხვა იყო, ვიდრე მოელოდენ მისი მახლობელი. თუ ინტრიგის ავტორები. მუსოლინმა აქტიურად ჩააბა მეფის ოჯახის წევრები სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ტახტის მემკვიდრე განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვილ წევრად მიიწვია სენატში და ასევე მთავრობაში კველა დიდი საკითხების გადაჭრის დროს. ამავე დროს ტახტის მემკვიდრე თვითონ ირჩევს მოღვწეობის სფეროს და მხედრულ საქმეში ჩაება, როგორც ჩვეულებრივი მხედარი. სამეფო გვარეულობის სხვა წევრებიც პასუხისმგებელ პოსტებზე იქმნენ მოწვეული სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა დარგში.

დარჩა კიდევ იტალიის ქველი არისტოკრატია — მეფისა და პაპის თავადაზნაურობა. გასაგებია, რომ მათ შორის ბევრი იქნებოდა მეტად აღშოთებული იმით, რომ ვიღაც მჭედელის შვილი ბელადობს იტალიას და ერთვარად კიდევაც ჩრდილავს სავოის დინასტიას. ამ წრეთა მრავალი სალონები გადაჭირებული იყო ერთვარ ფარული ოპოზიტის ბუდეთ და იქ წარმოებული ღვარძლიანი მითქმა - მოთქმა ხშირად სცილდებოდა ამ სალონების კედლებს. გასაგებია, რომ მუსოლინის თანამშრომლები ადვილად ვერ შეუტრიდებოდენ ამ მოვლენას, ხოლო თვით მუსოლინი მას ადვილად იტანდა და ამ წრეთა მიმართ არავითარ ჩეპრესიებს არ მიჰმართავდა. წინააღმდეგ ამისა, მრავალი ამათვანი ინიშნებოდა საპასუხისმგებლო პოსტებზე, რომელიც მათთვის ადვილად მისაწვდომი არ იყო წინეთაც. როდესაც იტალიას მათი სისხლის მეთაურობა ჰყავდა. ამბობენ, რომ ეს ფარული კამპანია და მითქმა - მოთქმა საცსტიო აღმოიფხვრა მხოლოდ აბესინიასთან ომის დაწყების შემდეგ.

დარჩა კიდევ ერთი მოხუცი თავადი, მალტიის ორდენის გროს-მაისტერი. ამ ორდენის მეთაური, ორდენის საშუალო საუკუნეებში მიღებულ სტატუტის მიხედვით, სუვერენ მეფეთა რანგის მატარებელია და ის მუდამ უხერხულობას განიციდიდა ოფიციალურ ცერემონიების დროს იმ შიშით, რომ მეფის გვერდში მახვი ასლო მუსოლინი არ მოხდომდა. მუსოლინმა ეს დიდი სიძნელეც გადალახა და თვითონ ცდილობს არ ჩააყენოს ეს პატივცემული მოხუცი უხერხულს მდგომარეობაში...

ამრიგად, ფაშისტური რევოლუცია მტკიცედ დაუკავშირდა სამფონ ტახტს და გახდა მისი საიმედო დამცველი. მაგრამ იტალიაში აქვს თავისი რეზიდენცია მეორე ტახტს და დინასტიას, მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის ტახტს. რომის იმპერიის დამხობის შემდეგ ეს ტახტი ინახვდა კიდევ მრავალ ელემენტებს რომაული იმპერიისა. ძველი რომის იმპერიის ნანგრევებში რომ ეს საეკლესიო იმპერია არ აღმართულიყო, ვინ იცის როგორი იქნებოდა იტალიის ბედისწერა? მთელს მსოფლიოში ფესვებ გადგმულმა რომაულ ეკლესიამ მრავალი გზა და ასპარეზი გმომუნახა იტალიელთა შემოქმედების ყოველ დარგს — მატერიალურს თუ სულიერს პეტრე მოცეკვულიდან დაწყებული რომის საეკლესიო ტახტს 260 პაპი ბრძანებლობდა. ამათ შორის ფრიად მცირეა არა იტალიელთა რიცხვი, ხოლო საეკლესიო თავადების, კარდინალების უმრავლესობას მუდამ იტალიელები შეადგენდენ. ეს ძალა მრავალი მნიშვნელოვანი ძაფებით აკავშირებდა რომთან მსოფლიოს ყველა კუთხებს და მით ამაგრებდა იტალიას ეკანომიურად, უდიდეს ასპარეზს უქმნიდა. მის ხელოვნებას, მწერლობას და ერის ყოველივე შემოქმედებას.

გაერთიანებული იტალიის სამეფომ, 1870 წელს, ომით დაიპყრო და შეიირთა რომი, საღაც პაპი იყო ერთად ერთი სუვერენი, როგორც სასულიერო, ასევე საერო ცხოვრებისა. კათოლიკურ ეკლესიის საჭის მპყრობელი ჩაიკეტა ვატიკანის კედლებში და ამის შემდეგ, 60 წლის მანძილზე, არც ერთი პაპი მის ზღუდეს არ გადასცილებია, რომ ფეხი არ დაედგა იტალიის სამეფოს მიწაზე. შემდეგ წელს იტალიის სამეფომ გამოსცა გარანტიის კანონი, რომელშიდაც აღთქმულ იყო პაპის ტახტის მდგომარეობის მოვარება იტალიის სამეფოში, მაგრამ ეს განუხორციელებელი დარჩა.

ფრანგებს კრისპის, გარიბალდის თანამებრძოლას, დიდს პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც იტალიელი ფაშისტები სოველიან ერთ ერთ თავის წინამორბედთა, ნათევამი აქვს ამ საგანზე: ვინც ამ „რომაულ დავას“ მორიგებით დააგვირგვინებს, იგი დაიკავებს რჩეულთა შორის რჩეულის ადგილს იტალიის ისტორიაშით. მაგრამ სამოცი

წლის მანძილზე ვერავინ შესძლო ამ ორი, სასულიერო და საერთო ძალის შეთანხმება და შერჩევა, ვერც საქრო და სასულიერო სუვერენებმა და ვერც მთავრობებმა, რომელიც მუდამ იყვნენ კარგი კათოლიკები და კათოლიკიზმის დამცველნი.

ამ მძიმე და მწევე საკითხის მშენდობიანად გადაჭრა შესძლო ბენიტო მუსოლინიმა, რომელიც მთელი თავისი წარსული მოღვაწეობით მეტად დაშორებული იყო ორივე მოდავე სამყაროს. სადაც საკითხები შეეხებოდენ ორივე მხარისათვის ფრიად რთულს ინტერესებს, საგარეო და საშინაოს, ტერიტორიალურსა, ეკონომიკურსა, ფინანსურს და კულტურულს. 1929 წლის, ლატარნის ხელშეკრულობაში მოიპოვეს მათ ღირსეული გადაჭრა ორივე მხარისათვის მისალები და დამატებით დამაკაყოფილებელი.

უთუოდ განსაკუთრებული ინტუიციური შინაგარძობა იყო საკირო ამ საქმის მთელი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად იტალიისათვის, და ასევე უდიდესი ნიჭი პოლიტიკური არქიტექტურისა, რომ ასეთი მტკიცე ზავი და თანხმობა დამკვიდრებულიყო საუკუნივან ბრძოლათა და უთანხმებათა ნიადაგზე.

საყურადღებოა აგრეთვე გამარჯვებულთა დამოკიდებულება იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომელთაც ფაშიზმა წაართვა ძალაუფლება. ამათთან ფაშისტებს აქტიური ბრძოლა ჰქონდათ რამდენიმე წლის მანძილზე, ბრძოლა, რომელიც ხშირად სისხლის ღვრით თავდებოდა. ბუნებრივია, რომ ეს ძალები იარაღს არ დაჰყრიდენ ახალს პირობებში და ისიც ბუნებრივია, რომ ფაშისტური წრეები გაუღენ-თილი იქნებოდნენ ამ ძალების მიმართ შერის ძიების გრძნობითა და მათი სასტიკად დასჯის წყურვილით. დანალეარ სისხლის გავლენაც რომ არ ყოფილიყო. ისტორიის მრავალ მაგალითის მიხედვით, პარტიულ თუ პიროვნულ დოქტატურას ისედაც ახასიათებს სიმკაცრე და მოწინააღმდეგეთა მიმართ სასტიკი მოქცევა. უთუოდ მუსოლინის პიროვნულ თვისებებს უნდა მიეწეროს ის გარემობა, რომ მისმა რეერიმა აიცინა არამც თუ ეს შურისძიების გზა, არამედ დიქტატორულ რეჟიმისათვის ნორმალურ დონეთ მიჩნეული სიმკაცრეც.

მე ვფიქრობ, რომ ასეთს აზრს იზიარებენ უკვე თავის გულში ისინი, ვინც სულ სხვა რამეს მოელოდენ და 1922 წლის ფაშისტური რევოლუციის შემდეგ უცხოეთში გაიხიზნენ. ამათი დიდი უმრავლესობა დაბრუნდა უკვე იტალიაში, ხოლო ვინც არ დაბრუნებულა, ამათშიდაც ბევრი უთუოდ ისეთებია, რომელიც სამშობლოში

• არ ბრუნდებიან არა შურის ძიების შიშით, არამედ მრავალ სხვა მიზეზით.

ფაშისტურმა რეჟიმმა, რასაკვირველია, ფრიად შეკვეცა მოქალაქის უფლებები. მაგრამ არა ისე ფართოდ, ჩოგორუც ეს ბევრს აქვს წარმოდგენილი. უფლებების შეკვეცა შეეხმ მხოლოდ პოლიტიკურ სფეროს. სახელმწიფო უფლებებიც ცხოვრებაში არ არის დაშვებული სხვა დაჯგუფებათა მოქმედება, გარდა ფაშისტურისა. ამის მიხედვით, შეზღუდულია პოლიტიკური პრესის თავისუფლება. ხოლო რაც შეეხება პიროვნულ, მოქალაქობრივ, ოჯახურ და სხ. უფლებებს, აქ ძალაშია ძველი კანონები და ზოგან კიდევ უფრო გამაგრებული სწორედ ამ უფლებათა სასარგებლოდ. ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლთა ძალებიდან ბევრი უცხოეთში გაიხიზნა, მაგრამ გაცილებით მეტი თავის ქვეყანაში დარჩა. მათ არ უხილავს არპრესიები ძველი მოლვაშეობისათვის. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ახალი მათი მოქმედებათა შესახებაც არ ყოფილა დაწესებული მკაცრი წესები და სასჯელი. ამ ხუთმეტი წლის მანძილზე მრავალი შეთქმულობა იქმნა აღმოჩენილი ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. კიდევ მეტი, თვით მუსოლინის მოკვლის ცეკვნდა ადგილი და ისიც ექვს-ჯერ, და ერთხელ დაჭრილიც იქმნა. არც ერთს ასეთს აქტეს არ მოჰყოლია სიკედილით სასჯელი არამც თუ შეთქმულობის მომწყობთა დამხმარე, თანამგრძნობ და მშობელ-ნათესავისა, როგორუც ხშირად მომზდარა სხვაგან ასეთს შემთხვევაში, არამედ შეთქმულობათა და ტერორისტულ აქტების ფიზიკურ მონაშილეთათვისაც.

ვფიქრობ, რომ მუსოლინის შეურიგებელ, მაგრამ პატიოსან მტრებსაც არ გაუმნელდებათ იტალიის ბელადის პიროვნების ასეთი ზომიერი და ჰუმანიური ბუნების დანახვა. არც ის უნდა გახდეს სადაც, რომ მუსოლინის ასეთმა თვისებებმა ფრიად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის მიერ შექმნილს მოძრაობასა და იტალიის პოლიტიკურს და სოციალურს სინამდვილეზე.

ფაშისტური რევოლუციის ღრიანდელ მუსოლინის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთაგან დღეს მრვალი იმყოფებიან მის მახოლბელ თანამშრომელთა წრეში, და თავის მოლვაშეობის დროს ნათლად ხედავენ, თუ არამდენად შემცდარი იყო წინააღმდელი მათი წარმოდგენა ფაშისტურ მოძრაობის შესახებ. ამას მკითხველიც დაინახავს, როდესაც ჩვენ ფაშისტურ წყობის უმთავრეს საფუძვლებს განვიხილავთ. ფაშიზმის პატიოსანი მოწინააღმდეგენი ვერ უარჲოფენ, რომ ფაშიზმის მიერ პოლიტიკურ თავისუფლების შეზღუდვა არ აღმოჩნდა ისე ფართე, როგორუც ისინი ჰეთიქობდენ. შეზღდუვა შეეხმ

ასეთს სფეროს, სადაც ხალხის ფართზე მასსებს არ ჰქონდათ დიდი რეალური ინტერესი. ეს უფლებათა შეზღუდვა დაწვა უმთავრესად აქტიურ მომუშავე პარტიის წევრებს და პოლიტიკურ პრესის მუშავთ, რომელნიც უთუოდ მოელი მოსახლეობის რიცხვის ერთს მეათედს პროცენტსაც არ შეიცავს. ეს შეზღუდვა ჩამოდენიმედ, რასაკვირველია. თვით ხალხისთვისაც იქნებოდა საგრძნობი, რომ მას არ მიეღო ამის ნაცვლად მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კომპენსაცია სოციალურსა და ეკონომიკურს სფეროში. ამ სფეროში ინდივიდუალურ უფლებათა შეზღუდვა შეეხმ კაპიტალისტურ წრებს და შეეხმ მათ ფრიად საგრძნობლივ. ამ წრის ეკონომიკური ძალა ფაშიზმს არ გაუფლანგავს, არამედ იგი შეემატა ხალხის ფართზე მასსებს. პოლიტიკური დემოკრატიის შეზღუდვას მოჰყავა სოციალური დემოკრატიის გაძლიერება და ამით აიხსნება, რომ იტალიის მშრომელთა მასსები არა ძალდატანებითა და მოტყუილებით, არამედ სავსებით თვალზეილულად. სტულის ანგარიშით უჭირენ მხარს ამ რეების. ეს მასსები ნათლად ხედავთ. რომ მუსოლინის ფორმულა: სიდიდტორისა და სილარიბის შროის მანჩილი უნდა შემოკლდეს, არ არის ცარიელი სიტყვა. არამედ ფაშისტური პოლიტიკის რეალური გეზი.

ვინც სახელმწიფოებრივს ცხოვრებას უდგება რეალისტური საზომით, მისთვის ვერ გახდება ყოველს მდგომარეობაში მისაღებად თუ არ მისაღებად პოლიტიკური წრისა თუ კერძო პიროვნების დიქტატურა სახელმწიფოში. სადაო იქნება მხოლოდ მიზანი ასეთი სისტემისა და დაფასება მდგომარეობისა, როდესაც ის მყარდება. მაგრამ არც ის უნდა იყოს სადაც, რომ დიქტატურის ბუნებაში მუდამ მოიპოვება მისი გადაგვარებისა და ამ სისტემის უარყოფით მხარეთა გაძლიერების ელემენტები. ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა დიქტატორის პიროვნულ თვისებებსა და ბუნებას. ამით აიხსნება, რომ მსოფლიო ისტორიაში მრავალი მოიპოვება დიქტატორი, მაგრამ ამ დიქტატურის ღირსეულად მატარებელთა რიცხვი ფრიად მცირეა. მუსოლინის უკანასკნელი ხუთმეტი წლის მოღვაწეობა იძლევა საკმაო საბუთს იმისა, რომ მისი სახელი დიქტატორთა ამ მცირე რიცხვან გუნდში მოთავსდება.

## თავისუფალ ყაზახთა მოძრაობა

აქამდე ყაზახობის ისტორია ცნობილი არ იყო. რადგან რუსეთის მეფის მთავრობა 200 წლის განმავლობაში განვებ მაღავდა (ხშირად სპობდა კიდევც) ისტორიულ საბუთებს და ცნობებს ყაზახობის წარმოშობის და მათი საუკუნეების განმავლობაში თავისუფლათ არსებობის შესახებ.

თვით ყაზახობა იცნობდა თავის წარსულს, მხოლოდ ზეპირ-გადმოცემებით და სიმღერებით. ყაზახებს არ ყავდათ საქაო ინტელიგენცია (თუ რატომ, ამას ქვევით მოგახსენებთ). რომელსაც შეეძლო ეკვლია ისტორიული საბუთები თავიანთ თავისუფალ წარსულზე.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ გაიხსნა არხივები, ალაპარაკ-დენ ისტორიული საბუთები და თვით რუსული წყაროების და მიხედვით ყაზახობის ფართო მასებისათვის შესაძლებელი წეიქმნა თავიანთ წარსულზე სიმართლის გაგება.

ყაზახთა ისტორიის კვალი მიღის ღრმათ საუკუნეების სივრცეში. მისი ჰასაკა არის არა ნაკლებ 1000 წლისა. ის უფროსია თვით მოსკოვის სახელმწიფოს ისტორიაზე.

საგანგეოო წერილი საშუალებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ ვრცლათ ყაზახების წარმოშობაზე და მის განვითარებაზე საუკუნეების განმავლობაში. ერთი თვალის გადავლებით კი სურათი შემდეგია.

ბიზანტიური წყაროების მიხედვით, დონის ყაზახების სახელმწიფო პრინციპი და მოწოდებული კურარების გარეთ კიდევ რუსების გაქრისტიანებამდე ე. ი. 988 წლამდე ქ. შ.

საშუალო საუკუნეებში ყაზახებს ჰქონდათ მდ. დნეპრზე, დონზე და ვოლგაზე ვებერთელა საზოგადოებანი ე. ი. რესპუბლიკები, არსებული ატამანებით და სალაშქრო წრეებით (პარლამენტი). კარგათ მოწყობილი ჯარით და სხვა. ეს რესპუბლიკები გზავნიდენ თავიანთ ელჩებს (ეგრეთ წოდებ. საზამთრო სტანიცებს) მეზობელ სახელმწიფოებში; თვით რუსის ისტორიოგისების კარაშინის, სოლოვიონის და სხვა ცნობებით, „მოსკოვიაში“ ყაზახებს ჰყავდათ თავიანთი ელჩები ჯერ კიდევ ითანხე მესამეს (მე-15 საუკუნე) და შემდეგ პირველი რომანოვების დროს, მე-18 საუკუნის დასწყისამდე. რუსის მეფეები არამც თუ ითმენდენ მათ თავიანთ კარზე, არამედ ეპყრობოდენ ისეთი ყურადღებით, როგორც სხვა უცხო სახელმწიფოს ელჩებს.

რუსული არაკი, შესახებ იმისა, რომ ვითომც ყაზახები არიან

შთამომავლობა რუსეთიდან გაქცეული „ხოლოპ“-ებისა, არის სრული უფიციმბა. რუსები ამას ასწავლიდენ თავის ყაზახებს და სხვებსაც. რადგან მათთვის ასეთი „ისტორია“ ხელსაყრელი იყო. მოსკოვიდან დონშე გარბოდენ პოლიტიკური ემიგრანტები. ცნობილია ძველი თქმულება: „დონიდან გაცემა არ არის“. ყაზახთა ქვეყნებში გაიქცა მრავალი „ბოიარი“-ც მოსკოვის მიერ განადგურებულ და-მოსკოვიდებელ „დიდი ნოვგოროდის“ სამთავროდან. მაგრამ პოლიტიკური ემიგრანტები მიღიოდენ უკვე არსებულ ყაზახთა სახელმწიფოებში და იქ თანდათან ხდებოდა მათი „ნატურალიზაცია“ ე. ი. გაყაზახება. დაბოლოს თვით რუსული ისტორიის და მიხედვით, მოსკოვიდან ყაზახებთან გლეხებს შეეძლოთ გაქცევა 1594 წლის (მათი მებატონებთან მიმაგრების კანონის გამოსვლის) შემდეგ და ცნობილია (თუ გნებავთ იმავე რუსული ისტორიიდან), რომ ამ დროისათვის ყაზახებს ჰქონდათ თავიანთი „რესპუბლიკები“ და კარგათ მოწყობილი ჯარი და პოლონელები ცდილობდენ მათ მიმტრობას. რუსეთის წინააღმდეგ. რუსის გლეხი და ყაზახი — თავიანთი ხასიათით, ზერ-ჩევეულებით, სულით და ცხოვრების წესით — ეს ორი სხვა და სხვა სამყაროა და არც ერთი კულათმყოფელი აღამიანი არ დაიჯერებს, რომ მთელი ყაზახობა ე. ი. ზაპაროვეის — დონის, ურალის, ყუბანის და სხვა, წარმოსდგება რუსის „მუეკებისაგან“.

ყაზახები არსებობდენ პარალელურათ, დამოუკიდებლათ მოსკოვის არსებობასთან ერთად. გაძლიერებულმა რუსეთმა ისინი თან და თან დაიყვრო, დაიმორჩილდა, ზოგი მათგანი კი თითქმის სრულიად მოსპო. მაგ. ზაპაროვეისა და ვოლგის ყაზახობა, რომლებიც რუსეთმა სრულიად აყარა მდ. დნეპრიდან და ვოლგადან და გაფანტრა ყოველი მხრივ.

პირველათ თავიანთი დამოუკიდებლობა დაკარგეს იაიკისა და ვოლგის ყაზახებმა მე-16 საუკ. ბოლოს და მე-17 საუკ. დასაწყის-ში. შემდეგ მე - 18 საუკუნის დასაწყისში, დონის ყაზახებმა, პეტრე პირველის დროს. მათ მიჰყა ზაპაროვეი. რომლებიც სასტიკი და შეეპოვარი ბრძოლების შემდეგ ეკატერინე მეორეს დროს მე-18 საუკუნის ბოლოს იქმნენ გარეკილი თავიანთ მიწა - წყლიდან. მათი ღიდი ნაწილი წავიდა ემიგრაციაში, ოსმალეთში; მეორე ნაწილი კი რუსების მიერ დარიგებულ იქმნენ „სოლდათებად“ სხვა და სხვა ციხე - სიმაგრეებში. საიდანაც გარბოდენ და სახლდებოდენ ჩრდილოეთ კავკასიაში (მდ. ყუბანზე). 1828 — 29 წლებში, რუს-ოსმალეთის ომისა და კავკასიის ნაწილის დაპყრიბის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დარჩენილი ზაპაროველები, ოსმალეთიდან დაბრუნებუ-

ლებთან ერთად, დაასახლა იქვე მდ. ყუბანზე ე. ი. დლევანდელ ყუბანის თლქში. დაახლოებით იმ ხანებში დონიდან ყუბანზე გადასახლდა დონის ყაზახების ერთი ნაწილი, ე. წ. ხაზის ყაზახები (ლინეინი). აქედან წარმოიშვა დლევანდელი ყუბანის ყაზახობა.

ყაზახობა აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებს ჯერ თავისუფლების შესანარჩუნებლათ და შემდეგ მის აღსადგენათ. მაგ. ცნობილია იაიკის (დლევანდელი ურალის) ყაზახების აჯანყება მე-17 საუკნის ბოლოში. იქვე აჯანყება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ცნობილი ემელიანე პუგაჩივის მეთაურობით. რომელსაც მიემხრო სხვა დაჩაგრული ერები (კალმიკები, ყირგიზები, ბაშკირები და სხვა). ამ აჯანყებამ კინაღამ წალევა რუსეთის სახელმწიფო; რუსეთი მაშინ გადაარჩინა გენერალმა, ტომით გერმანელმა.

დონზე იყო მოელი რიგი აჯანყებების; მაგალ. პეტრე დიდის დროს, ატამან ბულავინის აჯანყება. კიდევ სტეფანე რაზინის ბრძოლები მდ. კოლგაზე და სხვა. ყაზახების ეროვნული ბრძოლა გრძელდებოდა მე-19 საუკუნის ბოლომდე. მაგ. ბრძოლა პოლკ-გრუზინოვის, ატამან ეფრემოვის და სხვების. დაბოლოს, 1872 წელს ყუბანზე მოხდა აჯანყება, რომელიც რუსეთმა სასტიკად ჩააქრო.

გაერცელებული აზრი შესახებ იმისა, რომ ვითომც მეფის რუსეთში ყაზახები იყვნენ კმაყოფილნი თავინათი მდგომარეობით, არ შეეფერება სინამდვილეს. ყაზახობა ეწეოდა სამჯერ უფრო მძიმე სამსახურს. ვიდრე რუსის გლეხი. სამხედრო ვალდებულება ხშირად სრულიად ანადგურებდა ნივთიერად ყაზახს. ის გადიოდა ჯარში თავის ცხენით, ტანსაცმელით და სამხედრო მოწყობილებით; იყო ხშირი შემთხვევები, როდესაც ჯარიდან დაბრუნებულ ყაზახს ვალის გადასახდელათ „ტორგში“ მოჯამაგირედ ყიდდენ.

საუკუნებით შერჩენილ ყაზახთა უფლებას მეფის მთავრობა თან და თან კვეცდა. მისი მიზანი იყო ყაზახთა სრული გარსება (ისე, როგორც სხვა არა რუს ხალხების); ამ მიზნით ყაზახთა მიწა-წყალზე ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ასეულ ათას გლეხებს, რომლებსაც ყაზახები „ინოვოროდუებს“ უწოდებდნენ. ყაზახობის და ამ „ინოვოროდუებს“, შორის მუდამ იყო შელლი და მტრობა. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს კი მათი ბრძოლა გადაიქცა სისხლის - მღვრელ შეტაკებებათ.

მეფის მთავრობა არ აძლევდა საშუალებას ყაზახებს, რომ მათ მიეღოთ განათლება და აერჩიათ რაიმე ხელობა, გარდა სამხედროსი. უმაღლესი სასწავლებლის კარები მათთვის დაკეტილი იყო. როდესაც ყაზახებმა ითხოვეს, რომ მათთვის მიეცათ ნება გაეხსნათ თავი-

ანთ ხარჯზე გიმნაზია, ცველა ინსტანციებში უარი მიიღეს. დაბოლოს, როდესაც 14 წლის სიარულის შემდეგ მათმა არზამ მიაღწია მეფემდე, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ზედ წაწერა: „არ მესმის რათ უნდათ ყაზახებს გიმნაზია! გიმნაზიის ადგილას არ ავლობებდა საჯირითო მოედანი“?. (მანევი); ნიკოლოზი. (30 — 11 — 1905 წელი). იგივე მთავრობა ადგენდა ყაზახების სრულიად გაყაზახების ე. ი. მათი რუსის გლეხებათ გადაქცევის პროექტებს. ამ პროექტების განხორციელებას ხელს უწლიდენ მდები. ომის მოაბლოვებისათანავე პროექტებს გვერდზე სდებდენ და ყაზახებს კვლავ ეფერებოდენ. გასაგები მიზეზების გამო, ისინი კარგი მეომრები იყვნენ.

რომ ყაზახები არ იყვნენ ქმაყოფილნი თავისი მდგომარეობით, ეს იქიდან სჩანს, რომ რუსეთის სათათბიროში ყაზახთა მხარეები გზავნიდენ ოპოზიციონურათ განწყობილ დეპუტატებს.

საბჭოთა მთავრობა დღეს ამ ამბავს სიტყვა - სიტყვით იმეორებს. ის ძალაუფლება, რომელიც 18 წლის განმავლობაში ლამბდა ყაზახობის სრულ ფიზიკურ მოსპობას, დღეს როდესაც ჰაერში თოვფის წამლის სუნი დატრიალდა, ყაზახობას სიყვარულს უხსნის; ადგენს სპეციალურ ყაზახურ დივიზიებს ძველი უნიფორმებით (წითელი ქუჩებით, ლამბასებით და სხვა ზიზილ-პიპილებით). დღეს ისტორია მეორდება.

თუ ყაზახებს ჰქონდათ რუსეთის მეფის უანდარმების სახელი, ამაში ყაზახებს ა რმიუძღვისთ ბრალი. ექვს-მილიონიანი ერი, ჩავარდნილი ას-მილიონიან რუსეთის ბრჭყალებში, რასაკვირველია, გადაქცეული იყო სათამაშოთ; ეს ამბავი არა ერთ და ორ ერს მოსვლია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ როდესაც 1905 — 6 წლებში ყაზახები იგზავნებოდენ სხვა და სხვა დამსჯელ ექსპედიციებში, მათ სტანიცებში იყო მლელვარება; ზოგიერთები აჯანყდენ კიდევ; მაგ. ურუპის ყაზახის პოლკი თავის ნებით დაბრუნდა სტანიცებში; გეოგინის სტანიცა ზარბაზნების ცეცხლით იქმნა დამორჩილებული.

დღეს, როდესაც ემიგრაციაში, ყაზახთა ნაციონალისტები ლაპარაკობენ ყაზახურ სახელმწიფოს შექმნაზე. ისინი არაფერს ახალს არ იკონებენ.

როდესაც 18 წლის წინეთ, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა მთელი რიგი დამოუკიდებელ სახელმწიფოებისა, მათ რიცხვში იყო ყაზახური რესპუბლიკებიც. ყაზახების აშეარა ეროვნულ განწყობილებაზე. რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ლაპარაკობენ თვით რუსის გენერლები (თავიანთ მემუარებში) დენიკინი, ვრანგე-

ლი, კრასნოვი და სხვები. „რათ გვინდა ჩეენ რუსეთი; მისგან მხოლოდ უსიამოენება და ჩაგვრა გვქონდა“ -ო.

„განა ჩეენ შეგვიძლია რუსეთის გადარჩენა? ან და რისთვის, რა კი თვით რუსეთს არ სურს თავის დახსნა; აღსდგეს ისე, როგორც ჩეენ და თვით იხსნას თავის თავიო“ -ო. ასე ბჭობდენ 1917 წელში ყაზახური მასები. ამაზე მოგვითხრობს არა რომელიმე ყაზახობის პატრიოტი, არამედ მეფის ერთგული გენერალი კრასნოვი (იხ. რუსეთის რეე. არხივი, ტომი 5). მაშინ ყაზახობის პოპულიარული ლოზუნები იყო: „რუსეთი საფრთხეშია — მოუსვათ ნიჩაბი მშობლიურ ნაპირისაკენ“.

ფაქტიურად ყაზახობა (მაგ. დონის) რუსეთს ჩამოშორდა ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში, როდესაც გაიხსნა პირველი დონის „სალაშქრო წრე“ ე. ი. პარლამენტი. მისმა პირველმა თავჯდომარებმ გახსნისას განაცხადა: „193 წლის განმავლობაში გაუქმდებულ პირველ სალაშქრო წრეს გახსნილათ ვაცხადებ“ -ო. ამ სიტუაციებში, დონის პარლამენტი, თავის ავტორიტეტული თავმჯდომარის პირით დემონსტრატიულათ აცხადებდა, რომ ყაზახობა არასოდეს არ შერიგებია რუსულ ოკუპაციას, რომ მოსკოვის მორჩილება მას მიაჩნდა იძულებითად და დღეს ის აღადგენს თავის დამოუკიდებლობას, შეწყვეტილს იძულებით რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის მიერ.

ფორმალურათ დონის ყაზახობის რუსეთიდან გამოყოფა კი მოხდა 1918 წლის სექტემბერში, როდესაც დონის პარლამენტმა მიიღო თავის სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომლის პირველი მუხლი აღიარებს, „დონის უდიდესი ლაშქარი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაყარებული ერის უფლებათა საფუძვლებზე“. ამ პარლამენტმა დააფუძნა დონის ეროვნული დროშა; აღადგინა ძელებური ლერბი და ბეჭედი; გააბა კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან და გერმანიასთან და სხვა.

ანალოგიური მოვლენები მოხდა სხვა ყაზახთა ქვეყნებში, მაგალ. ყუბანში, სადაც ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში მოწვეულ იქმნა რადა და ფაქტიურად შედგენილ იქმნა ყუბანის მთავრობა; ეს ყველაფერი მოხდა რუსეთის დროებით მთავრობის დასტურის გარეშე და მისი სურეილის აშკარა წინააღმდეგ.

იმავე რადამ 1917 წლის ოქტომბრის დასაწყისში მიიღო ყუბანის კონსტიტუცია და ფორმალურათ შეადგინა ყუბანის მთავრობა. ამის საპასუხოთ დროებით მთავრობის კოშისარმა (რომელიც იყო წარგზავნილი ყუბანში ისე, როგორც სხვა პეტიფერიებში, მაგ. კავკასიაში) შეიტანა გადადგომის ქალალდა. საცულისხმო და დამახასიათებელია ის, რომ ეს გადადგომის ქალალდი დროებით მთავრობის

ბის კომისარმა მისუა არა თვით დროებით მთავრობას, არამედ ყუბანის არადის მიერ არჩეულ ყუბანის მთავრობას. ამის შემდეგ კოველგვარი დამოკიდებულება ყუბანსა და მოსკოვს შორის შეწყდა.

რუსეთის ნგრევის დღეებში ყაზახებმა აღადგინეს თავიანთი ადრინდელი თავისუფალი სახელმწიფო ბრივი არსებობა ეტნოგრაფიულ და ისტორიულ საზღვრებში. მათ ჰქონდათ დამოკიდებელი რესპუბლიკების ყოველგვარი ატრიბუტები: 1. სახელმწიფო კანონები (კონსტიტუცია), 2. პარლამენტი, 3. არჩეული ატამანი (პრეზიდენტი), 4. მთავრობა, 5. ჯაში, 6. სასამართლო და სხვა.

ამ რიგათ უახლოეს წარსულში ყაზახთა დამოკიდებელი რესპუბლიკების არსებობა უდან ფაქტია. ყაზახთა ბრალი არ არის, რომ მათი სახელმწიფო ბრივი ნორმალური ცხოვრება და განვითარება დარღვეულ იქმნა გარეშე ძალისაგან (თეორი და წითელი რუსეთის მიერ) ამით ყაზახებს ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ უფლება დამოკიდებლათ ასებობის.

ყაზახური პარლამენტები და მთავრობები ურჩევდენ ყაზახებს, არ ჩარეცდის რუსეთის წინაგან საქმეებში, მაგრამ თვით რუსეთი (ჯერ თეორი, შემდეგ წითელი) ჩაერია ყაზახთა შინაურ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ ყოფ. რუსეთის პერიფერიებზე, განსაკუთრებით კი სამხრეთში, ანტიბოლშევიკური ძალების სათავეში ჩადგენ რუსის გენერალები. როდესაც ბოლშევიკებმა მოინდომეს ყაზახური მხარეების სრული დაპყრობა, ყაზახობაც ადგა წითელი რუსეთის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ყაზახობა უწებლივთ გახდა მოკავშირე დენიკინის თეორი არმიის. უთანასწორო ბრძოლაში ყაზახობას არ ჰქონდა დრო და საშუალება ეძიათ უკეთესი მოკავშირეები.

ომი ბოლშევიკებთან ყაზახობისათვის იყო ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. თეორებისა და წითელებისათვის კი ეს იყო სამოქალაქო ომი, ე. ი. შევარაღებული კლასიური ბრძოლა.

ამიტომ იყო, რომ როდესაც ეს ომი გადავიდა რუსეთის საზღვრებს შიგნით, მან ყაზახობისათვის დაკარგა მნიშვნელობა. დენიკინისა და ყაზახების ინტერესები დამეტრალურით ერთმანეთს დაუპირდაპირდენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც ყაზახები ქმნიდენ თავიანთ რესპუბლიკებს, რუსის ლენინლები (დენიკინი და სხვები), აგრეთვე რუსეთიდან გამოქცეული და ყაზახობის ფალდას ქვეშ შემალული რუსის პოლიტიკური მოღვაწეები, იყვნენ მეტად უკმაყოფილ ყაზახთა პატრიოტიზმით, მაგრამ სანამ ყაზახობას ფრონტზე ყავდა 60.000 კაცი, დენიკინს კი (სხვებთან ერთად) მხოლოდ 12.000; სანამ მთელი სამხედრო მომარაგება მოღიოდა დონის

ყაზახობის საშუალებით უკრაინიდან და გერმანელებიდან, დენიკინი და მისი ჰემოთ მოხსენებული მეგობრები მხოლოდ ჩუმათ ლრენდენ.

როდესაც ყაზახების საშუალებით ბოლშევკიკები იქნენ გარევილი, გერმანელები წავიდენ და მათ ნაცვლათ გამოჩიდენ მოკავშირები, რომლებიც არ სცნობდენ ყაზახობას და სამხედრო დახმარებას უწევდნ მხოლოდ დენიკინს, ყაზახები გახდენ სამხედრო მომარაგების საქმეში სრული დამოკიდებული დენიკინისა და მოკავშირებისაგან, რადგან ბათ თავიანთ ტერიტორიაზე არ ჰქონდათ სამხედრო ქარხნები და საწყობები. (მეფის მთავრობა განგებ არ აშენებდა ყაზახთა ოლქებში ასეთებს). ეს გარეობა ყაზახებს ხელფეხს უბორებავდა და ამიტომ იყო, რომ ყაზახების მიმართ დენიკინი გათამამდა. სოროგმიდან გამოძერენ მთლიანი, დიდი რუსეთის პატრიოტები და აყეფდნ ყაზახების წინააღმდეგ. მათ იწყეს მოკავშირებების (ინგლის — საფრანგეთის, არმლებისთვისაც მაშინ უცხო იყო ყაზახთა ეროვნული მისწრაფებანი) დახმარებით, ყაზახთა რესპუბლიკების დაცემის ცდა. ამნაირათ დამოკიდებულება ყაზახობასა და თეორ არმიას შორის გამწვავდა. მათ შორის დამყარდა აშკარა მტრული განწყობილება.

1919 წლის 27 ივნისს ქ. როსტოვში თეთრი არმიის „ოხრან-კა“-მ მოკლა მზაკვრულათ (ლმით, ბნელი კუთხიდან) უუბანის პარლამენტის თავვადომარე, ყაზახობის შეუპოვარი პატრიოტი ნ. ს. რიაბოვოლი. მკლელები იყვნენ რუსის ოფიცირები; დაპატიმრებულ იქმნა მხოლოდ ერთი. გასამართლების დროს დამცველი ამტკიცებდა, რომ რიაბოვოლი, როგორც ყაზახების ნაციონალისტი, იყო მთლიანი რუსეთის მტერი და ამიტომ მოითხოვდა ბრალდებულის გამართლებას. რუსულმა სასამართლომ მკლელი ვაამართლა.

იმავე 1919 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში „განუყოფელი“ რუსეთის პატრიოტი გენერ. ვრანგელის ბრძანებით გენ. პოკროვსკი ახდენს ყუბანის სატახტო ქალაქ ეკატერინოდარის სახმედრო ოკუპაციას. ყუბანის არა გარეკეს. ყუბანის შოთ. შინაგან საქმეთა მინისტრი, პარიზის დელეგაციის წევრი, ყაზახობის დაუცხრომელი პატრიოტი, მდვდელი კულაბუხოვი ჩამოახრჩეს და ზედ წარწერა გაუკეთეს: „რუსეთის დალატისათვის“. შთელი რიგი ყაზახობის ცნობილი პატრიოტები ქ. კონსტანტინებოლში გააძევეს.

ამ დარბევეს მიზეზი იყო მრავალი — მთავარი კი ის, რომ ყაზახები აწესებდენ თავიანთ სახელმწიფოს და სცდილობდენ რუსული თეთრი არმიის „მფარველობისაგან“ სრულ განთავისუფლებას. საბაბი კი შეიქმნა ყაზახების დელეგაციის შიერ მეზობელ მთიელ რესპუბლიკის მთავრობასთან საკავშირო მეგობრული ხელშეკრულების

დადგება. ეს აქტი რუსების მიერ იქმნა ცნობილი, რუსეთისადმი ღა-  
ლატათ.

ყაზახობის უფლებათა ასეთმა ბარბაროსულმა ფეხქვეშ გათელ-  
ვამ ყაზახების ფიალა აავსო. დანიკინმა, ვრანგელმა და კ — ამ მო-  
სტრეს ის შტო. რომელზედაც თვით ისხდენ. მათ თვით გაითხარეს  
საკუთარი საფლავი რიაბოვოლის და კულაბუხოვის ვერაგულათ  
მკვლელობით.

ამის შემდეგ ყაზახობას არ სურდა თეთრი არმიის რიგებში და  
მათ გვერდით სისხლის ღრუა. ყაზახობისათვის ერთნაირად მიუღე-  
ბელი შეიქმნა, როგორც წითელი, ისე თეთრი რუსეთის ულელი.

ყაზახობამ იწყო ფრონტის მიტოვება და ანტიბოლშევეიკური  
ფრონტიც ამის შემდეგ მალე დაინგრა.

როდესაც დამარცხებულმა თეთრმა გენერლებმა იწყეს თავიან-  
თი ჯარების ნაშთთა ყირიმში მოგროვება, იქ მათ აღარ სურდათ ყა-  
ზახების შეშვება. ყაზახის ჯარის ნაწილები მოხვედრილი შავი  
ზღვის ნაპირებზე — ცეცხლსა და წყალს შორის — ამათთ ელოდენ  
გემებს ყირიმში გადასასვლელათ. მაშინ როდესაც ქალაქ ნოვორო-  
სიიდან გადაყვანილ იქმნა რუსული არმიის (გენ. კუტევოვის) ყველა  
ნაწილები, ყაზახებს მხოლოდ დაპირებებით კეებავდენ. რუსების  
განკარგულებაში იყო მთელი შავი ზღვის ფლოტი. ინგლისის ად-  
მირალმა სკიმურმა განაცხადა: „ოლონდ ზღვაში გავიდეს რუსის  
მხოლოდ ერთი ნამოსანი. მაშინ ყველა ინგლისური გემები გავლენ  
ყაზახების გადმოსაზიდათო“. მაგრამ რუსული გემები არ მიღიოდენ.

ყაზახები მოატყუილეს. მათ უღალაძეს და ბოლოს ღვთის ანაბა-  
რათ მიატოვეს. ამ ნიადაგზე ყაზახთა და რუსის სარდლობას შო-  
რის მოხდა მთელი რიგი შეტაკებებისა. დონის ლაშქრის სარდალი  
გენ. სიდორინი იმდენათ იყო გაშმავებული რუსების ვერაგობით,  
რომ უნდოდა თვით გენ. დენიკინის მოკვდა. ინგლისის გენერ. ხოლ-  
მენის ჩარევამ გადარჩინა დენიკინი (იბ. გ. რაკოვსკის წიგნი: „სამო-  
ქალაქო რმი სამხრეთ რუსეთში. თეთრების ბანაკში“). შემდეგ გენ.  
სიდორინი და მისი შტაბის უფროსი ყირიმში გაასამართლეს და მი-  
უსაჯეს ოთხი წლის პატიმრობა. ყუბანის ყაზახობის ატამანი გენ.  
ბუკრეტოვი კი გენერ. ვრანგელმა ერთ დროს (ყირიმში) დაპატიმ-  
რებულათაც კი გამოაცხადა, მიუხედავთ იმისა, რომ ატამანის პი-  
როვნება (ისე როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის) ხელუხლებე-  
ლია. შავი ზღვის ნაპირებზე (ნოვორისიიდან საქართველოს საზღვ-  
რამდე) მყოფ დაახ. 160.000 ყაზახიდან ყირიმში მოხვდა არა უმე-  
ტეს 25.000 კაცისა და ესენიც იქმნენ გადაყვანილი უკანასკნელ წუ-  
თებში (მათი ნაწილი ყირიმში გადავიდა საქართველოს ტერიტორიი-

დან). ყაზახების უმრავლესობა იქმნა მიტოვებული, გაიფართქა და წა-  
ვიდა მოებში ე. წ. მწვანე ჯარში.

ყაზახების დიდ ნაწილს ჰქონდა სურვილი საქართველოში გაღ-  
მოსვლის ბოლშევიკების წინააღმდევ ბრძოლის გაგრძელების მიზ-  
ნით. მაგრამ საქართველოს მთავრობა მათ სთვლიდა დენიკინის ჯა-  
რის ნაწილებათ და არ ჰქონდა მათდამი სათანადო ნდობა. ამავე  
დროს (1920 წლ. მარტი — აპრილი) მოსკოვში საბჭოთა რუსეთთან  
მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს განსაკუთრებული ელჩი  
რაც დასრულდა 7 მაისის ხელშეკრულებით. ყაზახების საქართვე-  
ლოში შემოშვება კი ამ მოლაპარაკებას ხელს შეუშლიდა.

არ შემიძლია აგრეთვე არ აღნიშნო ყაზახებთან მეგობრული  
განწყობილების კიდევ ერთი ხელიდან გაშვებული შემთხვევა. 1918  
წლის ზაფხულში. როდესაც ქართულმა ჯარმა გაანთვისუფლა  
წითლებიდან საქართველოს შავი ზღვის ნაპირები. ქ. ეკატერინო-  
დარში გაგზავნილ იქმნა დელეგაცია თეთრ არმიის სარდლობასთან  
მოსალაპარაკებლათ საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ევ. გეგეშკორის  
და გენ. მაზნიაშვილის შემადგენლობით. ამათ მოლაპარაკება აწარ-  
მოეს გენ. ალექსევ და დენიკინთან, რომლებმაც შეთანხმება შე-  
უძლებელი აღმოჩნდა. შესაძლოა იგი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.  
რომ გადადგმულ ყოფილიყო ნაბიჯები. მაშინ არსებულ ყაზახთა  
მთავრობებთან შესათანხმებლათ.

როგორც ხედავთ, ყაზახთა ეროვნულ მოძრაობას აქვს გრძელი  
ისტორია; ის არ დაწყებულა ემიგრაციაში (როგორც ამას გაიძხიან  
რუსები). სწორეთ ემიგრაციაში ეს მოძრაობა განვითარდა ისეთ წრე-  
ებში, სადაც ეს ყველაზე ნაკლებათ იყო მოსალოდნელი. ემიგრაცი-  
აში რუსის თეთრ ჯართან წამოვიდა მეტ წილათ ყაზახობის ის ნა-  
წილი, რომელიც კიდევ ატარებდა ილიუზიებს რუსეთზე და თავის  
მომავალს კიდევ აკავშირებდა დამარცხებულ თეთრი ჯარის ბედ-  
თან. აი სწორეთ ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა ემიგრანტული თავისუ-  
ფალ ყაზახთა მოძრაობა და 9 წლის წინათ იწყო გამოსვლა ეურნალ  
„თავისუფალ ყაზახობამ“ (დღემდე გამოვიდა 215 ნომერი). ეს ეუ-  
რნალი სდგას თავისუფალ, დამოუკიდებელ ყაზახთის შექმნის  
პლატფორმაზე.

როგორც უურნალის ჩედაქტორი ინკ. ბილი ამბობს, 9 წლის  
წინეთ, ემიგრაციაში, „თავისუფალი ყაზახობის“ მიმდევრები ერთ  
ოთახში მოთავსდებოდენ. დღეს კი მათი „სტანციები“ და „ხუტო-  
რები“ მოფენილია მთელი დედამიწის ზურგზე და ატარებენ თავი-  
სუფლებისათვის ბრძოლაში დალუპულ ყაზახთა პატრიოტების საბა-  
ტიო სახელებს.

დღეს ყაზახობა, როგორც აქ, ემიგრაციაში, ისე იქ, სამშობლოში დარწმუნებულია საბოლოოთ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ სისტემასთან კავშირი მათ უმზადებს სრულ განადგურებას ქმნებრივათ და მოსპობას ფიზიკურათ. ყაზახობისათვის დღეს ნათელია. რომ მათ არამც თუ შეუძლიათ, არამედ ვალდებულიც არიან ეძებონ რუსეთის ბრკუალებიდან განთავისუფლების გზები. ამისათვის შესაფერი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობაც თან და თან დგება.

ვესურვოთ თავისუფალ ყაზახობას მოკლე ხანში მტერზე საბოლოო გავარჯვება და გაერთიანებული აღდგენილი თავისუფალი ყაზახეთის გამოცხდება.

გრ. აბულაძე

პარიზი, 25 — 12 — 1936 წ.

### ჩართველ - სოხეთა დამოკიდებულობის შესახებ

„სამშობლოს“ პოზიცია ამ საკითხზე საკუთხით გარკვეულად იყო გამეღავნებული ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე. ასევე საკმაოდ ცნობილია შეხედულობა ამ საგანზე იმ მიმართულებისა და პარტიის, რომელთა აზრს ჩვენი ეურნალი გამოსახავს. ჩვენ არ დავფარავთ, რომ წარსულში ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულებისა და შემდეგ პარტიის პოზიცია ამ საგანზე იყო გაცილებით უფრო შესრიგებელი. ვიდრე საქართველოს სხვა დაჯგუფებებისა.

რუსეთის პოლიტიკამ ფრიად გააღმავა ქართულ - სომხური უთანხმოებანი. რომელიც წარსულში უმთავრესად საეკლესიო საკითხების გარშემო იყრიდენ თავს. ქართველებსა და სომხებს შორის დაჭავასულობისა და ერთმანეთისადმი მტრობის დანერგვის მიზნით მან მოაწყო ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხების მასსიურად ჩასახლება საქართველოში. და მიიღო მრავალი სხვა ასეთი ღონისძიებანი. ეკონომიკური და აღმინისტრატიული.

გასავებია. რომ რეალურ ეროვნულ პოლიტიკის ნიადაგზე მომქმედი ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულება ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოს ცხოვრების ყველა ასპარეზზე. მაგრამ იგივე ჩვენი წრეები ნათლად ხედავდენ. რომ რუსეთის მზაკერულ განზრახებისაგან თავდაცვისათვის საუკეთესო და ყველაზე რადიკალური გზაა სომხობისთან სა-

ერთო ენის გამოძებნა და მისი გახდენა ერთგულ მოკავშირეთა და თანამებრძოლად საერთო ინტერესების დაცვის მიზნით. განვლილ საუკუნის სამოციან წლებიდან დაწყებულ მრავალ მოლაპარაკებასა და შეთანხმების ცდას ჰქონია ადგილი სომხურ საზოგადოებრივ წრე-ებთან ჩვენი მიმღინარეობის წარმომადგენელთა თაოსნობით.

საქართველოს ღამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსული იმპერიალიზმის ბოროტი ზედავლენა კავკასიელ ერთა ურთიერთობაზე საგრძნობლივ შემცირდა და მით შეიქმნა უკეთესი პირობები ხელოვნურად გაღვივებულ უთანხმოებათა შენელებისა და ლიკვიდაციისათვის.

ჩვენმა პარტიამ ორგანიულ მონაწილედ გაიხადა სომხური წრე-ები მრავალ. მის მიერ დაფუძნებულს საქმეში, როგორიც იყო სოფლის მწარმოებელთა საზოგადოებებისა და ვაჭარ - მრეწველთა და სხვა ეკონომიკური კავშირები, რომელნიც შემდეგ გაერთიანდენ სასოფლო - მეურნეობისა და სავაჭრო - სამრეწველო პალატებში. ამის შემდეგ ჩვენმა პარტიამ პოლიტიკურ შეთანხმება დაამყრა სომხურ წრეებთან, რომლის შემწეობით სომხურ უმცირესობას ლირსეული ადგილი უნდა დასომობოდა საქართველოს საკანონმდებლო, საქალაქო და საერთო თრგანოებში. მართალია, ეს იყო შეთანხმება საქართველოში მობინადრე სომხობასთან, მაგრამ იგი უთუოდ გაადგილებდა საქართველოს შეთანხმებას სომხეთის რესპუბლიკასთან, რომლის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებდა მეზობელ რესპუბლიკების მთავრობათა შორის. იგი დიდათ შეუწყობდა ხელს ამ საქმეს, ვინაიდან ქართველ - სომხეთა უთანხმოებათა უმთავრესი მოვლენანი საქართველოს სომხებთან ურთიერთობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

ჩვენი პარტია ასეთს მუშაობას აწარმოებდა, როდესაც ქართველ-სომხეთა დამოკიდებულობაში შეიქრა ფრიად მძიმე მოვლენა, რომლისმაგავსი არასიდეს უხილავს ჩვენს ერთა მრავალ - საუკუნოვან მატიანეს. მაგრამ ამანაც ვერ მიატოვებინა ჩვენს პარტიას აღებული გეზი და ეს შეთანხმება მან დაამყარა ქართველ-სომხეთა ომის მიერ შექმნილს დამძიმებულ ფსიქოლოგიურ ატმოსფერაში. ამ შეთანხმების ხორციელებაში შეუძლებელი გახდა სულ რამოდენიმე კვირის შემდეგ საქართველოზე საბჭოთა რუსეთის მიერ მოხდენილ თავდასხმამ. მაგრამ ასეთი საქმის მორალურ ფესვებს რუსების ხიშტები, რასაცირველია, ვერ აღმოფხვრიდენ.

ჩვენი პარტია ამავე გზით მიღის ამის შემდეგაც და იგი მოლაპარაკებას ჰმართავს სომხურ პოლიტიკურ წრეებთან, ისევე როგორიც საქართველოს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან. გაერთიანებული

ფრონტის შესაქმნელად რუსეთის ახალი ბატონობისაგან განთავისუფლების მიზნით.

ასევე ემიგრაციაში იგი ცდილობს სომხურ წრების დახმოვებას საერთო კავკასიურ ბრძოლის საქმესთან, როდესაც მისი თაოსნობით არსდება პირველი კავკასიური კონფედერატიული ორგანიზაცია 1924 წლის დამლევს. ამის შემდეგაც ჩვენს პარტიას არა ერთი ნაბიჯი გადაუდგას ამ მიმართულებით ისევე, როგორც ქართულ და ჩვენი მეზობლების სხვა ოფიციალ და არა ოფიციალ დაჯგუფებებს. ამავე მიმართულებით მუშაობდა ჩვენი პარტია სხვა მეზობლების მიმართ და იგი მონაწილე იყო და არის ცველა მნიშვნელოვანი ცდისა, რომელსაც ჰქონია ადგილი უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კავკასიელ ერთა ძალების ერთი ბრძოლისა და მოქმედების პლატფორმაზე გაერთიანების მიზნით.

ყოველივე ზემოთმოხსენებულის შემდევ ნათელი უნდა იყოს ის საზომი, რომლითაც უდგება, და მიუდგება მომავალში, ჩვენი უურნალი და მიმართულება კავკასიის ნიადაგზე აღმოცენებულ ყოველს საქმესა და გამოწყებას. მისთვის ცუდია და მიულებელი ყოველივე, რაც აფერხებს და ხელს უშლის კავკასიურ ძალთა ერთობის დამყარების საქმეს და მიზანშეწონილია და სასარგებლო. რაც მას ხელს უწყობს და აადვილებს.

ამის მიხედვით ჩვენ ვერ მოვიწონებთ „სომხურ - ქართულ უნიონის“ მოწოდებასა და ბიულეტენს. ამ გამოსკვლამ ფრიად არა სასურველი შთაბეჭდილება მთავრინა აზერბეიჯანელთა, მთიელთა, ქართულ და, ვფიქრობთ, თვით სომხურ წრებზე.

უკანასკნელ წელთა განმავლობაში სომხურ პოლიტიკურ წრების განწყობილება დიდათ დაუახლოვდა სხვა მათ მეზობელთა პოლიტიკურ წრების გეზს. ჩვენს ქვეყნებში დამყარებული ვითარება და ჩვენს გარეშე მომხდარი მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილებანი, ბუნებრივა, მოქმედობენ კავკასიის ცველა ერებზე. სავსებით მომზადდა ნიადაგი საერთო პოლიტიკურ პლატფორმაზე შეთანხმებისა კავკასიის ცველა აქტიურ ძალთა კოორდინაციისათვის.

სამწუხაროდ, ასეთს მომენტში, „სომხე - ქართულ უნიონის“ სახელით გამოცემულმა მოწოდებამ ბევრს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქმს ქართველი და სომხური პოლიტიკური ძალები შორდებიან საერთო კავკასიურ პლატფორმას და ცალკე ირაზმებიან.

გასაგებია, რომ ამ გარემოებს გამოიყენებდენ ისეთი ძალები, რომელიც ებრძევიან და ხელს უშლიან კავკასიელ ერთა კავშირსა და თანხმობას. რომ ასეთი გამოსკვლა ცუდს რეაქციას გამოიწვევდა კავკასიურს წრებში, ამის წინასწარ გათვალისწინება არ იყო ძნელი.

ყოველს შემთხვევაში იგი ნათელი გახდა მოწოდების გამოცემის შემდეგ. პირველსაც დღეებშივე, და მის ავტორებს ჰმართებდათ ამისათვის ანგარიშის გაწევა. საჭირო იყო განმარტება, რომ მოწოდებას ასეთი მიზანი სრულიად არ ჰქონდა დასახული, რომ მისი დედა-აზრი იგივეა. რაც სხვა კავკასიურ ძალების გამოცემებისა და ის სრულიად არ ჰქმნის რამე ახალს პოლიტიკურს დაჯგუფებასა და ბლოკს, და მხოლოდ აყენებს კავკასიურ წრეთა წინაშე საერთო პლატფორმაზე დაუყონებლივ გაერთიანების საჭიროების საკითხს. ასეთი განმარტება შემდეგ მოწოდების ავტორებს თავის მხრივ შეეძლოთ ესაყველურნათ სხვებისათვის, რომ მათ ასე დიდი მნიშვნელობა მისცეს „უნიონის“ გამოსვლის ფორმას. როდენსაც მისი შინაარსი არ იძლეოდა საკმაო საბუთს ასეთი იჭვებისათვის.

ამიერკიდან მაინც უნდა გაკეთდეს ასეთი განმარტება და, იმედია, ამის შემდეგ ალარავინ მოინდომებს ამ გამოსვლით გამოწვეულ შთაბეჭდილების გამწვავებას, და კავკასიურ ერთა აქტიურ ძალების შეთანხმების საქმე ნორმალურს გზას დაუბრუნდება და, საერთო ინტერესების კარნახით, მოკლე ხანში დადებითად დასრულდება.

საერთო პლატფორმის გარშემო შეთანხმება და კავკასიურ აქტიურ ძალთა კონტინუაცია ბუნებრივად გაუხსნის გზას მრავალ საქმესა და მოქმედებას ძველ უთანმოქმებათა ნიადაგზე აღმოცენებულ ატმოსფერის გარდასაქმნელად. კეთილმეზობლური და მევობრული განწყობილების დასაფუძნებლად მეზობელ ერთა ფართო მასებში. ამ ასპარეზზე ამოქმედებიან კულტურული და საზოგადოებრივი ძალები და ამ ნიადაგზე წარმოშვებიან დაჯგუფებანი და საზოგადოებანი. როგორც საერთო კავკასიური, ასევე ქართულ - სომხური, სომხურ - აზერბეიჯანული და სხ., ვინაიდან კავკასიურ ერებს აქვთ საერთო პოლიტიკური ინტერესები და მიზნები. ხოლო მათი უთანხმებანი არასოდეს ყოფილა ასე საერთო, არამედ იყვნენ ქართულ-სომხური, სომხურ - აზერბეიჯანული, აზერბეიჯანულ - მთიელთა და სხ. უთანხმებათა დაცხრომისათვის მუშაობაც. ნაწილობრივ ამავე გზით იწარმოებს. მართალია, ამ უკანასკნელი, ფართო საზოგადოებრივი მუშაობისათვის ნორმალური ასპარეზია ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ერები, მაგრამ ემიგრაციასაც აქვს ამ მხრივ თავისი მცირე არე და სფერო.

ერთა შორის განწყობილების საქმე მეტად ფაქტი საქმეა. საუკეთესო განზრავებით, მაგრამ შეუფერებელი მეთოდით მისი შეხება ხშირად იძლევა მეტად ცუდს შედეგებს და ამის გამო ამ მიმართუ-

ლებით მოქმედების დროს ყველას გვმართებს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის არა ნორმალური ვათარება, რომელშიცაც ვიმყოფებით, და, ასევე, ჩვენი ეროვნული ბუნება და ხასიათი. შინაურულს ურთიერთობაში ჩვენ ხშირად არაურად ვიმჩნევთ აქარებულს. მსუბუქსა და გაუფრთხილებელს მოქმედებას, ხოლო გარეშეებთან დამკიდებულებაში მუდამ ვცდილობთ შევინახოთ საჯუთარი ლირსება და სიღარბაისლე, ხოლო სხვებისადმი პატივი. ლოიალობა და მორიდება, და სხვებისაგნაც ამასვე მოვითხოვთ.

### 8. მუსეალიზაცია

(ნეკროლოგი)

გიორგი (გიგიშა) მუსხელიშვილი დაიბადა 1901 წელს. ტფილის-ში. ის იყო შვილი საქართველოში ცნობილ ექიმის და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მუსხელიშვილისა, რომელიც შემდეგ გახდა ქართული უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანი და პროფესორი, ვიდრე მიიცვლებოდა.

გიგიშამ საშუალო განათლება მიიღო ტფილიში, ლევანდოვსკის გიმნაზიაში, სადაც, ბოლოს დროს, სწავლობდა რუსულ მთავრობის სასწავლებლით უკმაყოფილო ბევრი ქართული ოჯახის შვილი.

1921 წელს მან მიიღო მონაშილეობა რუსეთის შინააღმდეგ ოში და ამხანაგების მოწმობით, ითვლებოდა მამაც და საუკეთესო ჯარისკაცად. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მამამ შვილები უმაღლეს სწავლის მისაღებად საზღვარგარედ გამოგზავნა, თავისი ორი უნცროსი ძმით გიგიშა გერმანიაში ჩამოდის. მალე საქართველოსა და ევროპას შორის კავშირის სრული შეწყვეტის გამო უსახსროდ დარჩენილი ახალგაზრდები იძულებული იყვნენ სამუშაო ეძებნათ და გიგიშა მაღაროებში მუშაობს.

1924 წელს ის გადმოდის საფრანგეთში და ემზადება საზღვაო სკოლაში შესვლისათვის, მაგრამ ეს სურვილი ვერ განახორციელა.

რაღვან იგი ემიგრანტი არ იყო, მას შეეძლო საქართველოში დაბრუნებულიყო და იქ თავისათვის უკეთესი მომავალი შეემზადებინა, მაგრამ ერთ დღეს ის მოვიდა ჩემთან და განმიცხადა, რომ ემიგრანტად დარჩენა გადაჭრებით, მოხვა, რომ მისი თავდები კუ-

ფილიფავი; გაიარა კიდევ ხანმა და ერთ დღეს კიდევ მოვიდა ჩემთან. მე სხვანაირობა შევამჩნიე და ვკითხე, რაში იყო საქმე. ცოტა გაწილდა და მითხრა, რომ ცოლის თხოვა გადავწყვიტე; საქართველოს ბეჭდს მაშინ ყველა მწარედ განიცდიდა და პირად ბეჭდიერებაზე ფიქრი ახალგაზრდა და პატრიოტ გიგიშას ალბად უხერხულად მიაჩნდა. მან შეირთო საბახტარაშვილის ასული, თამარ, და ყველა მათმა მეგობარმა იცის, რა კარგი ცოლქმრობა ჰქონდათ. ცოლშერთული გიგიშა ისევ ძეველი გიგიშა დარჩა. მეგობრობისა და ქართული დროსტარების მოყვარული. მას არ უყვარდა მარტო თავისთვის ცხოვრება. თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა ძმების და მეგობართა დახმარება და გზაზე დაყენება და ამას ჩევულებრივი დაუინგბით ასრულებდა. ის არ იყო არც პოლიტიკური მოღვაწე, არც სხვა რაიმე პროფესიის; ის იყო ჩუმი, მაგრამ ღრმა განცდის ქართველი და ბევრ ძეირფას ქართულ თეისებათა მატარებელი: კარგი მამულიშვილი, კარგი მეგობარი, გულადი, პირში მთქმელი, ნამდვილი ჭაბუკი და კარგი არითვი.

იგი იყო სულით კეთილშობილი და ფიზიკურად მძლავრი, შრომისა და მოვალეობის მოყვარული.

ბეჭდმა ინება, რომ მაღაროს მუშად დაწყებული თავისი ემიგრანტული ცხოვრება, მაღაროშვივე დაემთავრებინა, შორს აფრიკაში.

1936 წელს, აგდისტოში ის გაემგზავრა აფრიკაში, სადაც მისი მეგობრები, რამოდრინიმე ქართველი, უკვე კაი წნიდან მუშაობდენ.

წავიდა მხნე, იმედებით საქსე, როგორც ყოველთვის, მაგრამ ერთმა უცაბედმა შემთხვევამ შეწირა ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა, შესამჩნევი პიროვნება და ყველასათვის საყვარელი ადამიანი; დასტოვა რა მეუღლე, დედა, ძმები და უამრავი მეგობარი დიდია და ენით გამოუთქმელს მწუხარებაში.

უცხოეთში მრავალ ქართველის საფლავს ერთი კიდევ მიემატა. მაგრამ მისი ხსოვნა მუდამ ცოცხალი დარჩება ყველა მათში, ვინც მას იცნობდა, ვინც მასში მუდამ გრძნობდა კარგ ადამიანს და კარგ ქართველს.

გიორგი ჭაჭიაშვილი

## პარტიული ცხოვრება

**ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის თათბირი.**

1936 წლის ქრისტეშობისთვის 26-ს, კაფე ვოლტერის დარბაზში შესდგა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით მოწვეული პარტიული თათბირი, რომელსაც პარტიზში მყოფ წევრებთან ერთად პროეინციებიდან ჩამოსულნი წევრებიც დასწრნენ.

თათბირი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა ბ. ა. აბაშიძემ. თათბირის თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა ბ. ელ. პატარიძე, მღივნად ივ. ასათიანი.

თათბირის პირველს კრებაზე პარტიის ღენერალურმა მდივანმა ბ. ალ. ასათიანმა მოხსენება გააკეთა პარტიის წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო პარტიის მიერ აღებულ გეზს ეროვნულს მოძრაობაში, აღნიშნა ამ ხაზით ნაწარმოები მუშაობის შედეგები ქართულს ასპარეზზე და უცხო პოლიტიკურს ძალებთან კავშირის ფარგლებში; შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქართველოს და საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას; ამასთან დაკავშირებით მოკლე მიმხილვა გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის. დაბოლოს მომხსენებელი შეეხო ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის იდეებს თანამედროვე ახალ იდეებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პარტიის მთავარი ფუძე - იდეები სრულიად ეფუძნებიან თანამედროვე უნივერსალურს გარდატეხათა ნიადაგზე აღმოცენებულს იდეებს.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელმა მოკლე პასუხი გასცა მოხსენების ირგვლივ შეკითხვებს და აშით დასრულდა თათბირის პირველი კრება.

თათბირის მეორე კრებაზე გაიმართა მოხსენებაში აღძრული საკითხების შესახებ აზრთა გამოთქმა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ბბ. რევაზ გაბაშვილმა, ი. ხანანაშვილმა, სევ. ჭირაქაძემ, დ. ახვლედიანმა, გ. იჯგიძე, ა. აბაშიძემ, ივ. ასათიანმა და ელ. პატარიძემ. აზრთა გაცემა-გამოცემის მთავარ საგნად იქცა პარტიის იდეოლოგიურ - პროგრამული საკითხები, პარტიის ტაქტიკა, — მისი ურთიერთობა ქართული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი, და პარტიის საორგანიზაციო საკითხები.

ბ. დ. ახვლედიანი გამოსთქვამს აზრს ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და წინადაღებას იძლევა საქართველოში პარტიაში მუშაობის დროს ნახმარი წესის და თანახმად მოხდეს ემიგრაციაში მყოფი წევრების გადარჩევა და პარტიის ერთგულ ბრძოლებში დაცილ წევრების აღრიცხვა და შეკავშირება.

მოხსენებელის საერთო პასუხის შემდეგ თაობირის თავჯდომარე ელ. პატარიძე თავს უყრის თაობირის წევრთა მიერ გამოთქმულს და საერთოდ გაზიარებულს აზრებს და თაობირის დასკვნის სახით შემდეგს აღნიშნავს: გაგრძელებულ იქმნას პარტიის მიერ აღებული ხაზი ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან, ეროვნულ ცენტრთან და კავკასიურ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობისა; სასურველი იქმნას ცნობილი პარტიის სხვა ფრაქციების დაახლოება. ხელსაყრელ მომენტში პარტიის გერთიანების მიზნით; დაწყებულ იქმნას მუშაობა ემიგრაციაში წარმოშობილს ეროვნულს სხ. და სხ. ხასიათის დაჯგუფებებთან დაახლოვებისათვის ეროვნული გაერთიანების მიზნით. დაწყებულ იქმნას მუშაობა პარტიის იდეური გადახალისებისათვის — პარტიის დედო დასაყრდენი მთავარი იდეების თანამედროვე, ახალ ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეებთან შეფარდებისათვის, საქართველოს წარსულის, აშშისა და მომავალის მიხედვით; გაცხოველებულ იქმნას ორგანიზაციული მუშაობა, თაობირზე გამოთქმული წესით.

ეს უკანასკნელი დაევალოს ცენტრალურს ბიუროსთან არსებულს საორგანიზაციო კომისიას, რომელსაც დაემატოს ბ. დ. ახვლედიანი. დანარჩენი პოლიტიკური და იდეური ხასიათის მუშაობა კი დაევალოს პარტიის ცენტრალურს ბიუროს; მოწვეულ იქმნას საზღვარგარეთის ორგანიზაციათა წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც წარედგინოს აქ აღნიშნული საკითხების შესახებ სპეციალური მხსენებანი.

თაობირის მდივანი ივ. ახათიანი

პარიზი, 1936 წ. ქრისტეშობისთვის 26.

## ჯართული ხელოვნების დეპარტა

ამა წლის იანვარში მოსკოვში გაიმართა საზეიმო დეკადა ქართული ოპერისა, ბალეტისა და სახალხო სიმღერების. ჩვეულებისამებრ, კომუნისტები თავის დამსახურებად სთვლიან მდიდარი ქართული ხელოვნებისა და თვით უძველეს დროიდან მომდინარე ქართულ სახალხო მუსიკის გაჩენას. მაგრამ ჩვენ ეს არ შეგვიშლის ხელს, რომ ალენიშვილი ზოგი რამ იმ გამოხმაურებიდან, რომელიც გამოიწვია ქართული მუსიკის ამ მანიფესტაციამ.

„პრავდას“ ფურცლებზე ჩვენ ვკითხულობთ რუსულ ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა აზრს ქართულ მუსიკალურ და პლასტიურ ხელოვნებაზე. მოსკოვის ცნობილ სამხატვრო თეატრის დამაარსებელთაგანი და ხელმძღვანელთაგანი ვ. ი. ნემიროვიჩ - დანშენკო სხვათა შორის სწერს:

„ნელია ზედმეტად დააფასო ისეთი წარმოდგენების მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ ეს არის გვაჩენა მოსკოვში ოპერისა და ბალეტის ტუილისის სახელმწიფო თეატრმა. ასეთი წარმოდგენები იძლევიან არა მარტო დიდ ესტეტიურ სიამონებას; ისინი ამავე დროს წარმოადგენენ სერიოზულ მუსიკალური ხელოვნების გასაღრმავებლად. საზოგადოთ ჩვენი საბჭოურ ხელოვნების გასაღრმავებლად.“

„განა ბევრმა იცოდა ჩვენში. რომ საქართველოში იყო ოპერისა და ბალეტის ასეთი თეატრი და რომ მასში ასე ბრწყინვალედ ისახებოდენ ხალხური სიმღერები და ხალხური ცეკვა? მე პირველად მეგონა. რომ მიკერძოებას ვრჩენდი. რომ გატაცებას ვეძლეოდი, რომ როგორც კავკასიაზე დაბადებული და ტფილისის მოწაფე, ვეძლეოდი სამუდამოდ შაუშლელად დარჩენილ ბავშვობისა და კაბუკიბის ძლიერ ემოციებს. მაგრამ არა. საქართველოს მელოდიების პლასტიურობა, ხმების დაყენება საქართველოში, საქართველოს კოსტიუმები, ქართველი ხალხის პლასტიურობა (ამასთანავე მამაკაცები არ ჩამოუვარდებან ქალებს) — ყველა ეს, როგორც ვხედავ. იყყობს ჩვენს მსმენელს.“

დიდ ალფროვეანებას გამოსთქვამს აგრეთვე ცნობილი მსახიობის ლ. ლეონიდოვი:

„ოპერა „დაისზე“ მე განვიცადე უმაღლეს მხატვრულ სიტკბოების წუთები. პირველად ყველისა, წარმოდგენა რეალისტურია. მსახიობების თამაში სინამდვილის გამომხატველი, არა მყვირალა. უბრალო და მიტომ გაღელვებს.“

„თვითეულ ამსრულებელს გამოყაფულად მიყავს თავისი ხაზი. რამდენი კეთილშობილური ღირსებაა მამაკაცებში, რამდენი სინაზე, ყნოსვა, გრაციულობაა ქალებში, რამდენი მხატვრული სიმართლეა ჩაქსოვილი მთელ წარმოდგენაში. სოლისტები, გუნდი, ბალეტი — ყველა ეს ერთი მთელია.

„ახლა როგორია ხმები! ისინი მართლა ატკბობენ სმენას. საზოგადოთ მთელ წარმოდგენაში სხანს დიდი კულტურა, რომელიც სისწორით გამოხატავს დიდი ქართველი ხალხის ჭეშმარიტ ხალხურ შემოქმედებას.

„მაგრამ რამაც მე მომიყვანა აუწერელ აღფრთოვანებაში, — ეს არის ცეკვა, რომელიც სრულიად არა ჩეცულებრივია თავისი სირთულით, რითმით და სიმსუბუქით. ცეკვავენ არა მარტო ფეხები, სულიც ცეკვავს. მთელი არსება ცოცხლობს“.

ცნობილი მსახიობი ქალი ა. წერეთანოვა ასე აგვიწერს თავის შთაბეჭდილებას:

„მე დიდი ხანია არ განმიცდია ისეთი დიდი სიამოვნება, როგორიც მივიღე ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ დაგმულ წარმოდგენიდან — „დაისი“; თავის თავად იგულისხმება, რომ წარმოდგენის მაღალი მხატვრული ღირსება უწინარეს ყოვლისა შეადგენს უდიდეს ქართველ კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის დამსახურებას. რომლის ლამაზი. კეთილშორევანი მუსიკა სტოკებს მომხიბლავ შთაბეჭდილებას.

ჩამოთვლილთა გარდა კიდევ მრავალმა ცნობილმა მსახიობებმა და მწერლებმა, მუსიკოსებმა და კრიტიკოსებმა ვაუზიარეს მკითხველებს თავიანთი შთაბეჭდილებები და ყველანი ერთხმად ადასტურებენ, რომ ქართულმა მუსიკამ და ქართულმა პლასტიკურმა ხელოვნებამ წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოა ყველა მაყურებლებზე. მუსიკოლურმა კრიტიკოსებმა ურცელი წერილები და მთელი ფელეტონები უძღვნეს აპერებს: „დაისი“, „დარეჯან ცბიერი“ და „აბესალომ და ეთერი“. დიდის ქებით იხსენიებნ აგრეთვე კაესაძისა და ბაჭყარისა მომღერალთა გუნდებს და მეჩინგურეთა ანსამბლს.

## უცხოეთის ცნობები

### ბერლინი. იანვრის 20.

ნაციონალ - სოციალისტთა ერთ - ერთ სადღესასწაულო კრებაზე დოქტორ როზენბერგი შეეხო რუსულ ბოლშევიზმის საფრთხეს ევროპისათვის. მან აუცილებლად მიიჩნია ანტიბოლშევიკური ფრონ-

ტის შექმნა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უფასესობი არსებობს არა მარტო კომუნიზმსა და ნაციონალ - სოციალიზმს შეუა, არამედ საბჭოთა რუსეთისა და დანარჩენ ევროპის ქვეყნებს შეუა, მიუხედავად მათი რეეიმთა სხვადასხვაობისა. ამიტომ ანტიბოლშევიკურს ბლოკში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა, ევროპიული თვალსაზრისით, არა მარტო ავტორიტეტულ რეეიმის სახელმწიფო-თაოვის, თვით დემოკრატიულ სახელმწიფოთათვისაც. მანვე დასძინა, რომ გერმანეთის ნაციონალ - სოციალიზმს მიაჩინა თავი ევროპის საერთო ოჯახის განუყრელ წევრად. მიუხედავად ევროპის ქვეყნების რეეიმთა სხვადასხვაობათა.

#### რომი. იანვრის 21.

გერმანელ უურნალისტთან „ინტერვიეს“ დროს ბენიტო მუსოლინმა შემდეგი განაცხადა: ესპანეთის სამოქალაქო ომი არ შეიძლება საერთაშორისო ომად გადაიქცეს. ამის გარანტია რომისა და ბერლინის შეურყეველი ერთობა და რომისა და ლონდონს შორის მომხდარი შეთანხმება ხმელთა შეუსხებო.

იტალიას არ აქვს ესპანეთში არაეთმარი ტერიტორიალური პრეტენზიები; მაგრამ ის ვერ მოითმენს ესპანეთში საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებას, ვინაიდან ეს დაარღვევს ევროპის „სტატუს ქვის“ და ხიფათს შეუქმნის ევროპის ცივილიზაციას.

როცა იცი, რომ ბოლშევიზმი არის ერთად - ერთი დიდი საფრთხე, რომელიც ემუქრება ჩვენს კულტურასა და არსებობას, თავის და თავად ისახება საერთო ევროპიული იდეა.

დემოკრატიის შესახებ მუსოლინმა განაცხადა: ნებით თუ უნებლივთ დემოკრატია არის პოლიტიკური გახრშნილების ბუდე, ბაცილების მატარებელი, ბოლშევიზმის დამხმარე. მომავალი აღარ შეიძლება აშენდეს კოლექტიურსა და მასების იდეებზე. დემოკრატია წააგავს მოძრავს ქვიშას, ჩვენი პოლიტიკური იდეები კი კლდეს.

#### მიღანის თათბირი

##### ლონდონი. 4 თებერვალი.

„ნიუსქრონიკლს“ ატყობინებენ რომიდან, რომ გრაფ ჩიანოსა და რუსტუ არასის თათბირის დროს მახლობელ - აღმოსავლეთის საკითხების შემდეგ განხილულ იქნა აგრეთვე საერთო ევროპიულ პრობლემებთან დაკავშირებული კითხვები. იტალია დიდად შეეცადა ასმალეთის მიმხრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკისათვის და წინადადება მისცა რუსტუ არას „დარ-

ტერესება უკრაინის, ყირიმის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ბეჭდით“.

რომის „მესსაუერო“-ში, რომელიც ეხება ამ შეხვედრას, მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო სტრიქონები: „იტალიის არ შეუძლიან დაუშვას, რომ რუსული ტალღები მოედვან ხმელთა შუაზღვას დარდანელის კარებით და ამ საკითხში რომის ინტერესები ეთანხმებიან ანკარის ინტერესებს“.

### შეშინებული მოსკოვის მუქარა.

მუსოლინის იდეა, ევროპის ოთხ დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების შესახებ და ამისათვის წარმოებული მუშაობა, უკვე აშინებს საბჭოთა რუსეთის და სხვისი პირით ნათქვამ მუქარით სხვის შეშინებას ცდილობს.

საბჭოთა პრესაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინგლისის სა-აგენტო „ვიკის“ მიერ გადაცემულს, საბჭოთა მოხერხებულის ხე-შედეგნილს შემდეგს ცნობას:

„საფრანგეთი და ინგლისი გულისძვერით თავიანთ თავს ეკითხებიან, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება კიდევ საბჭოთა რუსეთის დაუფასებელი მოქმედება დასავლეთ ეკრობის მშვიდობიანობის დასაცავად. საფრანგეთისა და ინგლისის სტრატეგიული პოზიციები უფრო ნაკლებ მაგარია დღეს, ვინემ იყო რენანის ზონის რემილიტარიზაციამდე და ესპანეთის ომამდე. 1935 წლ. მაისის 2-ის პაქტზე ხელისმოწერით საბჭოთა რუსეთი დახმარებას დაპირდა საფრანგეთს და მისი საშეალებით ინგლისაც, იმ დროს, როცა მათი პოზიციები ვერმნეთის მიმართ უფრო ძლიერი იყო, ვინემ დღეს. საბჭოთა რუსეთს სწამდა, რომ ეს ორი სახელმწიფო შესძლებდა ელემენტარული ზომების მიღებას თავიანთი ძლიერი პოზიციების შენარჩუნებისათვის. საფრანგეთმა და ინგლისმა ეს ვერ შესძლეს; საბჭოთა რუსეთი ამისდამიხდევით, საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლის გამო, იძულებული ხდება ერთ მშვენიერს დღეს გადასინჯოს მთლიანად მისი საგარეო პოლიტიკის ხაზი. ამ სახიფათო მოქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ მათთან ერთად საერთო ენერგიული მოქმედებით. საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის თანამშრომლობას და გაერთიანებულს ენერგიულს მოქმედებას ესპანეთში და ცენტრალ ევროპაში შეუძლია კიდევ უზრუნველპყოს მშვიდობიანობა გერმანეთის აგრესიონის წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა რუსეთი დაიღალა დასავლეთ - ევროპის დაცვით და აღბად მალე მიაგდებს მას თავის თავის ანაბარად ფაშიზმთან ბრძოლაში“ - ღია ბატონი გურიაშვილი.

ასეთის ცინიზმით უპასუხებს საბჭოთა რუსეთი იმ დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც თავისთ გაურკვეველი პოლიტიკით მათი ინტერესების წინააღმდეგ მართლაც იცავენ საბჭოთა რუსეთს.

ინგლისური სააგენტოს მიერ ეს გადაცემული ცნობა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შემოიჭრენ საბჭოები ევროპაში და თუ როგორ იგდებინ ხელ სხვა დაწესებულებებთან ერთად პრესისა და პროპაგანდის მწვერვალებს.

## ჩართველთა ეგიზრაციაში

### ბ. ცქვობის თაყაიშვილის გამოკვლევაზი

ჩვენი მკითხველი უკვე იტნობს იმ „მიმართვას ქართველ ემიგრაციისადმი“. რომლითაც ჩვენმა დამსახურებულმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ექვთიმე თყაიშვილმა ამცნო ქართულ საზოგადოებას მის მიერ ნახევარ სუკუნის მანძილზე ნაწარმოებ ისტორიულ კვლევა-ძიებათა მწარე ბედი და თავგადასავალი.

„დრო მიღის, მე მივიწურ აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესით“, და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს“ – თ სწერს ჩვენი ისტორიკოსი, „თანა მაქვს სხვათა შორის შესანიშნავი სახუროთ-მოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის ისეთი პირები ხარისხოვანი ძეგლების სურათებიც, რომელნიც დღეს სამუდამოდ მოსპობილია და მხოლოდ ჩემი აღწერილობა და გადმოღებული სურათებია დარჩენილი; ამათ გამოცემას მისრდებოდენ ექვს დიდ ალბომად, მაგრამ ეს იმედი ეხლა გაქრა, ამაზედ ოცნებაც მეტია, ვინაიდა ამას, სულ ცოტა რომ ვთქვაო, დასჭირდება ნახევარ მილიონ ფრანგიზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება. თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით, ეს შეადგენს დაახლოვებით 2. 000 გვერდს შეა ფორმატის წიგნისას. რასაკვირველია ეს რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს“.

„ნუ ვინ დამწამებს. თითქმ მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე ამ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე თუ რამე გაკეთებულა. ისევ ლარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვევაწდენ და ვინც გვყვანდა. ბევრი სამისო არაფერი გაუკეთებით. თუ

გული გულობს და ყველანი შევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი ულრმესი მადლობა და თანაგრძნობა“.

„სამშობლო“-ს რედაქტორი იმედოვნებს, რომ ჩვენი დამსახურებული მეცნიერის მოწოდება არ დარჩება ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. ამ გმილებისათვის გამოცემისათვის ყოველივე წვლილი, ერთდროულად, თუ თვიურად უნდა გაიგზავნოს ბ. ექვ. თყაიშვილის შემდეგის მისამართით: — Chateau de Leville-sur-Orge, par Monthléry (S.-et-O.)

### გრიგოლ რობაქიძე

ხუთიოდე წლის წინეთ ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა დააღწია თავი საბჭოთა „სამოთხეს“ და გერმანიაში დაფუძნდა. ახალს და უცხო, მაგრამ ადამიანუს პირობებში მოქცეული მისი შემოქმედებითი მუშაობა ფრიად ნაყოფიერს შედეგებს იძლევა. ამ ხნის განმავლობაში მან ექვსი წიგნი დასტამბა გერმანულს ენაზედ. ამ შრომებმა და, განსაკუთრებით, მისმა რომანებმა ფრიად საყურადღებო ინტერესი გამოიწვია ევროპიულ ლიტერატურულ წრეებში.

ქართველებისათვის საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ წრეებში მეტად სერიოზულად დგას ჩვენი თანამემამულის კანდიდატურის წარდგენის საკითხი ნობელის პრემიაზე.

ერთმა შვედურმა ჟურნალმა ანკეტა გამოაცხადა იმს შესახებ, თუ რომელი ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს საუკეთესოდ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის: ფრიად ცნობილმა კრიტიკოსმა ნილლონმა სამს ასეთს შედევრში გრ: რობაქიძის ერთი რომანი (მოკლული სული) მოიხსენია.

გრ. რობაქიძემ, მწერლობასთან ერთად, მრავალი მოხსენება წაიკითხა გერმანიის უმთავრეს ცენტრებში. ამას გარდა მან მოხსენებები გააკეთა რადიო - სადგურების შემწეობით.

ყველა ამ მოხსენებაში ბ. რობაქიძე აშუქებდა „ქართულ მეტაფიზიკურ სახეს“, ქართული ლიტერატურისა და თვით ენის ბუნების მიერ მოცემულ მასალების მიხედვით.

ამ მოხსენებებმაც თვალსაჩინო ინტერესი გამოიწვიეს გერმანულს საზოგადოებაში.

### პ. ალ. ააათიანის მოხსენება.

კვირას, 14 თებერვალს, ნაშუადლევის სამ და ნახევარ სათხე, მიუწევ სოსიალის დარბაზში (5. რ. ლას კაზ., მეტრო სოლფერინი), პ. ალექსანდრე ააათიანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: — საბჭოთა რეფორმის გარდატეხანი და ქართველი ერის იდეალი

1. კომუნიზმის ძლევა მოსილი მსვლელობა სოციალზმის განხორციელებისათვის. განადგურება ბურჯუაზიულ წყობის და დამარცხება უკელა აქტიურ წინაღმდევობისა პოლიტიკურსა და სოციალურს სფეროში.

2. კომუნისტურ იდეალის დამარცხება, გადაგვარება და უკან დახევა წვრილ ბურჯუაზიულ სოციალზმის და ფაშიზმის პოზიციებზე. ახალი კონსტიტუცია. უიდეალო საბჭოთა სისტემა და ძველი იდეალებით შეცყრბილი მასსები.

4. ქართველი ერის მიერ გამულავნებული ძალა ამ ბრძოლებში, მისი მეთოდი ბრძოლისა და იდეალი ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური. ქართვულ ეროვნულ პოლიტიკისათვის შექმნილი ახალი პირობები და ამოცანანი.

• მოხსენების შემდეგ აზრთა გაზიარება.

### ქართველები ამერიკაში

8 ნოემბერს, ნიუიორქში, ს. ერისთავის რესტორანის დარბაზში შესდგა ამერიკის ქართველთა საზოგადოების წლიური კრება. დღის წესრიგში იყო საზევიზო კომისიის მოხსენება და გამგეობის ორჩევნები. საზოგადოების ხაზინადრის პ. თარსაძის მოხსენების შემდეგ კრებამ იორჩია ახალი გამგეობა შემდეგის შემადგენლობით: ნ. ალავიძე, ი. ორბელიანი, ს. გურგენიძე, პ. კვარაცხელია და ა. ყრუაშვილი. კრებას მეტად მწყობრი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა. არჩევნების შემდეგ საზოგადოების წევრებს სადილი გაუმართა საზოგადოების თავჯდომარებ პ. ვ. დუმბაძემ. საზოგადოების წევრებმა მხურვალე მადლობა გამოუტავდა პ. ვ. დუმბაძეს და წინანდელ გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისათვის. პ. ვ. დუმბაძემ თავის სამადლობელ სიტყვაში ალნიშნა ამერიკაში მყოფ ქართველთა ის კარგი თვისებები, რომელიც ასე უწყობდა ხელს გამგეობას და ნაყოფიერებას პმატებდა ყოველს მის მოქმედებას. როგორც ყველგან, ისე შვენ შორისაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესს ემორჩილება და ამის გამო ჩვე-

ნი საზოგადოება ასე მთლიანია, ერთსულოვანი: ამიტომაა, რომ ჩვენი საზოგადოების შევრები ერთს მეგობრულს წრეს წარმოადგენს და ერთმანეთის გვერდში არიან ჭირსა და ლხინში.

ამ მეგობრულ სადილს ქართული ნადიმის ხასიათი მიეცა ქართული სიმღერებითა და ცეკვა - თამაშით.

### საქართველოს ახალი რუქა

გამოვიდა ფრიად იშვიათი შრომა ბ. სეიმონ ციციშვილისა. ეს არის საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული რუქა. რუქაზე

„ჩემი მიზანია შევადგინოს ქართველი ერის ისტორიოგრაფიული ატლასი. ამ ძნელი დიდმინიშვილოვანი საქმის გასაადვილებლად მე წინასწარ შევადგინე ჯერ ერთი მთლიანი ძეველი საქართველოს ანუ გეორგის რუქა თანახმათ ქართველი და უცხოელი მეცნიერების, ისტორიკოსების და გეოგრაფების საბუთებისა. ამ რუქაზე მე აღვადგინე მთავარი ქალაქები და დაბასოფლები. სამეცნიერების, სამთავროების, ოქების და სადროშოების საზღვრების. ეს უკანასკნელი იცვლებოდენ ძლიერი მტრების შემოსევების დროს. ამის გამო ძეველი საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის საზღვრების წარმოდგენა ბევრს უძნელდება. აქვე ზემოთ მოვათვეს საქართველოს ტერიტორიილოვარა. რაც შემდეგში უკეთ და ადვილარ შეისწავლება“ და სხვადასხვა. ბოლოს ავტორი გამოსთვევას იმედს. რომ მცოდნენი და სპეციალისტები მიუთითებენ შეცდომებზე, რის გასწორებაც რუქაზე ადვილად შეიძლება“. რუქა სიგრძით ორმეტრნახევარია, სიგანით მეტრზე ცოტა მეტი.

### სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი

M. E. PATARIDZE

89, rue de la République,

Saint-Mandé (Seine)

France

La gérante : Suzanne BERTILLON.



Imp. S.N.I.E., 32, rue de Ménilmontant, Paris (20e).

